CMYK

# საერთო გაზეთი

№45 (312) ● 24 დეკემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

## ლევან მამალაძე:



საააკაშვილი, რომელიც „მაღნეულის“ მეწილეობით მულტიმილიონერი გახდა, დღესაც ამ კომპანიის შემოსავლებით დააარპაშებს ევროპა-ამერიკაში

## ნაია ამაშუკელი:



ტელეკომპანია „იმედი“ ნაციონალების მიერ კომპანიაში ჩანერგილმა ჟურნალისტების იმ აგენტურამ შეიწირა, რომელსაც გიორგი თარგამაძე ხელმძღვანელობდა

## რამაზ საყვარელიძე:



ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას მაშინ ექნება აზრი, თუ საქართველო მმართველობის საპრეზიდენტო მოდელს დაუბრუნდება

## ვაჟა ბერიძე:



ევროპისგან უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ისეთი შეურაცხყოფა არ მიაყენონ, როგორც ევროპარლამენტის საზეიმო ცერემონიალზე ძებნილი პირების მიწვევაა

## მერაბ შათირიშვილი:



პრორუსები თქვენ ხართ, პროევროპელებიც და პროამერი-კელებიც. მე ვარ პროქართველი და უანგაროდ მტკივა გული ჩემს ქვეყანაზე

## ვახტანგ ხარჩილავა:

ვინ ჩაუყრის საძირკველს ახალ ქართულ სახელმწიფოს, რომლის დამფუძნებლები ქართველებთან ერთად აფხაზებიც იქნებიან...

## დენიზა სუმბაძე:

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

● „მასონობისა“ და „ტამპლიერობის“ გაგებისათვის

● კაცობრიობის „თავზარდამცემი საიდუმლო“



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42–44

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

## ორი გაზეთი ერთ გაზეთში




სახელისუფლო სტურქტურებში ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელებული საკადრო ცვლილებები ერთი განსაკუთრებული ნიშნით არის საგულისხმო და საყურადღებო.

ადამიანები, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ, საზოგადოებისთვის ცნობილნი არიან როგორც პროფესიონალიზმით, ასევე, პირველყოვლისა, წესიერებით, პატიოსნებით, ადამიანებისადმი კეთილგანწყობით, საქმისადმი ერთგულებით.

**ანზორ ჩუბინიძე** (სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი), **მირიან მჭედლიშვილი** (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი), **პაატა ხიზანიშვილი** (ქვემო ქართლის გუბერნატორი) — ამ ადამიანებზე აუგის სათქმელად ენა არავის მოუტრიალდება.


პაატა ხიზანიშვილი

ისიც საგულისხმოა, რომ თითოეულ მათგანს საკმაოდ მდიდარი შრომითი ბიოგრაფია და აქედან გამომდინარე, დიდი ცხოვრებისეული


ანზორ ჩუბინიძე

გამოცდილება აქვთ, გამოცდილება კი ისეთი რამეა, რასაც ვერც ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ვერ ისწავლი.

ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ყველაზე დიდი იმედი და ყველაზე დიდი მხარდაჭერა ისაა, როცა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ღირსეული ადამიანები ინიშნებიან, რადგან ასეთები არასოდეს არ უღალატებენ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებს.

**ანზორ ჩუბინიძე, მირიან მჭედლიშვილი, პაატა ხიზანიშვილი** სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, რაც უდაოდ სასიხარულო და მისასალმებელია.

**„საერთო გაზეთი“**

## ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენცია ორი დღით გადაიდო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენცია, ნაცვლად 24 დეკემბრისა, გაიმართება 26 დეკემბერს 10.00 საათზე, საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“ (მესამე პავილიონი), — იტყობინება მთავრობის პრესსამსახური.

## ეკა ბესელია: ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს მორალური უფლება არ აქვთ, თავდაცვის უწყებაში პრობლემასა და ხარვეზზე ისაუბრონ



როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ეკა ბესელიმ განაცხადა, სწორედ ნაციონალური მოძრაობის თავდაცვის მინისტრია გასამართლებული ადამიანის წამებისა და ღირსების შემლახავი მოქმედების ბრალდებით, შესაბამისად ნაციონალური მოძრაობას არ აქვს მორალური უფლება, თავდაცვის სამინისტროს მისამართით რაიმე პრეტენზიას და ბრალდებებს გამოხატავდნენ.

„ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა ნებისმიერი უწყების და მათ შორის, თავდაცვის სამინისტროსი, ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით გაკეთდა საჭირო განმარტება. გაირკვა, რომ განცხადება არ იყო შეთანხმებული ხელმძღვანელობასთან, განცხადება არ იყო სამინისტროს პირველი პირების პოზიცია, რაც ნიშნავს, რომ შიდა უწყების სივრცეში კოორდინაციის, თუ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, გარკვეული პრობლემა არის. ამას სჭირდება გამოსწორება, რაზეც სამინისტრო აუცილებლად იზრუნებს, მაგრამ თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება სწორად არ მიმაჩნია. სჯობს, საკითხზე დასრულდეს დებატები, განსაკუთრებით კი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რომელიც ყველა თემას იყენებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის. არ მგონია, რომ მათ ბრალდებებს უნდა გაეცეს პასუხი, განსაკუთრებით როდესაც მათი ხელისუფლების პირობებში იყო თავდაცვის მინისტრი, რომელიც გასამართლებულია წამებისა და ადამიანების არაადამიანური მოპყრობისათვის, მათ პრობლემაზე საუბრის მორალური უფლება არ აქვთ“ - აცხადებს ეკა ბესელია.

## თამარ ბერუჩაშვილი: გაერო-ში ჩვენმა მეგობრებმა საქართველოს მხარდამჭერი მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს



გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებები უაღრესად დროული და მკაფიო იყო. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან გაფორმებული ე.წ ხელშეკრულებაზე გაკეთებული განცხადებების შეფასებისას განუცხადა.

როგორც ცნობილია, ლიტვის, აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ე.წ. მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება დაგმეს.

„ჩვენმა მეგობრებმა საქართველოს მხარდამჭერი ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს. ჩვენმა პარტნიორებმა დაგმეს რუსეთის ქმედებები, რომლებიც პირდაპირ არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, ასევე ეს არის პრობლემა რეგიონული უსაფრთხოებისთვის და იხმარეს ისეთი მკაცრი სიტყვა, როგორიცაა ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯი“, — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

მისივე თქმით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებთან გაფორმებული ნებისმიერი შეთანხმება არალეგიტიმურია, თუმცა თვითონ პროცესი, სამწუხაროდ, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებაა.



## ირაკლი სესიაშვილი: მინდია ჯანელიძე განმარტებისათვის მზად არის

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის ინფორმაციით, უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაზე თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე განმარტებას უახლოეს მომავალში გააკეთებს.

დეპუტატის თქმით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საკომიტეტო მოსმენებზე მიწვეულმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გოჩა რატიანმა დახურულ შეხვედრაზე დაადასტურა, რომ მინისტრი განმარტებისათვის მზად არის.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# რამაზ საყვარელიძე:

# ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას მაშინ ექნება აზრი, თუ საქართველო მმართველობის საპრეზიდენტო მოდელს დაუბრუნდება

## „ყველა ვხედავთ, რომ რუსეთთან დიპლომატიური ვაჭრობის რესურსი საქართველოს, სამწუხაროდ, ძალიან მცირე აქვს“

„საერთო გაზეთი“ პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო რამაზ, ორიოდე დღის წინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოზე განცხადებები გააკეთა. პუტინი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოსებთან და აფხაზებთან თვითონ უნდა გამართოს დიალოგი, აქვე აფხაზეთთან და ცხინვალთან შუამავლობას გვთავაზობს. გარდა ამისა, პუტინმა მზადყოფნა გამოთქვა იმაზე, რომ მოსკოვში შეხვდეს საქართველოს ხელისუფალს. თქვენ როგორ შეაფასებდით ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის პირველი პირის განცხადებებს და როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, უნდა შეხვდეს თუ არა ღარიბაშვილი პუტინს?**

— შინაარსის თვალსაზრისით, მოგეხსენებათ, განცხადებაში ახალი არაფერი იყო, იგივე მას ადრეც აქვს ნათქვამი. დიახ, საქართველოს ხელისუფლებამ ოსებთან და აფხაზებთან თვითონ უნდა გამართოს დიალოგიო, ადრეც თქვა და ისიც, რომ შეხვედრაზე თანახმაა, მაგრამ საყურადღებო არის გამეორება. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო თავი აერიდებინა ასეთი დაზუსტებებისთვის, მაგრამ, როდესაც პოლიტიკაში, თუნდაც იგივეს, რასაც ადრე ამბობდნენ, იმეორებენ, ეს უკვე, მოგეხსენებათ, საყურადღებოა ამ სიტუაციაში, ამ მომენტში და ამ პირობებში, მით უმეტეს. ნუ, საყურადღებოა ისიც, რომ ამ თემებს მან თავად არ მოჰკიდა, ასე ვთქვათ, ხელი იქამდე, სანამ ჟურნალისტებმა არ დაუსვეს კითხვები. ამდენად, სავარაუდოა, რომ ეს საკითხი დღეს მისთვის აქტუალური არ არის, მაგრამ მის დამოკიდებულებაში საქართველოს, აი, ამ ქართული თემების მიმართ ადრე შემუშავებული პოზიცია გრძელდება, ის არ შეცვლილა და ეს პოზიცია გახლავთ. ის, რომ მან გამოაცხადოს დიდი სიყვარული ქართველი ხალხის მიმართ, განაცხადოს, რომ რეალობა შეიცვალა და ამას უნდა გაუწიოს ანგარიში და განაცხადოს, რომ შეძლებისდაგვარად, ხელს შეუწყობს დიალოგს აფხაზებსა და ოსებს შორის. საყურადღებო ისიც არის, რომ მან განაცხადა, რომ მზად არის შეხვდეს სახელმწიფოს უმაღლეს დონეზე მყოფ ნებისმიერ თანამდებობის პირს. ამ განცხადებების გამეორება ნიშნავს იმას, რომ შეიძლება დიალოგის დაწყება. და მე კიდევ ერთს გავიხსენებდი, იმას, რაც თავის დროზე ნინო ბურჯანაძემ მოსკოვიდან ჩამოიტანა. მისი ნათქვამებიდან, მისი გზავნილები, მაშინ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მან უთხრა, რომ ლაპარაკი ყველაფერზე შეიძლებოდა. ასე რომ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ხნის განმავლობაში უშუალოდ ჩვენ მაღალ დონეზე დიპლომატიური ხერხებით არაფერი მოგვისინჯავს, ამდენად, რას დაახვედრებს ქართულ მხარეს, რომც შედგეს ასეთი შეხვედრა, ვფიქრობ, ძნელია ამის პროგნოზირება და ბუნებრივია, ძალიან სერიოზული მომზადება სჭირდება ამ სვლას. აი, არის თუ არა ქართული მხარე ამ სვლისთვის მზად, არ ვიცი, როგორც ქართული პოლიტიკოსები აცხადებენ, შესაბამისი უფლებამოსილების მქონეები, მომზადებულები ისინი ჯერჯერობით არ არიან და ასეთი ნაბიჯი კი საჭიროებს მომზადებას.

**— ანუ, თუ მზად იქნება ქართული მხარე უნდა მიიღოს პუტინის შეთავაზება, შეხვდეს?**

— იცით, ურთიერთობებზე უარს უკრაინა რომ უკრაინაა, ის არ ამბობს, რომელსაც, ახლა, შეიძლება ითქვას, პირდაპირი და ღია საომარი მდგომარეობა აქვს, იმიტომ, რომ დიპლომატია დიპლომატიაა, გაბუტვა დიპლომატიაში და დიდ პოლიტიკაში სერიოზულ პოზიციად არ გამოიყურება. გაბუტვა შეიძლება გამართლებული იყოს იმ მხარის მხრიდან, რომელიც იგებს ამ გაბუტვით. დღეს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გაბუტვით იგებს რუსეთი. მას უკავია შენი ტერიტორიები. შენი მხრიდან გაბუტვა, ეს არ არის იმ ღირსების დათმობა, ეს არის საქმიანი დამოკიდებულება საკუთარი პრობლემების მიმართ. ის თუ რას და დათმობს თუ არა ქართული მხარე, ეს კონკრეტული მოლაპარაკებების შინაარსში გამოჩნდება და გაბუტვა არ გამოვა.

**— ფიქრობთ, შეხვედრა შორეული პერსპექტივაა?**

— მზადყოყოფნა ძალიან ბევრ რამეს მოიცავს და არც ისე ადვილია. კარგად მესმის იმათი, ვინც ამბობს, რომ მზად არ ვართო, რადგან, ბუნებრივია, დიპლომატიურ მაგიდასთან როცა ჯდება ერთ-ერთი მხარე, მას უნდა ჰქონდეს წინადადებების რაღაც პაკეტი. ქართულ მხარეს სურს მიიღოს სიტუაციის ცვლილება აფხაზური და ოსური მიმართულებით, ხომ?! ბუნებრივია, რუსული მხარე დააყენებს საკითხს სამაგიეროდ რას გვთავაზობთო....

**— აი, ეს არის საინტერესო და მნიშვნელოვანი...**

— ეს მართლაც ძალიან საინტერესოა, რადგან ქართულ მხარეს არც ისე ბევრი რამ აქვს შესათავაზებელი. დიახ, არ გვაქვს ბევრი რესურსი, აი, რა შემუშავდება, რა შეთავაზება, არ ვიცი, ეს ბევრად ძნელია. ქართულმა მხარემ, რომ შესთავაზოს რუსეთს დავუშვათ, ევროპული მიმართულების, ევროპული ვექტორის დათმობა, ეს ჩვენთვის ძალიან წამგებიანი ნაბიჯი იქნება, არა მარტო ზოგადი პერსპექტივის თვალსაზრისით, რომ ევროპას დავკარგავთ, არამედ თვითონ რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

**— რას გულისხმობთ, მარტო დავრჩებით რუსეთთან და...?**

— დიახ, ჩვენ რუსეთთან მარტოც დავრჩებით და მისთვისაც შენ უკვე საინტერესო აღარ ხარ, მიზანდასახული მხარე იქნები. და მარტო დავრჩებით არა მარტო რუსეთთან, არამედ ბევრ სხვა პოტენციურ მეტოქესთან, რაც შორეულ მომავალში შეიძლება საქართველოს ცუდად მოუბრუნდეს. ასე რომ, ეს წინადადება თითქმის ავტომატურად უნდა იქნეს ამოღებული ამგვარი პაკეტიდან. და რა რჩება საქართველოს? არის, რა თქმა უნდა, რიგი საკითხები, რომლებზეც მსჯელობის კომპეტენცია ახლა, ალბათ, ცოტა ადამიანს აქვს და ალბათ, შეიძლება მოგროვდეს საკითხების ამგვარი ნუსხა. ყველაფერი კარგად მოსაფიქრებელი, გასააზრებელი და მოსამზადებელია. თქმა იმისა, რომ ჩვენ მზამზარეულად შესათავაზებელი რაიმე გვაქვს, ეს ძალიან ძნელია. ამიტომ იყო, რომ მაინც, ჩავსვათ ამ ვერსიაში. ისე, სიტუაცია პოლიტიკაში ძალიან ხშირად იცვლება და სტერეოტიპები კი უცვლელი არიან და უცვლელსაც რომ გავუწიოთ ანგარიში, საჭიროა გავიაზროთ ისიც, რით შეიძლება იყოს საქართველო საინტერესო რუსეთისთვის იმ შემთხვევაში, თუ ის გახდება ევროპული სტრუქტურე-



ბის წევრი. შეგახსენებთ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების თემა ახსენა პუტინმა ამ პრესკონფერენციაზე. შეგახსენებთ, რა ამბები იყო მაშინ ამის გარშემო, ბევრი თვლიდა, რომ საქართველო დათმობაზე არ უნდა წასულიყო. ძალიან დიდ ხანს არ მიდიოდა საქართველო დათმობაზე, ანუ გააძვირა თავის თანხმობა, მაგრამ ბოლოს, რომ დათანხმდა ეს შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიურად ჩარჩა პუტინის მეხსიერებას. ასე რომ, რაღაც თქვენც აღნიშნეთ, ეგ არის საინტერესოო. ყველა ვხედავთ, რომ რუსეთთან ვაჭრობის რესურსი საქართველოს სამწუხაროდ, ძალიან მცირე აქვს.

**— კრემლი, ალბათ, მოითხოვს, რომ ნატოსკენ სვლა შევასუსტოთ...**

— არ ვიცი, ვიმეორებ, არ ვიცი...საერთოდ, ცხოვრებას არ უყვარს სტერეოტიპები, არც ამ შემთხვევაში არის აუცილებელი ის სტერეოტიპი, რომელიც რუსეთზე ჩამოგვიყალიბდა მაინც და ამდაგვარი მანევრი უამრავი შეიძლება იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყოფნა-არყოფნა იმ ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში მაგალითისთვის მოვიყვანე მსოფლი სავაჭრო ორგანიზაცია, შეიძლება რუსეთისთვისაც იყოს საინტერესო.

**—გასაგებია... ბატონო რამაზ, მოდით, მთავრობის მუშაობაც შევაფასოთ, წლის ბოლოა...**

— იცით, წლის ბოლო ყოველთვის არის შეფასებების ხანა, გეთანხმებით, თუმცა საზოგადოებაში შეფასება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე წლის ბოლო მოახლოვდებოდა. და მე ვისურვებდი, რომ უფრო მეტი ოპერატიულობით იძლეოდეს ხელისუფლება რეაქციას საზოგადოებრივ განწყობილებებზე. ის იძლევა რეაქციას, დიდი პოზიტივია, რომ მთელ რიგ გართულებულ საკითხებში უკან დახევა შეუძლია, გავიხსენებ მაგალითად, რეცეპტების თემას და ა.შ. ანალოგიური თემა ბევრია, მაგრამ უფრო ოპერატიული გრძნობა იმისა, რა განწყობილებაა ხალხში და რით შეიძლება, რომ ამ განწყობილებას უპასუხო, აი, ასეთი ოპერატიულობა, ასეთი პოლიტიკური ინსპექტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს ტერმინი, რომ ვიხმაროთ, რეაქცია, რომელსაც ფიქრიც კი აღარ უნდა, არ არის. პოლიტიკოსი ამას კანით უნდა გრძნობდეს, აი, ასეთი რეაქციები ჯერჯერობით, თითზე ჩამოსათვლელია ხელისუფლების მხრიდან. ასეთი რეაქციები, არათუ პოლიტიკური ინსპექტი, არამედ, გაშლილი ანალიტიკური მსჯელობებიც კი ხშირად უშედეგოდ რჩება. მე ამას მაინც ვაბრალებ იმას, რომ ხელისუფლება, ეს გუნდი სულ ორი წლის არის (ხელისუფლებაში 2 წელზე მეტი არ არის, რაც ყოფილა, მეტი გამოცდილება მათ ხელისუფლებაში ყოფნისა არ აქვს), და ეს ყველაფერი გამოცდილებას უკავშირდება. სააკაშვილის გუნდი თითქმის 20 წლის სტაჟისა იყო, 15 წლის მინიმუმ, დიდი სტაჟის მქონე გუნდია ხელისუფლებაში ყოფნის თვალსაზრისით, მათ იცოდნენ სახელმწიფო რას ნიშნავდა და სახელისუფლებო პოლიტიკა. ისინი მოდიან ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან და ბევრ საკითხს მათ უცბად აუღეს ალღო. ასე რომ, ნუ ჩავთვლით, რომ გამოცდილებას მნიშვნელობა და დიდი

5 gv.

ინტერვიუ ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორთან **ლევან მამალაძესთან**

**— პირველ რიგში, მოგვიყევით, როგორ ხართ. როგორ ცხოვრობთ უცხოეთში. თქვენზე დღესაც ამბობენ, მამალაძემ რაც ოქრო და სიმდიდრე წაიღო საქართველოდან, ახლა, ალბათ, განცხრომით ცხოვრობსო?**

— 12 წელია დევნილობაში ვარ, გადახვეწილი სამშობლოდან. სააკაშვილის პირადი ანგარიშსწორების გამო საშინელი რეპრესიები გადავიტანეთ. ამის შედეგად ბიძაჩემმა, პროკურატურის ზეწოლას ვერ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მეორე ბიძა ინფარქტით გარდაიცვალა, სააკაშვილის დავალებით სპეცნაზი ჩემი მშობლების მძევლად აყვანას მრავალჯერ ეცადა, ამის გამო მამაჩემი ნერვიულობის შედეგად ინსულტით აღესრულა. მცირეწლოვანი ბავშვები ქუჩაში გამომიყარეს. ჩემი მეუღლე მუქარის გამო იძულებული გახდა ფარულად გახიზნულიყო საქართველოდან. სააკაშვილმა ვერ მაპატია ის, რომ ღიად ვამხილე კორუფციაში და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში. პირდაპირ დავუსაბუთე მისი კორუფციული გარიგების შესახებ. ოქროს მომპოვებელი კვარციტის ავსტრალიელ პარტნიორებთან. სწორედ ამის შემდეგ ამიგორა მოსყიდული პრესითა და ტელევიზიით ბინძური პიარი. ჩემგან მონსტრის შექმნა უნდოდა, რომ გავენადგურებინე და საზოგადოებას კი ტაში დაეკრა. ჩემი სიმართლის გაგონება არავის არ უნდოდა. როგორც კი ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, პირადი ანგარიშსწორებით დევნა დამიწყო. ყველაფერი გდადაქექეს და ვერაფერი რომ ვერ იპოვეს, ჩემი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია გამოაცხადეს უკანონოდ. **ყველას გასაგონად ვაცხადებ: თუ ვინმე ერთ საბუთს მაინც დადებს მითიურ ოქროზე, ნიანგებზე თუ რაშებზე, მზად ვარ პასუხი ვაგო ქვეყნისა და კანონის წინაშე.** სამწუხაროდ, დღესაც ზოგი ჟურნალისტი და თანამდებობის პირი ამ პიარის ზეგავლენის ქვეშაა, რაც სამართლიანობის აღდგენას ხელს უშლის.

**— ამასწინათ სააკაშვილს მიმართეთ: მითხარი სად ხარ, პირისპირ ყველას თანდასწრებით უნდა მოგთხოვო პასუხიო. შეგიძლიათ დაამტკიცოთ, სააკაშვილი და მისი ბიძა წილებს რომ იღებდნენ რუსული კომპანია „არემჯისგან“? სააკაშვილი, როგორც თვითონ უწოდებს, ოკუპანტი ქვეყნის პირდაპირი მამხილებელი და იდეური მოწინააღმდეგეა. სააკაშვილი პროდასავლელია. ის ამას არ იზამდა.**

— ჩემი მიმართვა, სააკაშვილის განცხადებას მოჰყვა. მან თქვა — რაც მამალაძეს არ უქნია, ივანიშვილმა გააკეთა საყდრისის დასანგრევადო. მე ახლაც ვაცხადებ: **გააკეთეთ პირდაპირი ეთერი, დამისვით სააკაშვილი და დაინახავთ რა გიჟი ტაკიმასხარაც არის.** გაითვალისწინეთ, მიშა სიმართლეს წყობილებიდან გამოჰყავს, დასაბმელი, საგიჟეთში წასაყვანი გახდება. გემახსოვრებათ, 2003 წელს სამჯერ გამექცა პირდაპირ ეთერიდან.



გადასცეს „მადნეული-კვარციტი“, რომლის მარტო მადნის მარაგი ათეულ მილიარდ დოლარად არის შეფასებული. **ამ ჯგუფში შედის „არემჯი“ (არმენია-ჯორჯია კომპანი), „მადნეულიდან“ ამოღებული თანხებით სომხეთის საბადოები შეისყიდეს, ძირითად ინვესტიციებს იქ დებენ. ყველა ამ კომპანიის არააფილირებული მოწილე**

ბების უძველეს ცივილიზაციაზე მეტყველებს. ყოველივე ამას თურქები უვლიან და თავისად ასაღებენ. **სააკაშვილმა კი თავისი პრეზიდენტობის მიწურულს 2013 წლის 10 ივნისის ბრძანებით, საქართველოში ჩვენი უძველესი ცივილიზაციის დამადასტურებელი ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი საყდრისი ამოიღო ისტორიულ ობიექტთა ნუსხიდან.** მაგას ჩვენი ისტორია რაში აინტერესებს! კუთვნილ საწარმოს მისცა საყდრისი ასაფეთქებლად,

სი, ხოლო საწარმოს, საყდრისის მიდამოებში, მადნის მოპოვება აფეთქების გარეშე განუსაზღვრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობას მოუწევს პასუხისმგებლობა სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. **ბიძინა ივანიშვილმა** თუ არ ჩამოაშორა ხელისუფლებას სააკაშვილის ჯალათები და მიშას რეჟიმის გამპრავებლები, ღალატს და ქაოსს ვერ მოერევა, ხალხი კი პასუხისმგებლობას მას დააკისრებს, რადგან დღევანდელი ხელისუფლების ავტორი თვითონ არის.

**— ევროკავშირის რატიფიცირების ხელშეკრულება გაფორმდა ამ დღეებში. რას იტყვით ამაზე? ცნობილია, რომ ედუარდ შევარდ-**

# ლევან მამალაძე:

# სააკაშვილი, რომელიც „მადნეულის“ მეწილეობით მულტიმილიონერი გახდა, დღესაც ამ კომპანიის შემოსავლებით დაპარპაშობს ევროპა-ამერიკაში

მისი დაინტერესება „მადნეული-კვარციტით“ მაშინ დაიწყო, როცა მოქკავშირის ფრაქციას ხელმძღვანელობდა. ხშირად დადიოდა ბოლნისში და გვაქებდა, როგორ მოახერხეთ, რომ „მადნეული“ სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი შემავსებელიაო. ბოლნისელებს კარგათ ახსოვთ, როგორ გაშენდა და გალამაზდა იმ დროს ბოლნისი. სააკაშვილი იუსტიციის მინისტრად, რომ დანიშნა შევარდნაძემ, გარიგებაში შევიდა ავსტრალიელებთან. მაშინ შეხვედრა მთხოვა პეროვსკაიაზე, სკანდინავიურ კაფეში. მითხრა, მხარი დამიჭირე, ავსტრალიელების ვალი მართებს სახელმწიფოს და 50 % სახელმწიფოს აქციები უნდა გადაეცეს ვალის დაფარვის სანაცვლოდო. ხომ იცი, მალე არჩევნები მოდის და მხარდაჭერა გვჭირდებაო. არ დავთანხმდი, სერიოზული კამათი მომივიდა მასთან და ასე დავშორდით.

მერე მიშამ მთავრობის სხდომაზე გამოიტანა დადგენილების პროექტი, სადაც სახელმწიფოს კუთვნილი აქციების გადაცემას მოითხოვდა ავსტრალიელებზე. მე იქვე დავაყენე საკითხი, რომ კონტროლის პალატას შეესწავლა ყოველივე, ვინაიდან ავსტრალიელებს მადნის მოპოვებაზე დანახარჯი არ ჰქონდათ, საწარმოში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან მოპოვებული ოქროს შემცველი მადანი მილიონი ტონობით იყო დასაწყობებული. **სულხან მოლაშვილმა** როცა დასკვნა დადო, დადასტურდა ჩემი ეჭვი, აღმოჩნდა, რომ ავსტრალიელებს პირიქით სახელმწიფოსი მართებდა 17 მილიონი. სააკაშვილი ამან გააცოფა, მაშინ ამიგორა ის ბინძური პიარი, ხოლო მოლაშვილი როგორ აწამეს, ყველასათვის ცნობილია.

სააკაშვილი როგორც კი პრეზიდენტად დასკუპდა, „მადნეული კვარციტის“ მისაკუთრება დაიწყო. მოიყვანა ბიძამისის, კგბ-ს გენერალ **თემურ ალასანიას** ნაცნობი რუსული კომპანიები, **გენერალოვი, ტროიცკი** და სხვები. ჩამოყალიბებს სხვადასხვა ოფშორული ფირმები და კაპიკებად

**სააკაშვილია. ის დღესაც „მადნეულის“ შემოსავლებით დაპარპაშობს ევროპა-ამერიკაში, მულტიმილიონერი გახდა.** გახსოვთ ალბათ, ათეულობით მილიონი გადახდევინა **ნაყოფიას** ამერიკელებზე ფილმის გადაღებისთვის, სადაც

იქ მაღალი შემცველობის მადანია და იმიტომ. ახლა გამოდის, მე მასახელებს და ივანიშვილს აბრალებს. სააკაშვილი, რომელმაც რუსულ კომპანიებს რაო-ე-ეს-ი, რჟდ, ენერგო-პრო, გეოპრომაინინგი, კაპიტალ-გრუპი, ნევარუსსი და სხვები გადასცა. ასევე საქარ-



მალე შედგება სასამართლო და ის პირებიც ღიად დასახელდებიან, რომლებიც ჩემს კონსტიტუციურ უფლებებს ზღუდავენ!

დამარცხებული ქვეყნის პრეზიდენტი გამარჯვებულ გმირად გამოიყვანეს. განდიდების მანიით არის შეპყრობილი და საზოგადოების ნაწილს დღემდე აბრიყვებს. გაიხსენეთ, როგორ ფორთხავდა მიწაზე „ძლევამოსილი“ მთავარსარდალი.

**— თქვენ იმ „არემჯიზე“ საუბრობთ, რომელმაც ახლახან საყდრის-ყაჩაღიანის უძველესი ძეგლი ააფეთქა? ეს ამბავიც მიხეილ სააკაშვილს უკავშირდება?**

— საყდრისის ობიექტი უძველესია საქართველოს ტერიტორიაზე, მსგავსი 3000-წლოვანი ძეგლი თურქეთში შემორჩა, ტაოკლარჯეთისა და სპერის ტერიტორიაზე, რომელიც ქართული ტომების — მუშკებისა და ხალი-

თველოს სტრატეგიული ობიექტები, მადნები, ჰესები, თბოსადგურები, პორტები და სხვა. წილებში ჩაუჯდა მათ, აფხაზეთი და სამაჩაბლო იურიდიულად გააფორმებინა რუსეთს, ნახევარი საქართველო გააუბედურა და ციხეზე შესვა, გამოდის და კვლავ საზოგადოების მოტყუებას ცდილობს. ამიტომ მივმართე მიშას და საქართველოს და კიდევ ვიმეორებ: დამისვით მიშა პირდაპირ ეთერში და დაგანახებთ მის რეალურ, მოღალატებრივ სახეს, იქნებ მის მომხრეებს რეალობის აღქმა დაუბრუნდეთ. **ირაკლი ღარიბაშვილის** მთავრობას, არ უნდა გაუჭირდეს ამ საკითხის მოგვარება. საყდრისს უნდა დაუბრუნონ ისტორიული ძეგლის სტატუ-

**ნაძის დროიდან მოყოლებული, იყო სწრაფვა ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებაზე. რამდენად იყო მაშინდელი ხელისუფლება დასავლეთისკენ მიდრეკილი და მიგაჩნიათ თუ არა, რომ შევარდნაძის შეცდომებმა განაპირობა მისი „დამხობა“, რასაც შემდეგ საქართველოსთვის ცხრაწლიანი კოშმარი მოჰყვა?**

— საქართველოს ევროპაში ინტეგრაცია ისტორიულად არის განსაზღვრული. შევარდნაძის დროს დაიწყო ყველა სტრატეგიული მიმართულება, ევრო და ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაციის გეგმა, ამერიკული წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, აშენდა ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენები, შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურები, დაიწყო ტრასეკას პროგრამა და სხვა. შევარდნაძე ლიბერალურ პოლიტიკას აწარმოებდა და ზესახელმწიფოთა შორის თამაშობდა. მან 2003 წლის აგვისტოში რუსეთთან აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე მოლაპარაკება დაიწყო. ეს არ აპატია დასავლეთმა და რაც გააკეთა იუგოსლავიაში, იგივე ექსპერიმენტი საქართველოში წარმატებულად განახორციელა. **სააკაშვილი თავიდან რუსების იყო, მათი დაფინანსებით ისწავლა საზღვარგარეთ. გახსოვთ, ალბათ, 2003 წელს ნოემბერში პარლამენტი რომ დაარბიეს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ივანოვთან ხელჩაკიდებული იდგა მიტინგზე.** პირველი პუტინს შეხვდა. შემდეგ ამერიკელებს მიეყიდა და სრული კარტ-ბლანში მიიღო პირად საკითხებში, საქართველოს კი ნახევრად სახელმწიფოს სტატუსი დაუმკვიდრა. სააკაშვილის ფუნქცია იყო რუსეთისთვის ეყეფა და ამერიკელებისთვის მოეგო გული, ამის გამო ქვეყნის შიგნით პატიობდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევას, ძალადობას და რეპრესიებს. მიშა იგივეს აგრძელებს დღესაც ქვეყნის გარედან. სასაცილო

არ იყო ევროასოციაციის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე ევრო პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის მარგველაშვილის წინ რომ დასკუპდა და სახალხო პარტიის წევრს რომ დაასახელებინა თავი? გაარკვიეთ, აბა, რამდენი გადაუხადა მიშამ ლობისტებს, ამის ორგანიზება რომ გაეკეთებინა. გეხსომებათ, კიევიდან მისი ჩართვა, 15 ნოემბერს 10 კაცით რომ უნდოდა ათასის შექმნა. გეუბნებით, კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. სააკაშვილს საქართველო არ აინტერესებს, მისთვის მთავარია, საზოგადო ფონი და პირადი განდიდება. ფასადური მშენებლობა და დემოკრატია, შიგნით კი ძალადობა და სისხლი.

**— თქვენი და პატიმარ ემზარ კვიციანის ურთიერთობაზე მომიყევით. მიგაჩნიათ, რომ ემზარ კვიციანი უდანაშაულოდ ზის ციხეში? რას ფიქრობთ, თუ ის პოლიტიკური პატიმარია, ვის უქმნიდა საფრთხეს მისი თავისუფლება?**

— ისე გამოვიდა, რომ ემზარ კვიციანი ამ ხელისუფლების პირველი პოლიტპატიმარია. რადგანაც ხელისუფლება არ ცდილობს სამართლიანობის აღდგენას ემზართან მიმართებაში. აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისია, პოლიტიკური მოტივაციების გასარკვევად და გამოსაკვეთად.

საგამოძიებო კომისიამ უნდა დაჰკითხოს **სააკაშვილი, ოქრუაშვილი, ალასანია** და სხვები. გაირკვეს, რატომ დაარღვიეს აფხაზებთან 1994 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება, რატომ შექმნეს კოდორის დაკარგვის იურიდიული საფუძველი იქ ჯარის შეყვანით, მოლაპარაკების გზით რატომ არ დაარეგულირეს ურთიერთობა კვიციანთან, რატომ დათმეს უბრძოლველად კოდორი და გადასცეს ამერიკული იარაღი რუსებს?!

**ივანიშვილი** ემზარს არ იცნობდა. ემზარის პოლიტდევნილად გამოცხადების წინააღმდეგი ქალბატონი **ხიდაშელი** და **ალასანიას** ჯგუფი გამოსულა, როცა ეს საკითხი იხილებოდა. მერე ცნობილი გახდა, რომ პროტექციების საფუძველზე სიაში შევიდა და სტატუსი მიიღეს ისეთმა პირებმა, რომელთაც საერთო არ ჰქონიათ პოლიტიკასთან.

**—დღევანდელ ხელისუფლებას ბევრი მტერი ჰყავს. ვინ იცის, თქვენამდე რამდენნაირი ჭორი მოდის.**

— ყველაფერი ეს დაზუსტებით ვიცი, რადგანაც, როგორც ემზარ კვიციანის, ისე ჩემი საიკითხიც 2011 წელს მოამზადა ჰელსინკის კავშირმა და ახალ ხელისუფლებაში მეც 33 პარლამენტარის ხელმოწერილი მოთხოვნა გადაეცა ბესელიას. გაურკვეველი მოტივით მეც ამომიღეს სიიდან...

**— ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ასლან**

## „მიშამ მოიყვანა მისი ბიძის თემურ ალასანიას ნაცნობი კომპანიები, ჩამოაყალიბეს ოფშორული ფირმები და კაპიკებად გადასცეს „მადნეული-კვარციტი“. ამ ჯგუფში შედის „არემჯი“ („არმენია-ჯორჯია კომპანი“). ამ კომპანიების არააფელირებული მონწილე დღესაც მიხეილ სააკაშვილია.“

ემზარს და კოდორელებს იარაღი ჰქონდათ. მას რომ გადაეწყვიტა, ცეცხლს გაუხსნიდა ქართველ სამხედროებს და იქნებოდა დიდი მსხვერპლი, მან ეს არ გააკეთა. რაც შეეხება დაჭრილ პოლიციელებს, ეს მიშას პიარის შემადგენელი ნაწილი იყო, კვიციანების დევნის გასამართლებლად. სინამდვილეში ნაღმმტყორცნს სამხედროები ისვრიან (კადრში, ჩანს) და ტყვიაც უკნიდან მოხვედრიათ. ამაზე პასუხისმგებლობა ხეობაში ასულ სამხედროთა მეთაურს ეკისრება. **ემზარ კვიციანი** სისხლიან დაპირისპირებას გაერიდა, სააკაშვილმა ხეობაში ჯარი შეიყვანა, **ნორა კვიციანი** დაატუსაღა, შედეგად კი კოდორი დაკარგა.


საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

N 563 2013 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

„კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულების (სსმ, III ნაწ., 2006 წ., №150, მუხ. 2085) დანართით განსაზღვრულ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლების ჩამონათვალში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლთა ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნეს მე-13 პუნქტი.

მიხეილ სააკაშვილი

**აბაშიძე საქართველოში დაბრუნდება. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ აბაშიძე საქართველოში უნდა დაბრუნდეს... თქვენც აპირებთ, რამდენადაც ვიცი...**

— მე ვთვლი, რომ ყველა პოლიტდევნილი უნდა დაუბრუნდეს სამშობლოს. ზემოთაც გითხარით, რომ ჩემი დევნა სააკაშვილმა პირადი ანგარიშსწორებისთვის დაიწყო და ამას მხოლოდ პოლიტიკური საბაბი ჰქონდა. სამწუხაროდ, დღესაც არიან თანამდებობის პირები ,რომლებიც აგრძელებენ სააკაშვილის საქმეს. მე განვაცხადე, რომ მოეხსნათ ჩემთვის აღმკვეთი ღონისძიება, ახალი გარემოებების საფუძველზე პროკურატურას საქმე გადაეცა სასამართლოსათვის, ღია განხილვა დაწყებულიყო, ჩემი თანდასწრებით. **დარწმუნებული ვარ, ღია სასამართლო სააკაშვილის ბრალდებით დამთავრდება**. ვინ ზღუდავს ჩემს კონსტიტუციურ უფლებას სამართლიან გამოძიებაზე და მართლმსაჯულებაზე, მალე დადგინდება და ის პირები დასახელდებიან. ხელისუფლება უნდა გათავისუფლდეს მათგან და სამართლიანობა ყველას მიმართ უნდა აღადგინოს სრულად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**P.S. ლევან მამალაძე კრიმინალის და სახელმწიფო დამნაშავის მიხეილ სააკაშვილის მიერ არის დევნილი საქართველოდან.**

**რატომ ვერ ბრუნდება იგი სამშობლოში მაშინ, როცა სახელმწიფო დამნაშავეები — „ნაცმოძრაობის“ ბოსები, თავისუფლად დაჯირითობენ უკრაინაში, ამერიკასა და ევროპაში?**

# ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას მაშინ ექნება აზრი, თუ საქართველო მმართველობის საპრეზიდენტო მოდელს დაუბრუნდება

3 gv.

ძალა არ აქვს, მანქანის მართვაში აქვს გამოცდილებას მნიშვნელობა და ბუნებრივია, სახელმწიფოს მართვაში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება გამოცდილებას.

**— ხელისუფლებაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს როგორ აფასებთ, რას შეიძლება ეს ნიშნავდეს? საუბარია, სამთავრობო ცვლილებებზეც...**

— ზემოთ გამოცდილებაზე ვისაუბრე, აი, ამ გამოცდილების დაგროვების პერიოდში გასაკვირი არ არის კადრების ცვლა. გავიხსენოთ, რა სიხშირით იცვლებოდა კადრები ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და ეს კრიზისად არ ფასდებოდა, ეს ფასდებოდა ძიებად. და ასეთი ძიება აბსოლუტურად ბუნებრივია. მე მივესალმები იმას, თუ გაგრძელდება ეს ძიება და არ იქნება ფრიგიდულობა, გახევება ყოველი კადრის დანიშვნისას. ასეთი დინამიურობა ყოველთვის, ადრე თუ გვიან, სასურველ შედეგს გამოიღებს.

**—დაბოლოს, ბევრს საუბრობენ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე... როგორ ფიქრობთ, რამდენად**

ბად უწევენ ანგარიშს. ჩვენს რეალობას რა მხრივ, იმ მდგომარეობას, რომელშიაც არის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყანა. სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ჩამოყალიბების პროცესში ვართ, მაგრამ ამასთანავე ვისურვებდი იმასაც, რომ ივანიშვილი დაბრუნებულიყო პოლიტიკაში, მიუხედავად მისთვის დიდი პიროვნული სირთულეებისა, შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინა მას ეს ტვირთი, ანუ მოეხსნა ზედმეტი გადაწყვეტილებების მიღების ტვირთი, მაგრამ თავისი ავტორიტეტი გაეხადა, გადაექცია იმ ძალად, რომლითაც უფრო მეტის გაკეთება შეეძლება ხელისუფლებას. ღარიბაშვილთან საკრიტიკო ბევრი არაფერია, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური წონის არის ივანიშვილი. და, აი, ამ პოლიტიკური წონის მაქსიმალური გამოყენება, რა თქმა უნდა, თანამდებობაზე ყოფნით არის შესაძლებელი. ახლა ვერსიებზე ვლაპარაკობთ... ოღონდ კიდევ ერთ რამეს ვისურვებდი, თუ სურვილებზეა, თუ დაბრუნდება ივანიშვილი, ისევე როგორც ნებისმიერი პოლიტიკური მომავალი საქართველოში გაგრძელებულიყო საპრეზიდენტო მმართველობის რეჟიმში. ჩვენ დღეს ვერ ვხედავთ, მაგრამ უახლოეს ხანებში საპარლამენტო





**დიდია ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების ალბათობა?**

— რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას, მე არც ადრე ვიყავი მომხრე იმისა, რომ წასულიყო, მაგრამ ძალიან კარგად მესმოდა, რატომ უნდოდა წასვლა დიდი პოლიტიკიდან ადამიანს, რომლისთვისაც პოლიტიკა არ არის მოწოდება და ამ საქმეში სიამოვნებას ვერ პოულობს. აი, ამიტომ წავიდა. თვლიდა, რომ მისი საქმე ეს არ იყო. და რამდენიმეჯერ თქვა კიდეც ეს. არ სიამოვნებს ადამიანს ეს, პოლიტიკისთვის დამახასიათებელი საქმიანობა. დღეს იმასაც აცხადებენ, ისევ ის მართავს ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესებსო, და თუ მაინც ასეა, რაღას მიდიოდაო. აი, მე მივესალმები მაგას, რომ მართავს ხელისუფლების წარმომადგენლებს, იმიტომ, რომ ივანიშვილს შეეძლო ხელი დაებანა, ეთქვა, მე ჩემი საქმე გავაკეთე და კარგად ბრძანდებოდეთო, მაგრამ ასე არ მოიქცა. და სასიამოვნოა, რომ იმ ნდობის, რაც ხალხმა პიროვნულად მას გამოუცხადა თითქმის ყველა არჩევნებში, პასუხიმგებლობას ის გრძნობს და არ უნდა, რომ მოკლე ხანში მის სახელს დაუკავშირდეს ხალხის უკმაყოფილება. დიახ, ზრუნავს იმაზე, რომ ხალხი არ იყოს უკმაყოფილო მის მიერ შექმნილი ხელისუფლებით. რითია ეს დასაწუნი, მე ეს არ მესმის. მე ეს არ მესმის რა, ანუ მესმის, რომ გვერდიდან არ უნდა იმართებოდეს და ა.შ., მაგრამ ამ პოზიციის ავტორები ჩვენს რეალობას ცოტა ნაკლერესპუბლიკა უმძიმესი ამოცანების წინაშე დაგვაყენებს, იმიტომ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის საყრდენი არის პოლიტიკური ძალა, პარტია, ხოლო საქართველოში არის ტენდენცია, რომ ერთი პოლიტიკური პარტია იყოს, ყოველთვის ასე იყო ხომ?! ამ ფონზე მივიღებთ მიკრო საბჭოთა კავშირს. ჰოდა, როდის მივხვდებით ამას, არ ვიცი, მაგრამ უფრო ხელებგახსნილი, რომ იყოს აღმასრულებელი ხელისუფლება, ვისურვებდი საპრეზიდენტოს, ოღონდ გამართული, დაბალანსებული საპრეზიდენტო მმართველობა ქვეყანას უფრო გამოადგება. და ასეთი მმართველობის სათავეში ივანიშვილის მოსვლაც მისი უკან დაბრუნება კი არ იქნება, ახალ ამპლუაში ყოფნა იქნება, რაც მისთვისაც შეიძლება უფრო საინტერესო იყოს. ახლა რეალური არის თუ არა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მოახერხებს დღეს არსებული მთელი სახელისუფლებო გუნდი მოგროვილი და არსებული პრობლემების დაძლევას, თუ მოახერხებს ეს გუნდი პრობლემების დაძლევას, მაშინ ალბათ, ივანიშვილის დაბრუნების საკითხი მოიხსნება დღის წესრიგიდან, თუ ვერ მოახერხებს და მცდელობებიც და ცვლილებებიც არ უშველის, საკადრო, რაც ბოლო ხანებში იყო, მაშინ, ალბათ, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში დარჩება და კიდევ უფრო აქტიურად.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



**ვაჟა ბერიძე:**

# ევროპისგან უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ისეთი შეურაცხყოფა არ მიაყენონ, როგორც ევროპარლამენტის საზეიმო ცერემონიალზე ძებნილი პირების მიწვევაა

**გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვაჟა ბერიძე:**

**— ბატონო ვაჟა, ამ დღეებში, ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. საზოგადოება, მის ავკარგიანობაზე, ინფორმირებული არაა. რა შეიცვლება ამით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში?**

— ასოცირების ხელშეკრულება, ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, წინგადადგმული ნაბიჯია. ეს, ქართველი ხალხის, ისტორიული არჩევანია. საზოგადოების აზრის გასაგებად, საუბარი მიდის იმაზე, ხელახლა ხომ არ ჩატარდეს რეფერენდუმი. ვფიქრობ, ეს ზედმეტი დროისა და თანხის კარგვა იქნება. როგორც საზოგადოების მცოდნეს, მიმაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ევროკავშირთან დაახლოების მომხრეა. რეფერენდუმების ჩატარების აუცილებლობაზე არ ვისაუბრებდით, ქვეყანაში რამდენიმე ავტორიტეტული, პროფესიული უნარებით აღჭურვილი სოციოლოგიური კვლევების კომპანია რომ გვქონოდა. არსებული ქართული კომპანიები ავტორიტეტით არ სარგებლობენ და დისკრედიტირებულნი არიან ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამო, ხოლო სხვა, ახალი კომპანიები, ჩემდა გაუგებრად, რატომღაც არ ყალიბდება. რაც შეეხება „აი-რაის" და „ენ-დი-აის", ისინი ამერიკის ადმინისტრაციასთან დაახლოებული ორგანიზაციებია, რომლებიც სასურველს რეალობად წარმოაჩენენ. ფაქტობრივად, ხალხის განწყობა არ ვიცით. ამის გასაგებად ერთადერთი მექანიზმი არჩევნებია. თუმცა საარჩევნო სისტემა იმდენად მახინჯი და ნაკლოვანია, რომ შედეგზე აქაც პრეტენზიები არსებობს. თითქოს, არჩევნებსა და აღნიშნულ ხელშეკრულებას შორის კავშირი არ არსებობს, მაგრამ როგორ შეიძლება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე ვისაუბროთ, თუ სამართლიანი არჩევნების ჩატარება ეჭვქვეშ დგას და საზოგადოებრივი აზრის კვლევა არ არსებობს. ეს ველური, ნახევრად ცივილიზებული სამყაროს დამახასიათებელი ნიშანია. ბოლო პერიოდში, უფრო სახიფათო თემებიც გაჟღერდა. თამარ ჩერგოლეიშვილმა გადაცემა „თეორემაში" „ერთიანი დემოკრატიული მოძრაობისა" და „პატრიოტთა ალიანსის" აკრძალვის საკითხი დასვა, მოტივით — ისინი პრორუსული პარტიებია და საქართველოში, მათ, არსებობის უფლება არ აქვთო. ისმის კითხვა — ვინ განსაზღვრავს და ადგენს პრო-რუსულობის კრიტერიუმებს? მეორეც, თუ ხალხი თუნდაც არასწორ პრო-რუსულ არჩევანს უჭერს მხარს, ვის აქვს უფლება საზოგადოებას არჩევანის საშუალება არ მისცეს? ჩვენ, თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო ვართ თუ დაპყრობილი ქვეყანა? თუ დაპყრობილი ქვეყანა ვართ, მაშინ საქართველოში ნებისმიერ დამპყრობელს შეუძლია არჩევნების შედეგები გააუქმოს, სასურველი პოლიტიკური სპექტრი ჩამოაყალიბოს და არჩევნები თავიდან ჩაატაროს. ჩერგოლეიშვილი რიგითი ჟურნალისტი არ გახლავთ, იგი გიგა ბოკერიას მეუღლე და იდეურად, მსოფლმხედველობრივად „ნაცმოძრაობასთან" დაახლოებული პირია. ხედავთ რა ხდება? — ევროკავშირისკენ მივდივართ და, ამ დროს, შესაძლოა, თუ ამ პარტიების მხარდაჭერა 15-20%-ს ასცდა, ისინი აიკრძალებიან, რაც საინტერესო ფაქტია. რა გამოდის, ევროკავშირი ნებაყოფლობითი გაერთიანება და ჩვენი არჩევანია თუ რაღაც ძალდატანებითი პროცესი? ჩერგოლეიშვილმა მაგალითად მოლდოვა მოიყვანა, სადაც თურმე, პრო-რუსული პარტია იმის გამო აკრძალეს, რომ არჩევნებში გამარჯვების შანსი ჰქონდა და შედეგად, პრო-დასავლურმა პარტიამ გაიმარჯვა. თუ დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკა მართლაც ასეთი ტაკიმასხრობაა, რა თქმა უნდა, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პრესტიჟიც ეჭვქვეშ დგება.

**— ბატონო ვაჟა, დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ ფორმალურად შევქმენით. რა ამოცანებია გადასაწყვეტი თვისობრივად ახალი სახელმწიფოს შექმნისთვის?**

— როდესაც საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია ერთი რამ — ნებისმიერ კავშირში შესვლა საქართველოს წინაშე მდგომი ორი სერიოზული ამოცანის გადასაწყვეტად გვჭირდება — ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, რის გარეშეც საქართველოს დეზინტეგრაციის პროცესი გაძნელდება, ქვეყანა არ შედგება, ანუ დაიშლება, გაქრება და გვექნება მხოლოდ ტერიტორია სახელად საქართველო და მეორე, ეკონომიკის ამუშავება და უმუშევრობის დაძლევა. თუ ეკონომიკა არ ამუშავდა, ჩვენს დამოუკიდებლობას ეკონომიკური საყრდენი არ ექნება. ქვეყნიდან ტოტალური მიგრაციის პროცესი გაგრძელდება და ფაქტობრივად, 10-15 წელიწადში მივიღებთ საქართველოს მოსახლეობისგან დაცლილ ტერიტორიას, რომელსაც დემოგრაფიულად აქტიური რეგიონებიდან — ჩინეთიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ბანგლადეშიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან დაძრული მოსახლეობა შეავსებს. დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი იმიტომ გვჭირდება, რომ ჩვენი ბედი თავად გადავწყვიტოთ და პროცესი, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის თვალსაზრისით მიუღებელია, ვარეგულიროთ. თუ ეს ორი საკითხი არ გადაწყდება, უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში, საქართველოს პერსპექტივა არ აქვს. დავუბრუნდეთ თქვენს კითხვას, რა შედეგი შეიძლება მოგვიტანოს ასოცირების ხელშეკრულებამ? — ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერი არ გვაქვს, რაც შეიძლება ევროპის ბაზარს შევთავაზოთ. რა თქმა უნდა, 500 მილიონიანი ევროპის ბაზარი უფრო მიმზიდველია, ვიდრე 150 მილიონიანი რუსეთის ბაზარი. პერსპექტივაზე გათვლით ყველაფერი საიმედოა, მაგრამ ტერიტორიული დეზინტეგრაციისა და ეკონომიკის პრობლემების დამანგრეველი პროცესი რომ შევაჩეროთ, ამისთვის მოკლევადიან პერსპექტივაში ხალხის დასაქმება და შემოსავლებით მათი უზრუნველყოფა გვჭირდება. ხელისუფლება ბევრ შეცდომას უშვებს. ფაქტობრივად, არ აქვს ქვეყნის მომავალზე გათვლილი განვითარების კონცეფცია, რაც მიუღებელია.

**— ოპოზიცია რუსეთის ბაზარზე პროდუქციის შეტანას აპროტესტებს.**

— რუსეთის გარეშე, ამ პრობლემის გადაწყვეტა, შეუძლებელია. დიახ, მეორე მხრივ, ნაციონალური ოპოზიცია ამბობს — არანაირი ურთიერთობა რუსეთთან, შევუერთდეთ რუსეთის მიმართ ეკონომიკურ ბოიკოტს, არ შევიტანოთ ჩვენი პროდუქცია მის ბაზარზე, რაც მიზერულ ეკონომიკურ ზრდასაც საფრთხის წინაშე დააყენებს. არსებობს რეალური პრობლემა. პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ როგორ შეიძლება ურთიერთობის დალაგება ქვეყანასთან, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობები არ გვაქვს. ახლა, საუბარია პუტინთან პრეზიდენტის ან პრემიერის შეხვედრაზე. აქ, საკითხი მარტივად დგას — რომელი ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდება პუტინი, რომლის ტერიტორიაზეც სამი საელჩოა გახსნილი და 20% ოკუპირებული აქვს, თუ იმ ქვეყნისას, რომელიც, დამოუკიდებლობის პირველი 15 წლის მანძილზე, მისი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა იყო. აქაც პრობლემაა, როგორ უნდა მოხდეს ამ შეხვედრის დაგეგმვა და ორგანიზება? მაგრამ მარტივად ვიტყვი, ეს პოლიტიკური პროცესის ნიუანსები, დეტალებია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. ვინც ამბობს, რომ რუსეთთან არ უნდა დავილაპარაკოთ, ეს დაუშვებელია ვიდრე მათ საქართველოს 20% ოკუპირებული აქვთო, იგი ან შეგნებული მავნებელია ან ქვეყნის შეუგნებელი მტერი. იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია, სამწუხაროდ, ურდოებთან, ვეშაპებთან, დამპყრობლებთან ურთიერთობის ისტორიაა. ჩვენი მეფე-მთავრები ყოველთვის ცდილობდნენ დამპყრობლებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონოდათ, რათა უარყოფითი შედეგები მინიმიზება და მისი ლიკვიდაცია მოეხდინათ. ასე გამოვდიოდით უმძიმესი მდგომარეობიდან. რა თქმა უნდა, პუტინთან შეხვედრა და დიალოგის დაწყება აუცილებელია.

რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკურ ნაწილს, ბუნებრივია, ბევრი რამ გვაქვს მოსაწესრიგებელი თუნდაც, არჩევნების ჩატარების, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ევროპისგან მოვითხოვთ, საქართველოს, როგორც მათთან ასოცირების ხელშეკრულების მქონე ქვეყნის ინტერესებს პატივი სცენ და საქართველოს მოსახლეობას ისეთი შეურაცხყოფა არ მიაყენონ, როგორიც ევროპარლამენტის სხდომის საზეიმო ცერემონიალზე ძებნილი პირების მიწვევაა. ეს დაუშვებელია.

**— მსოფლიოში პროცესები დინამიურად ვითარდება, ჩვენ კი ერთიდაიმავეს გავიძახით — ნატოში, ევროკავშირში შევდივართო. საკმაოდ ძლიერი ქვეყნები ევროკავშირიდან გამოდიან. ჩვენ რატომ მივილტვით ასე, რა არის ჩვენისთანა ლატაკი ქვეყნისთვის იქ გაწევრიანებით მომგებიანი?**

— ერთადერთი და უპირველესი, პერსპექტივაა. თუ ევროკავშირში ინტეგრაციისთვის სერიოზულად მოვემზადებით, პერსპექტივაში ისეთივე უზრუნველყოფილი სოციალური დაცვის სისტემა გვექნება და ა.შ. ეს ძალიან მაღალი სტანდარტებია. ოღონდ, სანამ ამას მივაღწევთ, არსებობს პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის გამოცდილება, სადაც, პირველ წლებში, მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენების მდგომარეობა გაუარესდა კიდეც. თუ პრევენციული ღონისძიებები არ ჩატარდა, შეიძლება პროდუქციაც გაძვირდეს, ცხოვრების დონეც, გაიზარდოს გადასახადების ოდენობა, რადგან იქ ცხოვრების დონე მაღალია, მაგრამ ამავე დროს მაღალია გადასახადების დონეც. იქ, არსებობს ბიუჯეტის დეფიციტის ნორმა, რომლის იქეთაც, ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას, გარკვეული პროცენტის ზევით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა არ შეუძლია. ამიტომ, რა თქმა უნდა, ხელშეკრულება არაა ულევი რძის მდინარეები ან ოქროს ნაპირები, სადაც შეხვალ და სამოთხეში აღმოჩნდები. ბუნებრივია, თავდაპირველად, ამ გზაზე, სერიოზული პრობლემები და წინააღმდეგობები შეგვხვდება. მაგრამ უახლოესი პერსპექტივისთვის მიმზიდველია უვიზო რეჟიმის სისტემა, რომელიც შესაძლოა, 1-2 წელიწადში, საქართველოსთვის რეალობა გახდეს და უმუშევართა ძალიან დიდი არმიიდან რაღაც ნაწილმა ევროპაში დასაქმების პერსპექტივით ისარგებლოს. თუმცა თავისუფალი სავიზო რეჟიმი, რომელიც მოლდოვამ მიიღო ევროკავშირის ქვეყნებში შესვლას დასაქმების პერსპექტივით, არ ითვალისწინებს. ყოველ შემთხვევაში, სიტუაციას ასე უნდა შევხედოთ — ევროკავშირი არის პერსპექტივა, ქვეყნისთვის უკეთესი მომავალი და უალტერნატივო განვითარების გეზი. მაგრამ ეს არ



8 gv.

# ბაია ამაშუკელი:

# ტელეკომპანია „იმედი“ ნაციონალების მიერ კომპანიაში ჩანერგილმა ჟურნალისტების იმ აგენტურამ შეიწირა, რომელსაც გიორგი თარგამაძე ხელმძღვანელობდა



**გვესაუბრება ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი თანამშრომელი ბაია ამაშუკელი**

**— ქალბატონო ბაია, გასულ კვირას ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერში მომღერალმა ნინა წკრიალაშვილმა მამათქვენი, ბატონი რეზო ამაშუკელი არაკორექტულად მოიხსენია. რა მიზანი ჰქონდა, როგორ ფიქრობთ?**

— მამაჩემმა სამი უმძიმესი ოპერაცია ერთადროულად გადაიტანა. შესაძლოა, იგი სწორედ „ნაცებთან“ ომის გამო არ გიყვარდეს, მაგრამ ურეკავენ ჟურნალისტები და იმის ნაცვლად, ზრდილობის გამო მაინც მოიკითხონ, ამ უტვინო ნინა წკრიალაშვილის ნაბჟუტურებზე სთხოვენ კომენტარს. წკრიალაშვილი, საერთოდ, უმძიმესი შემთხვევა და ცალკე თემაა — არ მინდა ახლა მასზე საუბარი. გულწრფელად მეცოდება მისი მშობლები. ჰგონიათ, „ცნობადი“ შვილი გაზარდეს. ეს კი ელემენტარული უტვინო და გაუზრდელია. „ტაბულასგან“ სხვას რას უნდა ველოდოთ. ისე, რაც არ უნდა არაპოპულარულად ჟღერდეს, აქვე ვიტყვი, რომ ერთეული ჟურნალისტების გარდა ყველა მართული და არაპროფესიონალია! მხოლოდ საზოგადოების ნერვების წყვეტაზე არიან გადასული. საზოგადოების უმრავლესობაც დღეს ქართულ ტელეარხებს აღარ უყურებს და ბოლოს მაყურებლის გარეშე დარჩებიან. ყველა გადაცემაში ნაციონალების ოდიოზურ სახეებს რომ დასვამ და უფრო მეტს ასაუბრებ, ვიდრე მის ოპონენტს — ეს ხომ საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს. ეროვნულად მოაზროვნეს, პატიოსან ადამიანს, პრაქტიკულად, ტელე-გადაცემებში ვერ ნახავთ. ამიტომაც საზოგადოება ტელევიზიებს დღესაც ნაციონალების სატელიტად თვლის!

**— ამას „იმედის“ თანამშრომლებზეც იტყვით? თქვენ ამ ტელეკომპანიის ყოფილი თანამშრომელი ხართ. მაშინდელი და ახლანდელი „იმედი“ მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. რა ნაბიჯებით მივიდა ძველი „იმედი“ ახალ „იმედამდე?“**

— გასახსენებლად ეს ჩემთვის ძალიან მიმე პერიოდია, რადგან „იმედში“, მისი დაარსების დღიდან ვმუშაობდი. იქედან კი, ფაქტობრივად, ჩემი პოლიტიკური პოზიციის გამო გამათავისუფლეს. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მე პოლიტიკასთან და საინფორმაციო სამსახურთან შეხება არ მქონია. ვებ-გვერდზე ვმუშაობდი მთავარ რედაქტორად. თუმცა ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები ჩემს თვალწინ ხდებოდა და შესაბამისად, ყველაფრის საქმის კურსში ვარ.

გემახსოვრებათ, 2007 წელს რა საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც **ბადრი პატარკაციშვილი** შემოვიდა პოლიტიკაში. ბადრისგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს და **სააკაშვილს** თუ ვინმე მოაშორებდა, ამას მხოლოდ მივესალმებოდი. ბადრის სერიოზული ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდა, არჩევნები თანხებს საჭიროებს და პატარკაციშვილის გამოჩენით ხალხს იმედი მიეცა. თუმცა თურმე სადა ხარ?! ნაციონალები რისი ნაციონალები იყვნენ „იმედში“ თავიანთი „აგენტურა“ რომ არ ჰყოლოდათ ჩანერგილი. ეს ბადრიმ, რასაკვირველია, არ იცოდა. ის გიორგი თარგამაძეს ენდობოდა, მაგრამ მერე რითიც გადაუხადა, ყველამ ვნახეთ. მეც, გარკვეულწილად, ჟურნალისტიკასა და პუბლიცისტიკასთან მქონდა შეხება, თქვენს გაზეთშიც ვწერდი პუბლიკაციებს და მინდა გითხრათ, რომ არ მესმის ჟურნალისტთა კორპუსის ასეთი უზნეო ქცევის. ან თუნდაც, არც ერთი ჟურნალისტი რატომ არ ახსენებს იმას, რომ 2003 წელს სარჩევნო სიების კომპიუტერული ვერსიის გაყალბებით მოვიდნენ ნაციონალები პოლიტიკაში?! არ მესმის, რატომ ჩამოყალიბდა ჟურნალისტთა კორპუსი “ხელშეუხებელ კასტად”.

მაგრამ, მოდით, დავუბრუნდეთ „იმედს“ და ბატონი ბადრის განცხადება გავიხსენოთ: „ბოლო თეთრამდე დავხარჯავ ხელისუფლების მოსაცილებლადო”, შემდეგ ეს განცხადება მისი პოლიტიკური დევნის საფუძველი გახდა.

როცა ბადრი ლონდონში წავიდა. იმ პერიოდში „იმედს“ მართავდა აშშ-ს წარმომადგენელი **დევიდ ლუისი**. ბადრიმ ამერიკული მხარე, ჩანს, ტელევიზიის დაზღვევის მიზნით შემოიყვანა.

სამი თვის განმავლობაში დაყადაღებულ ტელევიზიაში დაამტვრიეს ყველაფერი, მათ შორის ის მოწყობილობა, რითაც ტელევიზია სატელიტზე გადიოდა. მოკლედ, ტელევიზიაში და პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლონდონიდან ბადრი საპრეზიდენტო პროგრამას აგზავნიდა, რომელიც მოსახლეობისთვის ძალიან მომგებიან პირობებს ითვალისწინებდა — გაზის, ელექტროენერგიისა და უმუშევართა დოტაციის შესახებ. ყველა დიდი იმედით ელოდა ამას. თუმცა ამ ცნობას წინ **კოდუას** ლონდონში გამგზავრება უძღოდა. თანამშრომლები ველოდით კოდუასა და ბადრის შეხვედრის ფირს, რომელიც გადმოიგზავნა, თუმცა თარგამაძემ, როგორც თქვა, თავისი „კომპიუტერის ქეისში“ ჩაკეტა და შემდეგ დამონტაჟებული ვერსიით, ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, „რუსთავი-2“-მა გაავრცელა. მანამდე ლონდონში **გიორგი თარგამაძეც** გახლდათ და ჩემი აზრით, სწორედ იქედან დაბრუნების შემდეგ „დაიჭირეს“ ის ყურებით ნაციონალებმა. გავრცელებული ინფორმაციით, „აჭარის საზღვაო ბანკიდან“ მილონამდე ჰქონდა გატანილი და ჩანს, ამ თანხის სანაცვლოდ დაითანხმეს თანამშრომლობაზე. ნუ დაგვავიწყდება, რამდენი აგენტი ჰყავდათ ნაციონალებს „იმედში“ ჩანერგილი და ეს „ნაღმიც“, მათთვის საჭირო დროს აამოქმედეს.

**— კერძოდ, თქვენი აზრით, ვინ იყვნენ იმედში „ჩანერგილები“?**

— **გურამ დონაძის, ვანო მერაბიშვილის** მარჯვენა ხელის სიძის — „ეკო-ფუდის“ დირექტორის **მამალაძის** მეგობრები — **ლევან ვეფხვაძე** და **გიორგი ახვლედიანი**. ვეფხვაძე ჯერ კიდევ „მოქკავშირიდან“ მეგობრობდა ნაციონალებთან. ახლგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი იყო და ისიც მის მეგობარს, თუ არ ვცდები, გვარად **გოგავას** წაართვა. მიშა მაჭავარიანის დაქალები — დები **სტეფნაძეები**, რომლებიც ყოველთვის **ინგა გრიგოლიას** გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები იყვნენ. ერთ-ერთი დღესაც იქ მუშაობს, ასევე **მათე კირვალიძე** და სხვები. რაც მთავარია, მთელმა ტელევიზიამ იცოდა, რომ ჟურნალისტები, საინფორმაციოს ხელმძღვანელიც ხომ თარგამაძის ცოლი — **თათია თოფურია** და სიდედრი **მანანა ითონიშვილი** — მეტყველების პედაგოგი, მთელი საინფრომაციოს შემადგენლობა ღამღამობით **გივი თარგამაძესთან** დარბოდა კონსულტაციებზე. მოკლედ, ყველას გვახსოვს, ჟურნალისტების დემარში — „იმედის“ სახურავზე რომ აძვრნენ და განცხადება გააკეთეს: თუ პატარკაციშვილი თავისი აქციების 2%-ს არ მოგვცემს, მუშაობას არ გავაგრძელებთო. რატომ უნდა მიეცა? არარაობებიდან ქალებად და კაცებად აქცია. უზარმაზარ ხელფასებს იღებდნენ. საზღვარგარეთ დადიოდა „დროების“ შემადგენლობა. რომელს ჰქონდა ჩადებული ერთი თეთრი მაინც ტელევიზიაში 2%-ს რომ ითხოვდნენ? თანაც იმ დროისთვის უკვე ბადრისაც აღარ ეკუთვნოდა აქციები. მოკლედ, როგორც გაირკვა, ეს „პროტესტი“ **გიორგი თარგამაძის** მიერ მართული ე.წ. „გაფიცვა“ იყო. საინფორმაციოს გარეშე ტელევიზიას „სამაუწყებლო ლიცენზია“ უჩერდებოდა. ამიტომ, როდესაც ბადრიმ ლონდონიდან დარეკა გიორგისთან: რა ხდება მანდო, თარგამაძემ მიუგო: საინფორმაციო დაშლილია, ხალხი გამექცა და რა ვქნა, როგორ ვიმუშაოო?! ბადრიმ თავად უთხრა: გააჩერე ტელევიზიაო! იცოდა, მაინც გააჩერებდნენ. ამ „გაფიცვას“ კი ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ „იმედის“ დაფარვის არე საქართველოს 70%-ზე ვრცელდებოდა. უამრავი სატელიტური ანტენა დადგა პატარკაციშვილმა ამისთვის. ახლოვდებოდა არჩევნები და ნაციონალებს არ აწყობდათ, რომ მოსახლეობას სიმართლე გაეგო. თარგამაძემ დიდი სამსახური გაუწია ნაციონალებს და 7 ნოემბრის დამრბევი მიშა ისევ ხელისუფლებაში დარჩა. ყველა თანამშრომელი და ჟურნალისტიც, იმ პერიოდში აფიქსირებდა, რომ ბადრი არასდროს ჩარეულა მათ პროფესიულ საქმიანობაში და საინფორმაციო პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებმა დემარში მაინც მოაწყვეს. **ეკა ხოფერიამ**, როგორც განაცხადა, ე.წ. „ოჯახური პირობების გამო“ დატოვა ტელევიზია. თუმცა დღეს ისევ „იმედზეა“. სწორედ ეკა იყო „რუსთავი-2“-ის საინფორმაციოს ხელმძღვანელი, როცა რევოლუცია მზადდებოდა. მართალია, რაღაც განცხადებით იქედანაც წავიდა ბოლოს, მაგრამ ასეთი დამთხვევების არ მჯერა.











8 gv.

7 gv.

**— ინგა გრიგოლიაც წავიდა მაშინ, მერე ბევრი იარა თუ ცოტა, პოლიტიკოსობაც სცადა, გიორგი თარგამაძის პარტიაში გაწევრიანდა, საკრებულოს წევრიც იყო, თუმცა დღეს კვლავ „იმედზე“ მუშაობს.**

— მახსოვს, გრიგოლიამ მაშინ თქვა: მე საპრეზიდენტო კანდიდატის ტელევიზიაში ვერ დავრჩებიო და მეორე კანდიდატის **ჟუჟანეიშვილის** გადაცემაში გადავიდა მიშასგან კონტროლირებად პირველ არხზე. სხვა ჟურნალისტებიც ზუსტად ერთ საათში გადანაწილდნენ სხვადასხვა ტელევიზიებში. დანარჩენი თანამშრომლები კი უმუშევრები დავრჩით. მეტიც, ეკა ტყეშელაშვილის ბიძაშვილმა **გოჩა ტყე**დირექტორობიდან. მის ნაცვლად კი მის მიერ მოყვანილი, თანამშრომლების დირექტორთან დამსმენი **გიორგი ლომინაძე** დანიშნეს. მან გამათავისუფლა სამსახურიდან მეც. საინფორმაციოს ხელმძღვანელად კი ჯერ კიდევ ბარათაშვილის დროს, **მანანა მანჯგალაძე** მოიყვანეს. როგორც ამბობდნენ, **გიგი უგულავას** ახლობელი იყო. აღვნიშნავ, რომ ერთადერთი ჟურნალისტი გახლდათ, ვინც ნორმალურ სალამს ამბობდა. თარგამაძე რიგით თანამშრომლებთან სალამს ერიდებოდა. რაც შეეხება თარგამაძის „ქრისტიანობას და დემოკრატობას“ „დროებაში“ ალავერდის ეპარქიაზე გასული სიუჟეტის სიდი-დისკზე გადაწერა ვთხოვე. ბადრის ფულით ნაყიდი დამტვრეული სიდები სულ ძირს ეყარა მის ოთახში. ერთი ამბავი ატეხა: ფულის გადახდა არ უნდათ —

# ტელეკომპანია „იმედი“ ნაციონალების მიერ კომპანიაში ჩანერგილმა ჟურნალისტების იმ აგენტურამ შეიწირა, რომელსაც გიორგი თარგამაძე ხელმძღვანელობდა



**შელაშვილმა** „ეტალონის“ წამყვანმა, მისი გადაცემის რეკვიზიტი გაიტანა დაყადაღებული ტელევიზიიდან იმ დროს, რა დროსაც, ტელევიზიის მაშინდელ დირექტორს — **ბიძინა ბარათაშვილსაც** კი არ უშვებდა ტელევიზიაში სპეცნაზი.

**— 7 ნოემბრის დარბევის დროსაც იქ ხომ არ ყოფილხართ?**

— რაც შეეხება 7 ნოემბრის საღამოს, რუსთაველის დარბევის შემდეგ „იმედშიც“ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელევიზიაში შემოჭრასაც აპირებდნენ. ტელევიზიის მთელი პერიმეტრი კონტროლდებოდა კამერებით და **გიორგი თარგამაძემ**, რომელმაც ქოშინით მარათონის სპექტაკლი მოაწყო: შემოვიდნენ ტელევიზიაშიო, საინტერესოა, რამ ააქოშინა ასე?! მეოთხე სართულის თავისი კაბინეტიდან — მესამე სართულზე, სტუდიაში კიბის მხოლოდ ერთი მარში ჩამოიარა. იმ დროს იქ გადაცემაში მოწვეული სტუმრებიც იყვნენ. სპეცნაზმა ისინიც და თანამშრომლებიც იატაკზე დაყარა. **გიორგი თარგამაძეს** კი **ერეკლე კოდუას** მძღოლმა კაბინეტიდან პირადი იარაღი ჩამოუტანა და ის და მისი ოჯახი კოდუას დაცვის ქვეშ გაიყვანეს ტელევიზიიდან. ამ დროს თუ „ბადრის პოლიტიკაზე“ იყო საქმე, როგორც საინფორმაციო პოლიტიკის ხელმძღვანელი — პირველი თარგამაძე უნდა ეცემათ. რაც შეეხება საინფორმაციოს ჟურნალისტებს, უმეტესობას ბანკებიდან სესხები და კრედიტები ჰქონდათ გამოტანილი. როგორც ჩანს, ეს დათმობად ღირდა. არ დავასახელებ გვარებს, მათაც იციან და ბევრმაც ვიცით, ვინ 100 000, ვინ 1 200 000, ვინ კიდევ 3 000 000 დაფარა. თარგამაძეზე ითქვა, რომ 50 000 0000 მიიღო პარტიის შესაქმნელადო. შესაძლოა, „ეკო-ფუდს“ დაავალეს. **მაგული გოგიტიძის** დროინდელი **მეუფე დიმიტრის** ნდობითაც ისარგებლა და ვითომ პატრიარქის კურთხევით, პარტიის პომპეზური პრეზენტაცია მოაწყო. პირადი დანაზოგებით შევქმენი პარტიაო, ასე თქვა. რა დაზოგეს ამდენი კრედიტების და საბანკო ვალების პირობებში?! საინფორმაციოს გაფიცვის შემდეგ, როგორც გავიგეთ, თარგამაძე დევიდ ლუისმა დაიბარა და უთხრა: „საინფორმაციოს არავინ აგარევინებს, თუ გინდა „დროების“ წამყვანად დარჩი, თუ არა — წადიო. თარგამაძეს, ჩანს, უკვე მოკვარახჭინებული ჰქონდა საქმე და ტელევიზიიდან წავიდა. მერე ყველას გვახსოვს „ქრისტიან დემოკრატებისგან“ ნაცების მხრიდან „ნებადართული“ ლანძღვა-გინება საპარლამენტო სხდომებზე. შემდეგ ბიძინა ბარათაშვილიც გაუშვეს ჩანაწერი კოო. ხვალ ვიყიდი და მოვიტან-მეთქი, ვთქვი. ამჯერად გადაწერონ, ოღონდ სხვა დროს არაო. ეს ხდებოდა თარგამაძის მიერ „დროებაში“ მიროწმდინარე ხატებზე და მართლმადიდებლობაზე სიუჟეტების გაშვების ფონზე?! იმავე გადაცემის მეორე სიუჟეტში კი ჰომოსექსუალთა აღლუმს გაუშვებდა ხოლმე. არველაძე რომ მოვიდა, პირველი, რაც გააკეთა ტელევიზიის ფოიედან ბადრი პატარკაციშვილის ფოტოს გატანა ბრძანა. არველაძის დროს გავიდა „მოდელირებული ქრონიკაც“. ამ გადაცემის გამო არაერთი ადამიანი გარდაიცვალა. მისმა წამყვანმა **ხარაიშვილმა** დაწერა სადღაც — მამით დამემუქრნენო. ნათია კობერიძე კი უტიფრად გამოდის სხვადასხვა არხებზე და მორალს გვიკითხავს. საერთოდ, რისთვის არსებობს ეს რაღაც „ჟურნალისტუირი ეთიკის ქარტია“?! ეთიკა მორალის შესახებ მეცნიერებაა და მე ლექციას ვკითხულობ ამაზე ერთ-ერთ უნივერსიტეტში. რომელ მორალსა და ზნეობაზე საუბრობენ ის ჟურნალისტები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო არც მორალთან და არც ზნეობასთან?!

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

**P.S. მორალი და ზნეობა იშვიათი საპოვნელი რომ გახდა, უზნეო და მორალისგან დაცლილი ხალხი რომ „ტელე-ფორტოჩკებიდან“ ენას უყოფენ ჩვენს საზოგადოებას, ეს უკვე ახალი ამბავი აღარ არის, მაგრამ ვინმე მომღერალი ნინა წკრიალაშვილი რომ პოეტ რეზო ამაშუკელზე ცინიკურად იღიმის, აი, ესაა უბედურება.**

**ამ ქალბატონმა ერთხელ თქვა: მე ქართლელი ფაშატი ცხენი ვარო. ცხენს პოეზია რომ არ უყვარდეს, პრინციპში, გასაკვირი არაა. მას თივა, ნალი და კარგი მხედარი სჭირდება... მისი ბედნიერებისთვის ესეც საკმარისია...**

**ი.კ.**

# ევროპისგან უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ისეთი შეურაცხყოფა არ მიაყენონ, როგორც ევროპარლამენტის საზეიმო ცერემონიალზე ძებნილი პირების მიწვევაა

6 gv.

ნიშნავს, რომ ამ პროცესს კრიტიკულად არ მივუდგეთ, მხოლოდ ამ კავშირთან ინტეგრაციის იმედზე ვიყოთ და არ განვავითაროთ რუსეთთან ურთიერთობები. ჩვენი და რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობა, ჩემი აზრით, რუსეთს უფრო მეტად აძლევს ხელს, ვიდრე საქართველოს. ამავე დროს სამეზობლოსთან, როგორიცაა აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, ირანი ძალიან აქტიური ინტეგრაციული პროცესი და თანამშრომლობის ხედვა უნდა გვქონდეს. მათთან ერთად ერთიანი ეკონომიკური სივრცე და შრომის ბაზარი უნდა შევქმნათ, რაც აუცილებელია. მეზობლებს, თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის, ბევრი დამაიმედებელი ასპექტი აქვთ. მაგალითად, თურქეთს განვითარებული ეკონომიკა აქვს, იგი თურქმანული სამყაროს ლიდერია, რომელიც უზარმაზარ სივრცეს მოიცავს. რეალურად, ჩვენ, დღეს, თურქეთის ეკონომიკური პერიფერია ვართ და არა დამოუკიდებელი, თვითკმარი ეკონომიკური სივრცე. სომხეთში ჩვენზე მაღალი ცხოვრების დონე ნამდვილად არ არის, მაგრამ მას, რუსეთის სახით, საიმედო და ერთგული პარტნიორი ჰყავს. ამავე დროს, მსოფლიო — აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში და ა.შ. სომხური ლობებისგან სერიოზული მხარდაჭერა აქვს, სადაც ისინი ეკონომიკურად ძლიერნი არიან და იქაურ მთავრობებზე უზარმაზარი პოლიტიკური გავლენა აქვთ. აზერბაიჯანს კი უზარმაზარი ენერგო რესურსები და



სავალუტო რეზერვები აქვს. პლუს ამას, მზარდი ქვეყანაა. მაგალითად, 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობა დაახლოებით ტოლი იყო. ახლა კი, ჩვენ 4 მილიონი ვართ, ისინი — 9 მილიონი.

იმ ვალდებულებებიდან გამომდინარე, რაც ევროპის წინაშე გვაქვს აღებული, სხვა პრობლემებიც არსებობს, ესაა მესხეთელი თურქების დაბრუნება, რეგიონული ერების კონვენციასთან ჩვენი მიერთება და ა.შ. ამ ყველაფერს კომპლექსში გააზრება, რასაც სალი პოლიტიკური ძალა და არა ავანტიურისტები სჭირდება.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ რუსეთს აუცილებლად უნდა დაველაპარაკოთ, პუტინმა შესთავაზა კიდეც ქართულ ოფიციოზს შეხვედრა. მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ ნატოში გაწევრიანებაც და თან რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. ეს ორი რამ ერთად შესაძლებელია?**

— ეს ძალიან რთული პრობლემაა. ამიტომ ვამბობ, საჭიროა ისეთი პოლიტიკური ელიტა გვყავდეს, რომელიც პრაგმატულად აზროვნებს და ამავე დროს გლობალური ამოცანების ლოკალურთან მისადაგება შეუძლია. ასეთ ლიდერებს არენაზე ვერ ვხედავთ, თუ არ ჩავთვლით ძალიან პერსპექტიულ და ნიჭიერ ახალგაზრდას ირაკლი ღარიბაშვილს. თქვენი კითხვის პასუხად, გეტყვით — დიახ, თავსებადია იმდენად რამდენადაც ახალი დაპირისპირებული ბლოკების ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუძლებლად მიმაჩნია. არ მგონია ნატოს საპირწონედ რუსეთი ახალი ბლოკის ცენტრი გახდეს, როგორიც ცივი ომის პირობებში, სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკები იყო. ასეთი ორი ბანაკის ჩამოყალიბება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. რა თქმა უნდა, რუსეთი ეცდება რომ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესახებ თავისი ხედვა დაიცვას და შეეცდება საბჭოთა კავშირის საზღვრებში და არა მარტო იქ, თავისი გავლენა შეინარჩუნოს, მაგრამ ეს პროცესი უფრორე პოლიტიკურია, ვიდრე რაღაც ახალი გეო-პოლიტიკური დაპირისპირების არენა. ეს შეუძლებელია. ამ ბლოკის საპირწონე ძალას, სათავეში რუსეთით, ვერ ვხედავ, რადგან ამის წინა პირობად არც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები გამოდგება, არც ე.წ. ევრაზიული კავშირი, არც ყაზახეთი, არც ბელარუსი. კი ბატონო, უკრაინა ფაქტობრივად, დაიშალა, პრობლემების კორიანტელი დაიტეხა თავს, მაგრამ ის აღარ არის რგოლი იმ ჯაჭვში, რასაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და პერსპექტივაში ევრაზიული კავშირი ერქვა.

თუმცა ჩვენთვის არსებობს ევრაზიულ კავშირში მოაზრებული რუსეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცე, რომელთანაც აუცილებელია ძალიან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. მითუმეტეს, ისეთი თემების დაძლევის გზით, როგორიცაა ოკუპანტ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პროცესი. მთავარია, რუსები არ შეეხონ ჩვენს ევროატლანტიკურ არჩევანს და ჩვენ კი მათ წინასწარ არ მოვთხოვოთ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის აღიარების უარყოფა. ეს ურთიერთობების დაწყების წინაპირობა არ უნდა გახდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება №45, დეკემბერი, 2014 წ.



ვახტანგ ხარჩილავა

# ვინ ჩაუყრის საძირკველს ახალ ქართულ სახელმწიფოს, რომლის დამფუძნებლები ქართველებთან ერთად აფხაზებიც იქნებიან...

## გამოხმაურება დემურ გიორხელიძის ინტერვიუზე „აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო უნდა გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივენი განწირულნი ვართ...“

*„სამხრეთ-კავკასიას სამი ისტორიული მოთამაშე ჰყავს, რომლებიც ერთმანეთს კარგად ადევნებს თვალყურს — რუსეთი, ირანი და თურქეთი. გაჩნდა აშშ და ევროკავშირი. ხუთივე მთავარ პოლიტიკურ აქტორს დღეს სხვადასხვა მიზნები აქვს, მათ შორის, კავკასიაში, ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესებიც სხვადასხვაა. ამ ვითარებაში, საუბარი გაუმართლებელ ავანტურისტულ, ცალმხრივ პოლიტიკაზე, ძალიან საშიშია. ჩვენ არ ვითვალისწინებთ იმას, რომ აშშ ვერ იქნება სამხრეთ-კავკასიაში ერთადერთი დომინირებული ძალა, ეს ილუზიაა. სამხრეთ-კავკასიაში ვერც ევროკავშირი იქნება რაიმე დომინირებული ძალა, მისი პოლიტიკური სისუსტის გამო. სწორედ ხუთი მთავარი მოთამაშის ინტერესების თანხვედრა, თუ სწორი, გონიერი და პრაგმატული პოლიტიკით ვიმოქმედებთ, სხვა პერსპექტივის საშუალებას გვაძლევს. კიდევ ერთი დიდი რამ გვავიწყდება, რომ არამხოლოდ სამხრეთ-კავკასიის ნაწილი ვართ, არამედ ისიც, რაც გეოპოლიტიკაში დიდი კავკასიის სახელითაა ცნობილი, ანუ, ეს რვა ქვეყანას მოიცავს — სამი სამხრეთ-კავკასიური, სამი ისტორიული მოთამაშე და ყაზახეთი და თურქმენეთი. ეს ერთიანი სივრცეა. აქ კონცენტრირებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი იარაღი, ამ ზონაშია ყველაზე დიდი ენერგომატარებლები და მათი ტრასები, რაც პრობლემად რჩება. ასე, რომ აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო შეიძლება გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც განწირულნი ვართ. არსებობს გარანტია, რათა ამ რთული პრობლემებიდან გამოვიდეთ. რას შევთავაზებთ აფხაზებს, ჩვენს პოლიტიკურ სიმწიფესა და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით, ძალიან დიდი საშიშროების განცდა მაქვს, რომ არაფრისთვის მზად არ ვართ. ეს კონფლიქტი ისტორიულად შევისწავლე და შემიძლია ვთქვა — აფხაზებს და ქართველებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი სრულუფლებიანი სახელმწიფო, სადაც ყველაფერი კონსტიტუციურ დონეზე იქნება მოწესრიგებული. მათ ექნებათ სახელმწიფო მმართველობაში კონსტიტუციურად გამოყოფილი ადგილები. როცა ერთმანეთთან კონსტრუქციული დიალოგისათვის მზად ვიქნებით, სახელმწიფოებრიობის ფორმას ერთად მოვიფიქრებთ. ასე ორივე გადავრჩებით ან არადა აფხაზებიც და ქართველებიც სერიოზული საფრთხეების წინაშე ვდგავართ.“*

ეს არის ფრაგმენტი დემურ გიორხელიძის ინტერვიუდან („აფხაზებს და ქართველებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო უნდა გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივენი განწირულნი ვართ...“), რომელიც ამასწინათ „საერთო გაზეთში“ (№42) დაიბეჭდა.

ეს ინტერვიუ, პირველ ყოვლისა, იმით არის საინტერესო და საყურადღებო, რომ მასში ქართული სახელმწიფოს არსებობისა და მისი განვითარების ახლებური ხედვა და კონცეფციაა წარმოდგენილი.



შეიძლება ამ კონცეფციას დაეთანხმო ან არ დაეთანხმო, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი — მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ინტერვიუში ბატონი გიორხელიძე ცდილობს დაამსხვრიოს ქართული სახელმწიფოს განვითარების ის სტერეოტიპები და კლიშეები, რომლებიც, სიმართლე გითხრათ, ქართველ საზოგადოებას უკვე მობეზრდა და მათზე რეაქცია, ფაქტობრივად, არ აქვს.

**ქართველი ხალხი ქართველი პოლიტიკოსებისგან დიდი ხანია ელოდება ქართული სახელმწიფოს გადარჩენისა და განვითარების ახალ იდეებს, ახალ პროექტებს, ახალ კონცეფციას, ახალ მიმართულებებს, ახალ, თამამ და გაბედულ კონცეფციას,** მაგრამ ამაოდ — თითქმის 25 წელიწადია საქართველოს ყველა ხელისუფლება ერთიდაიგივე შინაარსის განცხადებებს იმეორებს, ხოლო ამ განცხადებების კვალდაკვალ — ამ 25 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დავკარგეთ, მილიონნახევარი ადამიანი ქვეყნიდან გაიქცა, ხოლო აქ დარჩენილთაგან ყოველი მესამე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ანუ პროლეტარია.

აი, ეს არის შედეგი ჩვენი 25-წლიანი გოლგოთის გზისა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე გამოვიარეთ.



* * *

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა თავისუფლება მოვიპოვეთ, უცებ გაირკვა, რომ თავისუფლება მხოლოდ ჩვენთვის გვინდოდა და სულაც არ ვაპირებდით ამ თავისუფლების ნაწილი აფხაზებისა და ოსებისთვისაც გაგვენაწილებინა.

ჩვენ ამის გაკეთება დღესაც არ გვინდა, ან გვინდა, მაგრამ არ ვიცით, როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს.

ჩვენ ვიცოდით (გზადაგზა ვისწავლეთ), როგორ გვეცხოვრა და როგორ გვემოქმედა საბჭოთა იმპერიის პირობებში, მაგრამ როგორც კი ამ იმპერიის კლანჭებიდან გავთავისუფლდით, ვერ გავერკვიეთ, რაში და როგორ უნდა გამოგვეყენებინა ეს თავისუფლება და როგორ უნდა გვემართა იგი ისე, რომ ქართული სახელმწიფოს ინტერესები არ დაგვეზიანებინა.

უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ჩვენ ახლად მოპოვებული თავისუფლების და დამოუკიდებლობის პირო-

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

9 gv.

ბებში მარტო დარჩენის შეგვეშინდა და ძველის ნაცვლად ახალი მფარველის ძებნა დავიწყეთ და „ვიპოვეთ“ კიდევაც დასავლეთის სახით. თუმცა ამ დასავლეთისთვის არც კი გვიკითხავს, ჰქონდა თუ არა მას ჩვენი დაცვის სურვილი და შესაძლებლობა.

— ჩვენ ნატო დაგვიცავს! რაიმე რომ მოხდეს, ნატოს ჯა-



რები დაუყოვნებლივ შემოვლენ აქ და დაგვიცავენ! — ქუხდა ირაკლი წერეთელი და დედ-მამის სულს უტრიალებდა რუსეთს, რომელსაც ჯერ არც აფხაზეთი ჰქონდა დაპყრობილი, არც ე. წ. სამხრეთ ოსეთი, მაგრამ მაინც ოკუპანტს ვეძახდით.

**სულო ცოდვილო და, ამ 25 წლის განმავლობაში გამოვლილ გზას რომ ვუკვირდები, ჩვენ ირაკლი წერეთლის მიერ დასახული სამოქმედო გეგმისთვის ერთი წუთითაც არ გადაგვიხვევია და დღესაც უცვლელად ვიმეორებთ მის ლოზუნგებს, მის რიტორიკას, მის კონცეფციას.**

ირაკლი წერეთლის შეურაცხყოფას სულაც არ ვაპირებ, ის იმ მომენტში და იმ სიტუაციაში იქცეოდა ისე, როგორც ყველა ჩვენგანი იქცეოდა და ამბობდა იმას, რასაც თითოეული ჩვენგანი ამბობდა.

* * *

შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, გნებავთ, ქართულ-რუსული კონფლიქტი?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, თუ ქვეყნის განვითარების გონივრულ, პრაგმატულ პოლიტიკას ავირჩევდით, რომელიც ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებით იქნებოდა ნასაზრდოები და არა გარედან შემოგდებული ურაპატრიოტული ლოზუნგებით.

შეიძლება თუ არა დღეს, საქართველოსთვის ამ უაღრესად კრიტიკულ სიტუაციაში, გამოიძებნოს გზები ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, გნებავთ, ქართულ-რუსული დაპირისპირების გასანეიტრალებლად და ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადასასვლელად?

რა თქმა უნდა, შეიძლება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დამოუკიდებელ პოლიტიკურ აზროვნებას დაიწყებს და დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით, იმოქმედებს.

**სადღაც რომ შევიდეთ, სადღაც რომ შევაფაროთ თავი, პირველ ყოვლისა, ერთი მარტივი რამ არის საჭირო: — უნდა ვარსებობდეთ!**

დღეს ქართული სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს კითხვის ნიშნები მოიხსნას.

ჩვენ უარი უნდა ვთქვათ გაზეპირებული ფრაზების განმეორებაზე და ახალ პოლიტიკურ ენაზე უნდა ავმეტყველდეთ.

სწორედ აქეთკენ მოგვიწოდებს ბატონი დემურ გიორხელიძე თავის მრავალმხრივ საინტერესო ინტერვიუში.

კონცეპტუალურად ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება, ცხადია, დიდ გამბედაობას, მე ვიტყოდი, თავგანწირვისთვის მზადყოფნას და ამასთან ერთად მოძველებული სტერეოტიპების და კლიშეებისთვის უარის თქმას მოითხოვს, რაც გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამის გარეშე წინ რომ ვერ წავიწევთ, ესეც ფაქტია.

**ახალი შინაარსის, ახალი კონცეფციის ქართულ სახელმწიფოში, ფსევდოპატრიოტული რიტორიკისგან თავისუფალ ახალ საქართველოში თავისი ღირსეულ ადგილს, თავის განსაკუთრებულ როლსა და ფუნქციას აფხაზიც იპოვის, ოსიც, სომეხიც და აზერბაიჯანელიც, თუმცა ეს რომ მოხდეს, პირველყოვლისა, ქართველმა უნდა იპოვოს თავისი ადგილი თავის საქართველოში...**

**P.S.** „საერთო გაზეთი“ მომავალი წლიდან აპირებს ფართო დისკუსიის გამართვას ბატონი დემურის ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებების გარშემო.

# „კუჩხა“

## (ამონარიდი მომავალი წიგნიდან)

...სამეგრელოსა და სამურზაყანოში „კუჩხა“ მამაპაპისეულ ეზო-კართან, მტერ-მოყვარესთან, წინაპართა სასაფლაოსთან, ოდაბადესთან, ბავშვობასთან, მეგობრებთან და მეზობლებთან (და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ რამესთან!..) დაკავშირებული დღესასწაულია.

ამასწინათ ერთი ქალბატონი ასეთ ამბავს მომიყვა:

— ლტოლვილებს საბანკორა გაგვაჩნია, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც გვიწევს სახალხო ბანკში მისვლა დახმარების მისაღებად. იქ ვხვდებით ახალი და ძველი ნაცნობები, ახალი და ძველი მეზობლები ერთმანეთს.

—თურმე ვიღაცას ზუსტად დაუთვლია რამდენი ქართველი, აფხაზი და სომეხი დარჩა აფხაზეთში. ინფორმატორი ხმამაღლა ყვებოდა, რომ „...ჩვენ 40 ათასი ვართ, აფხაზები 60 და სომხები 80 ათასი არიან დარჩენილი. ჩვენ თუ მხარი არ დავუჭირეთ, მომავალ არჩევნებზე აფხაზებს დედა ეტირებათ, სომხები მოვლენ მთავრობაშიო!..“

ჩვენ, სოფელი არ მიგვიტოვებია აფხაზეთში. მეუღლე დარჩა იქ ორ ბავშვთან ერთად, ორი კი თბილისში მყავს წამოყვანილი. უმცროსი ასთმიანია, იქ მისი მოვლა ძნელია, თორემ იქაურობას არც ჩვენ დავტოვებდით. მონაცვლეობით ჩავდივართ მე — „ოდაბადეს“, ის კი „დედაქალაქში“.

არ ვაპირებდი საახალწლოდ ჩასვლას, მაგრამ ბანკში მოსული არამკითხე ინფორმატორის „სასიხარულო“ განცხადებამ აფხაზების მოსალოდნელი „დედის ტირების შესახებ“ არ დამაყენა და მეუღლეს შევუთვალე — აუცილებლად უნდა ჩამოვიდე მეთქი!



...მთელი დღეები, ბავშვობის დროინდელი „კუჩხა დილაუთენია“ მედგა თვალწინ: — ბაბუაჩემი, ოჯახის ყველაზე პატარა წევრთან ერთად „ქუჩუჩით“, საკუთარ ეზოში მოწეული ღვინით სავსე დოქით, თეფშზე დაყრილი ხურდაფულ-გარეული ღერღილით სავსე თეფშით ხელში, როგორ ამოიღებდა ჭიდან წყალს, შემოივლიდა ეზო-კარს, სასიმინდეს, ბოსელს, ღერღილს მიაფრქვევდა ყველგან, სახლის კარებს მოადგებოდა კაკუნით და სამჯერ შესძახებდა: „კარი გომინჯი!“ (კარი გამიღე!) იქიდანაც სამჯერ შევეხმიანებოდით, — „მუ მოილუ?“ (რა მოგაქვს?) და სამჯერ ჩამოთვლიდა: „სიკეთე, ადამიანის და საქონლის გამრავლება, ხვავი და ბარაქა, კეთილნათესავების და მეზობლების ჯანმრთელობა, გახარება და მშვიდობა!..“

ერთი სული მქონდა როდის ჩავიდოდი ტყვარჩელში, დავუვლიდი ყველა მეზობელს, განაწყენებულს თუ კეთილგანწყობილს და ვთხოვდი: ჩემო დებო და ძმებო, დედებო და მამებო, შვილებო — მივუტევოთ და მოვეფეროთ ერთმანეთს, თორემ ჩვენი საერთო მტერი ყველგან დაგვყვება და დაგვცინის — თბილისში, სოხუმში, ტყვარჩელში, ზუგდიდში, მოსკოვში, ევროპასა და ამერიკაში... დავივიწყოთ ყველაფერი, მტერს ნუ გავახარებთ!..

...13 იანვარს, ენგურის ხიდზე შევნიშნე, პასპორტი დამრჩენოდა სახლში. მხოლოდ სამსახურის საბუთი მქონდა თან, დასტური იმისა, რომ ელსადგურის ლაბორატორიაში ვმუშაობდი. შეწუხებულმა ავტობუსის მძღოლს გავანდე ჩემი გასაჭირი. „დარდი ნუ გაქვს, მანქანაში დარჩი, არაფერს გეტყვიან და ისე გაგიყვანო“.

არ მომეწონა მისი თავდაჯერებულობა, მაგრამ მაინც დავყევი და ავტობუსში დავრჩი.

-რუსი სამხედროები და მებაჟეების ხმაური იდგა გარეთ. ერთი, მომცრო ტანის სამხედროფორმიანი, გაღიზიანებული უღრენდა ისედაც დაშინებულ ქალებს და მოხუცებს. ეტყობოდა რომ აფხაზი იყო...

-რუსებმა შეამოწმეს ქვემოთ ჩასულები. ავტობუსის სალონში რომ მნახეს, მიყვირეს — რატომ არ ჩამოდიხარ, არ გეკადრებაო?!.

...ინვალიდი ვარ, სიარული მიჭირს მეთქი! რუსებს არაფერი უთქვამთ, მაგრამ ის აფხაზი შემოვარდა ლანძღვა — გინებით:

„გაეთრიე აქედან, შენმა ქართველებმა გიმკურნალონ! ყველანი გაეთრიეთ ჩვენი მიწიდან! უფლება რომ მქონდეს ყველას ერთიანად დაგხვრეტდითო!“

მომხდარით გაოგნებულს, თვალწინ ახალი წლის წინა დღეები და სახალხო ბანკის რიგში დაუპატიჟებლად მოსული მამლაყინწა აგიტატორი დამიდგა, ყველას გასაგონად რომ ყვებოდა: „ჩვენ რა გვიჭირს, აფხაზებს დედა ეტირებათო!..“

დიდხანს იჯერა გული ჩვენი ლანძღვა-გინებით, თბილისელი, სახალხო ბანკელი აგიტატორის „სულიერმა ძმამ“ აფხაზმა მებაჟემ. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა. ისედაც გულდამძიმებულს, ქართველი „აგიტატორის“ და აფხაზი „მებაჟის“ საქციელმა დარდი გამიორმაგა.

—საკვირველია, როგორ, წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს დაუღვინებელი „ქვეყნის დამლაგებლები“!

—ერთი გასაჭირი გვჭირს ენგურს გაღმა-გამოღმა მოსახლეთ, — ჭკუამოსაკითხი კაცები გამქრალანო თითქოს და ქვეყნის ბედი გამოუცდელი ყმაწვილებისთვის მიუნდვიათო!

* * *

...14 იანვრის „კუჩხა“ დილას სამჯერ დააკაკუნა მეკვლემ კარებზე, სამჯერ შევაგებეთ - რა მოგაქვსო! სამჯერ გვისურვა ყველაფერთან ერთად:

„სიკეთე, ადამიანის და საქონლის გამრავლება, ხვავი და ბარაქა, კეთილნათესავების და მეზობლების გახარება, ჯანმრთელობა და მშვიდობა!..“

...დიდია ჩვენი „ოდაბადე“ სოფელი აფხაზეთში.

—წელს მხოლოდ სამ ქართულ ოჯახში შემოუარა ეზოკარს „ქუჩუჩით“ ხელდამშვენებულმა მეკვლემ და კეთილნათესავებზე ასჯერ მეტი, ენგურს გაღმელი აფხაზი მეზობლის, — „გახარება, ჯანმრთელობა და მშვიდობა გვისურვა!..“

დ. ქობალია

**P.S.** ჩემმა თანამოსაუბრე ქალბატონმა სახელის და გვარის გამჟღავნებაზე ური მითხრა — „არ ვიცი რომელი მხარე გამოიყენებს ცუდად ჩემს ნათქვამს და პროვიკაციას მომიწყობსო!..“

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან



## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში

**დენიზა სუმბაძე** (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი):

## ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-44

### „მასონობისა“ და „ტამპლიერობის“ გაგებისათვის

წინამდებარე გამოკვლევის საწყისშივე, მთავარი საკითხის დაყენებისთანავე შევნიშნეთ, რომ როგორც ცხელ ხაზზე გამავალი პრობლემა, ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის - „დავითიანობის“ - ჩვენეული ახსნა უშუალოდ არის გამოწვეულიც და დაკავშირებულიც თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის წამყვან ძალებთან და ამ ძალების მიერ საქართველოში დანერგილ პოლიტიკასთან. რამდენადაც საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ ეს ძალები მსოფლიოს არალეგიტიმურად, თუ ლეგიტიმურად, მაგრამ შეფარულად მოქმედი და ფიციალური ლეგიტიმური ფუნქციების მიღმა მდგომნი, წარმმართველები არიან დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა, საჭიროება ითხოვს, ქართველ ბაგრატიონთა დავითიანობის“ გაგებისათვის, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ჭრილში, მაინც საგანგებოდ შევჩერდეთ „მასონობისა“ და „ ტამპლიერობის“ ცნებათა მნიშვნელობაზე და შევეცადოთ, არსებული ზღვა ინფორმაციიდან, ჩვენი პრობლემების გაშუქებისათვის აუცილებელი შტრიხები გავამუქოთ.

თანამედროვე მასონური მოძრაობა, რომელიც თავის დასაბამს ებრაელთა ბიბლიური მეფის, სოლომონის ტაძრის მშენებელთა შორის მოიაზრებს, თავისივე ისტორიაში სწორედ ამ საწყისს მიიჩნევს მასონური მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ფუნდამენტურ მოვლენადაც. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონის ტაძარი ფინიკიელი არქიტექტორის აშენებულია და ბუნებრივია, მის ლეგენდარულ ამშენებელს, ჰირამ აბიფს, სოლომონის ტაძრის აშენებაში თავისი ქვეყნის ტრადიციული სამშენებლო ცოდნის გამოყენება მოუხდებოდა, და თავისი ეროვნული, ფინიკიური ელფერის შეტანას ვერ აიცდენდა, ოფიციალური სალექსიკონო განმარტებები გვაუწყებენ, რომ თანამედროვე მასონური საზოგადოებების სახით არსებული, ე.წ. „მასონური ლოჟები“, არსებითად სიონისტური სულისკვეთებისა და მიზანდასახულობისანი, აგებულია-ო იგივე სიმბოლიზმითა და პროპორციებით, როგორითაც სოლომონის ტაძარი იყო აგებული: “დიდი ოსტატი“ ზის ლოჟის აღმოსავლეთით, უფროსი და უმცროსი დიაკვნები დასავლეთით და სამხრეთით.

როგორც ვხედავთ, ამ მცირედი ინფორმაციითაც ნათელია, რომ თანამედროვე მასონური მოძრაობა რელიგიური სულისკვეთების მოძრაობაა, მაგრამ არა ისეთი საყოველთაო, როგორიც ჩვენი ეკლესიური ცხოვრების წესრიგია, ყველასთვის მისაწვდომი და თავისუფალი დასწრების. თანამედროვე მასონური მოძრაობა არსებობს საიდუმლო ორგანიზაციების სახით, რომლებშიც დასწრებისა და მონაწილეობის უფლება განსაზღვრულია პიროვნული ვინაობითა და ამ მოძრაობის ინდივიდუალური აღიარებით, ოფიციალური ინდივიდუალური გაწევრიანებით. ამავდროულად, შეიძლება ითქვას ისიც, რომ დღევანდელი მასონური მოძრაობა ერთგვარი გაგრძელებაა ისტორიულად არსებული მსოფლიოს საიდუმლო ცოდნის ფარული კერების, რომელსაც ის, ე.ი. სოლომონის ტაძრის „ქვისმთლელთა“ -გან დაწყებული მოძრაობა ეუფლებოდა საუკუნეების განმავლობაში და აყენებდა ებრაული რელიგიური ინტერესების სამსახურში. ამით იმის თქმა გვსურდა, რომ დღევანდელი მასონური მოძრაობა, რომელიც დღეს უკვე მსოფლიო პოლიტიკას მართავს, არ წარმოადგენს დღევანდელი არასამთავრობო ორგანიზაციების რაიმე ადექვატურს და რაღაც სახელდახელოდ შექმნილ პოლიტიკურ ძალას. მავანთათვის არარეალური, იგი საუკუნეების წინ დაწყებული მოძრაობაა და უშუალოდ უკავშირდება ებრაელი ხალხის ისტორიასა და ებრაელი ხალხის პერსპექტივისათვის ბრძოლას მთელი კაცობრიული ისტორიის კონტექსტში.

ქართველი მკითხველისათვის, თორნიკე ერისთავის, საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული გმირის ქვეყნისათვის, ნათლად და მარტივად არის გასაგები, რომ ბიზანტიას, ქრისტიანობის, მისი რელიგიური მრწამსისა და მოძღვრების ჩამომყალიბებელ ქვეყანას, არაქრისტიანული ქვეყნების მოძალებულ თავდამსხმელთაგან თავის დასაცავად ქრისტიანული ქვეყნებისაგან თანადგომა და დახმარება ესაჭიროებოდა. ამის მაგალითი იყო სწორედ, მეათე საუკუნეში, საბერძნეთში, ათონის მთაზე, ბერად აღკვეცილი ქართველი სარდალი - თორნიკე ერისთავი, რომელმაც ბიზანტია იხსნა ბარდა სკლიაროსის შემოსევისაგან. უკვე მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის კეისარმა ალექსი პირველმა კომნენოსმა (1081 – 1118 წწ.) სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართა ევროპას და რომის პაპს გაუგზავნა თხოვნა. რომის პაპმა, ურბან მეორემ, 1095 წელს, ევროპის მოსახლეობას ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოუწოდა და წმ. მიწის, იერუსალიმის განთავისუფლება მოითხოვა ურწმუნოთაგან. ევროპული სამზადისი ქრისტეს საფლავის გამოხსნისა ურწმუნოთაგან, სრულმასშტაბიან სამხედრო კომპანიად გადაიქცა. თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიოს ბოლო საეკლესიო კრებამ, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შესდგა 787 წელს, მეშვიდე საეკლესიო კრებამ, ებრაელთა ქრისტიანული ნათლობა აკრძალა, რადგან ნათ-




ლობის ფორმალურობა და ქრისტიანული სარწმუნოების გამოყენება ამხილა ებრაული ინტერესებისათვის, უნდა დავასკვნათ რომ ბიზანტიაში ქრისტიანობას უკვე მერვე საუკუნეში აქვს სერიოზული საფრთხე შექმნილი ქვეყნის შიგნიდანაც და ქვეყნის გარედანაც.

მე მინდა მკითხველის ყურადღება საგანგებოდ შევაჩერო მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჩემის აზრით განსაკუთრებით არის საინტერესო თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნების სტილისა და ე.წ. „ანკესის“ ტექნოლოგიის საიდუმლო ნიშნების ამოკითხვის თვალსაზრისით. ეს კრება ასევე შესანიშნავად აჩვენებს სიმბოლურად, თუ საით და როგორ მიიმართება მსოფლიო ისტორია ბიზანტიის ისტორიის ამ ერთი მოვლენით. კერძოდ, მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება სრულიად ნათელ სურათს წარმოგვიდგნს იმისას, რომ იუდაიზმის, როგორც რელიგიური მოძღვრების შეჯახება ქრისტეს მოძღვრებასთან, არ დასრულებულა იესო ქრისტეს ჯვარცმით. იმის გამო რომ ჯვარცმული ქრისტეს მოძღვრება მსოფლიო იმპერიად და საერთოდ საქრისტიანო მსოფლიოდ იქცა, მსოფლიოში გაფანტულ იუდეველთათვის სამიზნედ იქცა თავად ქრისტიანული მსოფლიო და სადავეები ქრისტიანული მსოფლიოს ძალმოსილებისა. მეშვიდე მსოფლიო კრება ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ ფეხდაფეხ მისდევს იუდეველთა მოდგმა ჯვარცმული ქრისტეს გამარჯვებას და ქრისტიანული მოძღვრების განვითარებისა და გავრცელების მსოფლიო დინამიკას, სულიერ ძლევას იუდეველთა მოძღვრებისას ქრისტეს მიერ. მეშვიდე მსოფლიო კრება ილუსტრაცია ხდება იმისაც, რომ იუდაიზმი და ებრაელი ხალხი დაუძინებელ მტრად არის ადევნებული მაცხოვრის მოძღვრებაზე, მაშინ, როდესაც საქართველო და ქართველი ერი ქრისტიანობის მებაირახტრე ქვეყნის - ბიზანტიის მცველად გვევლინება ქრისტიანობის სახელით, საქართველოს მეფენი ბიზანტიის იმპერატორთა სარდლები ხდებიან, ნამდვილნი „მახვილნი მესიისანი“ და მისი მოძღვრების, ხოლო ბიზანტიის დასუსტების შემთხვევაში, მზად არიან თავად იტვირთონ ჯვარი მსოფლიო ქრისტიანობის წინამძღოლობისა. მეშვიდე მსოფლიო კრების დროს ქრისტიანობა უკვე რვა საუკუნეს ითვლის და უკვე მსოფლიო რელიგიაა. აღზევებული და მოზეიმე, დამკვიდრებული თავისი ეკლესიებითა და მონასტრებით. და სწორედ აქ, მსოფლიო ქრისტიანობის მებაირახტრე ქვეყანაში, ბიზანტიაში

12 gv.

**წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.**

11 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

აღმოჩნდება ფესვმოკიდებული იუდეველთა გონი , რომელიც ქრისტიანულ სამყაროში შეჭრილი, ციხის შიგნიდან გატეხვის პოლიტიკას ირჩევს და ამისათვის ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად ქრისტიანულად მონათვლის გზაზე დგება. მიზანი ინიციატივის აღებაა, წინამძღოლის მისიაში გადასვლა და ქრისტიანობის გადაჩეხვა გზიდან. და იმ დროს, როდესაც ქრისტიანობა მკვიდრდება, როგორც ეკლესიური ინსტიტუტი, ქრისტიანულად მონათლული ვინმე იუდეველი სარანტიჰაგი, ბიზანტიელი ისტორიკოსის, კედრენეს ცნობით, არაბთა მეფეს შთააგონებს, რომ ქრისტიანული ხატების შემოღება და ხატებთან ლოცვა, იგივე კერპთაყვანისმცემლობის დანერგვაა ქრისტიანობაში. სარანტიჰაგის გაბრძოლება ქრისტიანობის დასაცავად, სინამდვილეში ქრისტიანობის დასანგრევად, კერპთაყვანისმცემლობის ანუ ხატების დანერგვის აღსაკვეთად ეკლესიაში, იმხელა რეზონანს იღებს, რომ ეკლესიის უდიდეს მამას, იოანე დამასკელს, ხატების დამცავი თხზულების დაწერისათვის მარჯვენა ხელს მოჰკვეთენ, და ბიზანტიაში ხატების წინააღმდეგ გაჩენილი მთელი ლაშქარი, შეძლებს, რომ წინამძღოლად თავად ბიზანტიის იმპერატორი - ლეონ ისავრიელი დაიყენოს. ეს დაახლოვებით იმას ნიშნავდა, რომ რომელიმე სხვა „სარანტიჰაგს“ განგაში აეტეხა, წარმართული ტაძრების ნატაძრალებზე აშენებული ქრისტიანული ეკლესიები უწმინდურ ადგილებზეა აშენებული და უნდა დავანგრიოთო. საუბედუროდ ასეთ პროვოკაციებზე ბიზანტიაში ზოგჯერ თვით პატრიარქები და იმპერატორები ეგებოდნენ. სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა ქვეყანას აძლიერებს, მაგრამ ენერგიასაც ახარჯვინებს. ამით პროვოკაცია მაინც აღწევს თავის მიზანს.

პროცესები ბიზანტიაში ისე ვითარდება, რომ საჭირო ხდება მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა ხატების დასაცავად და იმპერიაში ატეხილი განხეთქილებების დასაოკებლად. კრებას ამ დროისათვის თავად იმპერატორი კონსტანტინე და დედოფალი ირინე წარმართავენ. კრების განჩინებით ხატები გადარჩნენ, ხოლო ებრაელები თვალთმაქცური ნათლობისათვის გზაგადაკეტილნი აღმოჩნდნენ ქრისტიანულ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.“დიდი სჯულის კანონში“ შეტანილი გაფრთხილებები ცხადყოფენ, რომ მიმტევებლობისა და შემწყნარებლობის საკმაოდ დიდი ეტაპები გაიარა ბიზანტიურმა ეკლესიამ ებრაელთა მიმართ და საკითხი მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებით დაასრულა. დიდი სჯულის კანონში შეტანილია ეფესოს მესამე მსოფლიო კრების დადგენილებათა ერთერთი ასეთი პუნქტიც: „ვინც გაბედავს ჭეშმარიტი ცოდნის გადაქცევას...... იუდევლობად... თუ ეპისკოპოსი იქნება ან მღვდელი, უნდა ჩამოერთვათ ეპისკოპოსობა და მღვდლობა...“(7) . მოგეხსენებათ, იკრძალება მხოლოდ ის, აკრძალვა შეიძლება დააწესო მხოლოდ ისეთი რამის, რაც არსებობს ან რამაც შეიძლება იარსებოს. ეფესოს კრების დადგენილებათა ეს პუნქტი მიუთითებს, რომ უკვე არსებობს მცდელობა ქრისტიანული მოძღვრების იუდაიზაციისა და უკვე საჭიროა კანონი აკრძალვისა და სასჯელის. კონსტანტინოპოლის კრება იუსტინიანეს ზეობაში იძულებული ხდება განაჩინოს: „ნურც სამღვდელო პირი, ნურც ერისკაცი ნუ გაიჩენს ურიათ მეგობრად, ნუ მოუხმობს სნეულების დროს და ნუ მიიღებს მათგან განკურნებას“(11). მეშვიდე მსოფლიო კრება კი, იძულებული ხდება განაცხადოს რომ: „ებრაელები ინათლებიან სიცრუით“ და უნდა აიკრძალოს მათი მიღება ქრისტიანულ ეკლესიაში(8). ეკლესიის ისტორიის დღევანდელი გადასახედიდან, ვფიქრობ, მკითხვლისთვის სრულიად ნათელია ის ვითარება, რომელიც წინ უძღვის მეშვიდე საეკლესიო კრებას, ებრაელთა მიერ მოწყობილი სპეკულაცია ერთი იდეისა, მეორე იდეის დასანგრევად. ამჯერად სპეკულიაცია „ქრისტიანობის დაცვის იდეისა „კერპთაყვანისმცემლობისაგან“ მიმართულია ეკლესიური ინსტიტუტის გასაძარცვავად ხატებისაგან და ეკლესიის დასასუსტებლად. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორია ბრწყინვალე ილუსტრაციაა აგრეთვე იმისაც, თუ რაოდენ დიდი თანდაყოლილი უნარი აქვს ებრაულ გონებას, ადამიანთა ცთუნებისა და თვით საიმპერატორო ტახტის მფლობელთა ცნობიერებაში შეღწევისა მათივე სამართავი ქვეყნების დასაცემად. ეკლესია და ხატი რამ გაყო ერთმანეთისაგან. მაგრამ ებრაულმა გონებამ ვითომ ეკლესიის სიწმინდის დაცვით, შესძლო მთელი იმპერია ჩაეთრია ხატების წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ეთიკურ პრინციპებში ღრმად ჩახედული ადამიანი სრულიად მარტივად დაინახავს ანალოგიას ადამიანის თავისუფლების იდეის დაცვაში როგორ არის შემძვრალი ნამდვილი მიზანი ადამიანის მორალური განადგურებისა და კაცობრიობაზე შურისძიების. ფაქტია: მეშვიდე მსოფლიო კრების შემდგომ ბიზანტიამ ვეღარ მოიკრიბა ძალა ახალი მსოფლიო კრების მოსაწვევად და იმპერიის ქრისტიანულ-თეოლოგიური პრობლემების წინ წასაწევად. სრულიად ლოგიკურია, ევროპაში მიმოფანტულ ებრაულ მოსახლეობას, პაპის ხელშეწყობით წარმართულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ქრისტეს საფლავის ურწმუნოთაგან გამოხსნის იდეაში, თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში მიმავალი „მატარებელიც“ დაენახათ და ხელიდან არ გაეშვათ შანსი იერუსალიმში დაბრუნებისა საკუთარი ინტერესების წინ წასაწევად.

იერუსალიმში, სიონის მთაზე, იქ, სადაც სოლომონ ბრძენის სასახლე და სოლომონის ტაძარი იყო აშენებული, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთერთმა ხელმძღვანელმა - გოდფრეი ბულონსკიმ - 1090 წელს შექმნა „სიონის მთის ორდენი“, რითაც, ჩვენის აზრით, ნებით, თუ იმ დროის მსოფლიოსათვის თვალებში ნაცრის შეყრით, ჯვაროსნულ მოძრაობაში ჩართული ძალების მთავარი მიზანი გაცხადა.



1099 წელს, ივლისში, ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, და დააარსეს იერუსალიმის სამეფო. ჰუგო დე პეინისა და გოდფრუა დე სენტ-ომერის ხელმძღვანელობით შეიქმნა ორდენი: „ქრისტეს და სოლომონის ტაძრის ღატაკი რაინდები“( პაუპერეს ჩომმილიტონეს ჩჰრისტი თემპლიქუე შოლომონიცი). თანამედროვე გამოკვლევებით, როდესაც გაშიშვლებულია სპეკულაცია ქრისტეს საფლავის მუსულმანთაგან განთავისუფლების იდეისა, და გაცხადებულია სიონის მთის აღორძინების მიზანი, შენიღბული და კარგად შეფუთული ქრისტეს საფლავის განთავისუფლების იდეაში, სრული შესაძლებლობა გვეძლევა მოვლენათა ისტორიული განვითარების დახვეწილი ლოგიკური ანალიზისა და ისტორიის რეალური სურათის ჩვენებისა. ასევე სრული შესაძლებლობა გვეძლევა გავხსნათ ნამდვილი მიზანი მოძრაობისა: „ ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები და ტაძრელები“. პირველი ნაწილი მოძრაობის სახელწოდებისა - „ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები“ - საფარველი და ნიღაბია სახელწოდების მეორე და მთავარი ნაწილისათვის: „ტაძრელებისათვის“. „ტაძრელები“ ანუ ევროპაში გავრცელებული ინგლისური ტერმინით: „ტამპლიერები“ და ფრანგული ტერმინით: „მასონები“, ყველა თვალსაზრისით და ყველა გზით წარმოადგენენ სოლომონის ისტორიული ტაძრის ახალ მსოფლმხედველობრივ და პრაქტიკულ მშენებლებს, ანუ ახალ „ქვისმთლელებს“, ფრანგულად, ხოლო ახალ „მეტაძრეებს“ - ინგლისურად, ფაქტიურად - სიმბოლურ ანალოგიებს სოლომონის ისტორიული ტაძრის მშენებლებისას:

„სოლომონს ჰყავდა სამოცდაათი ათასი მტვირთავი და ოთხმოციათასი ქვისმჭრელი მთაში, გარდა სამი ათას სამასი თავკაცისა, რომლებიც სამუშაოებზე ჰყავდა მიჩენილი სოლომონს და მომუშავეებს ზედამხედველობდნენ.“ (3 მეფ.5,15-16). „ოცი წლისთავზე იყო რომ დაასრულა სოლომონმა ორი სახლის: უფლის სახლისა და სამეფო სახლის შენება“(3 მეფ.9,10).

თანამედროვე „ქვისმთლელთა“, ანუ „მეტაძრეთა“ რიცხვი, როგორც ცნობილია, რამოდენიმე მილიონს აღწევს.

ცნობილია, რომ პირველი ჯვაროსნები სწორედ იმ მთის ტერიტორიაზე დაბანაკდნენ, სადაც სოლომონის ტაძარი იყო აშენებული. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, სარგის კაკაბაძე, ისევე როგორც მასონურ ღონისძიებებში ჩაუხედავი მსოფლიო საზოგადოებრიობა, გაკვირვებას ვერ ფარავს ჯვაროსანთა საქციელის გამო და ვერ აუხსნია, რატომ აუარეს მათ გვერდი ქრისტეს საფლავის ეკლესიას და რატომ აირჩიეს თავიანთი ორდენის წმინდა ადგილად ებრაელთა დიდი მეფის - სოლომონის ნატაძრალი(ვსარგებლობ ინტერნეტში ამოწეული ინფორმაციით).

ავტორი „მსოფლიოს საიდუმლო ისტორიისა“ ჯონათან ბლეკი (2007 წ.) გადმოგვცემს, რომ სოლომონის ნატაძრალის ქვეშ, დიდ სიღრმეში, არქეოლოგიური გათხრებით მიგნებულ იქნა „არტეფაქტები“ ტამპლიერებისა, ანუ გვირაბები, რომლებიც გათხრილ იქნენ სავარაუდოდ საკურთხევლის მიმართულებით, დიდი ალბათობით წმიდათაწმიდისაკენ. ეს არ იყო, ცხადია, უბრალო ახირება. ეს იყო მოძიება იმ ადგილისა, სადაც უნდა შემდგარიყო პირველი ხელთდასხმა საიდუმლო ორდენის რაინდებისა: „სოლომონის ტაძრელებისა“, ანუ ევროპულად „ტამპლიერებისა“, რომელთა მსოფლმხედველობრივ მიზანდასახულობაში ბევრი რამ დღემდე აუხსნელი, გაურკვეველი და საიდუმლოებით არის მოცული. „ტამპლიერთა“ ენციკლოპედიური განმარტებები თითქმის საყოველთაოდ აღიარებდნენ, რომ მათი ღმერთი იყო „ბაჰომეტი“(იგივ: „ბაფომეტი“), მეფე-დემონი, რომელიც თავის ამსახველ კერპში თხის თავით იყო გამოსახული. ჯონათან ბლეკის ინფორმაციით ბაჰომეტის ცნებაში „სიბრძნის“ მნიშვნელობა უნდა იყოს ჩადებული. რამდენად ზუსტია ეს განმარტება, ძნელი სათქმელია, რადგან არც სიტყვა „ბაფომეტის“ ეტიმოლოგია და არც ტამპლიერთა რელიგიური სიმბოლიკა ბოლომდე გაშუქებული არ არის. რატომ უნდა ყოფილიყო სოლომონის ტაძრის ხელახალი აშენების იდუმალ მეოცნებეთა ღმერთი ბაჰომეტი (ზოგი წაკითხვით: ბაფომეტი) და არა იაჰვე, რომელსაც ეძღვნებოდა სოლომონის ტაძარი, ამის ახსნას ვერსად მივაგენი. როგორც ჩანს, ტამპლიერებმა ეს საიდუმლო მაგრად ჩაკეტეს. თუმცა, მეფიქრება, რომ საკმაო ჩაძიების შემდეგ, მივხვდი: ორი მთავარი კითხვის პასუხია აუცილებელი, ვიცოდეთ, ტამპლიერთა ნამდვილი ვინაობის საცოდნელად: როგორია მათი ნამდვილი, შეუნიღბავი დამოკიდებულება ქრისტეს მიმართ, და რას ნიშნავს მათი ღმერთი, აღიარებული, როგორც ბაჰომეტი?!

ბაჰომეტი საყოველთაოდ აღიარებული ინტერპრეტაციით გამოისახება თხის თავით და, ბუნებრივია, მას რაღაც წარმართული ღვთაების მნიშვნელობით აღიქვამენ. მაგრამ რატომ უნდა იყვნენ ტაძრელები, ანუ ტამპლიერები, სოლომონის ტაძრისა და სოლომონის ღმერთის, იაჰვეს თაყვანისმცემელნი, ამავდროულად თხის თავით გამოსახული წარმართული ღვთაების თაყვანისმცემლები, როგორც ჩანს, არ ექვემდებარება წერილობით გადმოცემას და მხოლოდ ზეპირად გადაეცემოდათ ხელდასხმულებს. ამიტომ წყაროებით ეს საიდუმლო ახსნილი არ არის. არადა სულ ახლახანს, როგორც ინტერნეტით გვაუწყებენ, აშშ-ებში, ოკლაჰომას შტატში, ამერიკელმა მასონებმა, ოკლაჰომას კაპიტოლიუმის ბაღში, მოსეს ათი მცნების მემორიალის გასწვრივ ბაჰომეტის სკულპტურული გამოსახულების აღმართვა ითხოვეს. ცხადია, რომ ბაჰომეტი, როგორც ტამპლიერთა ღმერთი, თანამედროვე ამერიკის მასონთა ცნობიერებაში, დღემდე ცოცხალია, ცოცხალია ისევე, როგორც - ტამპლიერთა მიზანი და ამოცანა. ხოლო რამდენადაც ტამპლიერთა მიზანი და ამოცანა სოლომონის ტაძრის აღდგენა - აშენებაა, მათი, ე. ი.. სოლომონის ტაძრის „ახალ მშენებელთა“, იგივ „ მეტაძრეთა“ მისია ახალი ჰირამ აბიფის მისიაა. ღმერთის ვინაობა ტაძრის მშენებლობის

იდეასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ტაძრის ისტორიული მშენებლის მისტიურ შემწეობასთან. ყველა დროისა და ყველა ქვეყნის საიდუმლო ცენტრების ერთერთ ცნობილ მკვლევართან, რომელსაც სოლომონის ტაძრის ამშენებელი, ჰირამ აბიფი, ღვთაებრივ პიროვნებად ჰყავს აღწერილი, წავაწყდი ინფორმაციას, რომ ჰირამ აბიფი იყო დიონისური მისტერიების ხელდასხმული, ე. ი. თავისი დროისა და თავისი ქვეყნის საიდუმლო ცოდნის განდობილი. დიონისური მისტერიების ემბლემა კი , როგორც ცნობილია, იყო თხა(შდრ. ქართული: ,, მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი, მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი...''). დიონისე ცნობიერდებოდა როგორც ღმერთი ღვინისა, თრობისა და ირეალურში, ანუ არაამქვეყნიურ რეალობაში გადასახლებისა... ტამპლიერებმა, როგორც ჩანს, ჰირამ აბიფის საპატივცემულოდ პირდაპირ ჰირამ აბიფის ღმერთთან დაიჭირეს საქმე და ჰირამის აშენებული ტაძრის აღორძინებაში, როგორც ახალმა ჰირამელებმა, ანუ ახალმა აღმშენებლებმა ჰირამის ღმერთისაგან ითხოვეს შეწევნა, სწამდათ რა, რომ თავად ჰირამი ამ დიდ საქმეს თავისი ღმერთის შემწეობის გარეშე, ვერ განახორციელებდა. ტაძრელთა მოძრაობა ფაქტიურად უნდა ქცეულიყო გაჰირამებად, ანუ ჰირამ აბიფის განსხეულებად, რომელშიც ჰირამის სული უნდა ჩამდგარიყო, დიონისურ მისტერიებში განდობილის.

,,ძველ საიდუმლო ცოდნაზე დამყარებული დიონისური მრწამსის ხუროთმოძღვარნი- წერს ავტორი, - ძალიან იყვნენ მსგავსნი თავიანთი პრინციპებითა და დოქტრინებით ფრიმასონურ წესებთან. ისინი წარმოადგენდნენ მშენებელთა ორგანიზაციას, რომელთაც ერთად ჰქონდათ შეკრული მიმართებანი მიწიერი ხუროთმოძღვრების მეცნიერებასა და ღვთიური ხუროთმოძღვრების მეცნიერებას შორის. სოლომონ მეფემ ისინი მიიწვია თავისი ტაძრის ასაშენებლად, მიუხდავად იმისა რომ ისინი არ იყვნენ არც ებრაელები და არც ებრაელთა ღმერთის თაყვანისმცემლები. არამედ ბახუსისა და დიონისეს თაყვანისმცემლები იყვნენ. არაერთი დიდი მონუმენტი აღმართეს ანტიკურობისა დიონისური მრწამსის არქიტექტორებმა. ისინი ფლობდნენ ხუროთმოძღვრების საიდუმლო ენას და ქვების ამოცნობის სისტემას. ჰქონდათ თავიანთი ყოველწლიური თავშეყრები და საიდუმლო დღესასწაულები. ზუსტი დახასიათება მათი დოქტრინებისა უ ცნობია. სარწმუნო აზრით ჰირამ აბიფი იყო ხელდასხმული დიონისური საიდუმლო წრეებისა''.

ავტორის მასონურ-მენტალური მანერის მისამართით უნდა შევნიშნოთ, რომ დიონისური მრწამსის ხუროთმოძღვარნი ვერ იქნებოდნენ მსგავსნი ფრიმასონური წესებისა, ფრიმასონები კი, ფაქტია, დიონისური, ესოდენ წარმართული სიმბოლიკის გათავისებით, მართლაც ესწრაფვოდნენ მასთან მიმსგავსებას. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ როდესაც ხსენებული ავტორი ორფეოსზე საუბრობს, როგორც დიონისური მისტერიების რეფორმატორზე, გვერდს უვლის , ან არ აცნობიერებს ორფეოსის კავშირს კოლხურ მისტერიებთან, რაც თავისუფლად იკითხება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მითოლოგიურ გადმოცემაში. ამ დონისა და მასშტაბის მკვლევარს კი არ ეკადრებოდა არც შეუმჩნევლობა ამ ფაქტისა და მითუმეტეს არც გვერდის ავლა. მაგრამ ამ საკითხის მეტი განვრცობის ადგილი აქ აღარ არის.

რაც შეეხება ტამპლიერთა საიდუმლო, ანუ ნამდვილ დამოკიდებულებას ქრისტეს მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ წყაროთა მასიური აღიარებით საზარლად უარყოფითია:

ცნობილია, რომ პაპა კლიმენტ მეხუთემ საგანგებო კომისიები შექმნა იმ ბრალდებათა გამოსაკვლევად, რომელიც მათ ედებოდათ.

,,ტამპლიერებს პირველ რიგში ბრალად ედებოდათ, რომ ისინი უარყოფდნენ ქრისტეს ჯვარცმას და აფურთხებდნენ ჯვარს. ორდენის რიგებში მისაღებად გამზადებულებს, ნეოფიტებს განუმარტავდნენ, რომ ქრისტემ, როგორც ,,იუდეველთა მეფემ'' მოაწყო აჯანყება რომაელთა მიმართ, იმისათვის რომ გაეფუჭებინა ურთიერთობა ებრაელ ხალხსა და იმპერიის ხელისუფალთ შორის. ამ განმარტების შემდეგ ნეოფიტს ეძლეოდა მითითება მიეფურთხებინა ჯვრისათვის''. (Ãåîðãèé Êëàíîâ- Frank - "Òàìïëèåðû: Çàãàäêè è ñîâðåìåííîñòü". 2006, Èí Ôðàíñ). ეს ინფორმაცია ფაქტიურად მასიურად არის ფესვგადგმული წყაროებში ტამპლიერთა ისტორიული დახასიათებისას, ხოლო ტრამპლიერული თანამედროვე გაგებისათვის ვითარება ერთგვარად გართულებულია, რამდენადაც ტრამპლიერთა ღმერთის ბაჰომეტის გამოსახულება, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით სატანისტური ორგანიზაციების ოფიციალურ სიმბოლოდ არის დაკანონებული. რაც შეეხება თანამედროვე პოლიტიკურ ორდენებს ტამპლიერებისას, რომლებიც ჯორჯ სოროსის ,,ღია სამოქალაქო საზოგადოებების'' ანალოგიით სოკოებივით არიან ამოსულნი პოსტ საბჭოთა სივრცეში, აქ ჩემი ყურადღება მიიპყრო უკრაინელ ტამპლიერთა ორდენმა, მიიპყრო თავისი საოცარი ცინიზმით ქრისტეს მიმართ...

სოლომონის ტაძრის ნატაძრალის ადგილები იყო ,,ტამპლიერთათვის'' იმდენად წმინდა და მნიშვნელოვანი, რომ თუ ტაძრის საძირკვლებს მიწისქვეშა გვირაბების გათხრით ეძიებდნენ, მიწის ზემოთ, დიდი პატივი იყო მათთვის სოლომონის სასახლის ყოფილი საჯინიბოების ადგილები მოეპოვებინათ. ეს საჯინიბოების ადგილი უ ფრო პასუხობდა მათ მიზანს, ვინემ ქრისტეს საფლავის ეკლესია, მაგრამ ამ მიზანსწრაფვის შენიღბვას ისინი ახერხებდნენ.

ერთი სიტყვით, ევროპულ ჯვაროსნულ მოძრაობაში სიონისტური მოძრაობა აღმოჩნდა შეფარული. ამ საიდუმლო სიონისტური მოძრაობისათვის მიზანში ორივე მტერი იყო ამოღებული: მუსულმანობაცა და ქრისტიანობაც. მუსულმანობა - ღიად, ქრისტიანობა - ფარულად. სიონისტური მოძრაობა, როგორც ლეგალური ფორმა ამ მიზანდასახულებისა, როგორც ვიცით, მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს გაფორმდება , აშშ-ებში, როგორც ოფიციალური მოძრაობა, ხოლო თავის მიზანს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღწევს, ცხადია, გარკვეული დოზით და არა ბოლომდე.

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაფარული არ არის, რომ ტამპლიერები სოლომონის ტაძრის ტერიტორიაზე ბანაკდებოდნენ, რაც, როგორც ფაქტი, პირდაპირ მიუთითებს მათ მსოფლმხედველობრივ ვინაობაზე და პირდაპირ აზრობრივ კავშირზე სოლომონის ტაძართან, იმაზედ, რომ ისინი არიან არა ,,ტაძრელები'', არამედ ,,სოლომონის ტაძრელები'', ანუ ,,დავითისა და სოლომონის ტაძრელები''. თანამედროვე ტამპლიერები, რომელთაც ბინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქვთ დადებული, მათ შორის ,,ქართველ ტამპლიერთა ორდენი'', რომელიც თავისი ოფიციალური, რეგისტრირებული წესდებით საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობას აღგვითქვამს მომავალში, რეგისტრირებული, როგორც ქრისტეს და ბაგრატიონ მეფეთა, ანუ ღირსეულ დავითიანთა ლაშქარი, ისეთივე მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან დღეს, როგორც საუკუნეთა წინარე ჯვაროსნული ლაშქრობების დროს იყვნენ ,,ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცები''. ინტერნეტში დევს ქართველ და ამასთან მართლმადიდებელ ,,ტამპლიერთა'' დაჯილდოვების დოკუმენტი, დაჯილდოვებისა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, რაც პირდაპირ მეტყველებს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანების მესვეურთა დაინტერესებაზე ,,ქართველი ტამპლიერების'' წარმატებითა და საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტით:

Ãðóçèíñêèå ïðàâîñëàâíûå "òàìïëèåðû" ïîëó÷èëè íàãðàäó 31 àâãóñòà 2012

Áëàãîòâîðèòåëüíûé Ôîíä "Òàìïëèåðû" ãðóçèíñêîãî ïðàâîñëàâíîãî âîèíñêîãî áðàòñòâà "Òàìïëèåðû" ïîëó÷èë îò àïïàðàòà ãîñìèíèñòðà ïî âîïðîñàì èíòåãðàöèè â åâðîïåéñêèå è åâðîàòëàíòè÷åñêèå ñòðóêòóðû ãðàìîòó çà ïîáåäó âî âòîðîì êîíêóðñå "Ïðîãðàììû Ïðèãðàíè÷íîãî Ñîòðóäíè÷åñòâà ñòðàí ×åðíîìîðñêîãî Áàññåéíà" (Black Sea CBC), ñîîáùàåò "Íîâîñòè - Ãðóçèÿ".

Öåðåìîíèÿ íàãðàæäåíèÿ ïðîøëà â Äîìå þñòèöèè, â Áàòóìè. Êðîìå Ôîíäà "Òàìïëèåðû", ãðàìîòû ïîëó÷èëè åùå 12 îðãàíèçàöèè. Â ïðîãðàììó âêëþ÷åíû âîñåìü ñòðàí - Ãðóçèÿ, Ðóìûíèÿ, Áîëãàðèÿ, Ãðåöèÿ, Óêðàèíà, Ìîëäîâà, Òóðöèÿ, è Àðìåíèÿ. Áþäæåò ïðîãðàììû íà 2007 - 2013 ãã _ 35 ìëí. Åâðî .........

ქართულმა ფართე საზოგადოებრიობამ არაფერი არ იცის ამ პროცესების შესახებ. არაფერი არ იცის არც იმის შესახებ, რომ ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომას შტატის კაპიტოლიუმის ეზოში იდგმება გრანდიოზული ქანდაკება ბაჰომეტისა მოსეს ათი მცნების მემორიალის გასწვრივ. ქართულმა ფართე საზოგადოებრიობამ, ქართველმა ხალხმა თითქმის არაფერი იცის ქართველი მასონებისა და ქართველი ტამპლიერების შესახებ. მათთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობენ ოფიციალურად და ღიად, მაგრამ მაინც ფარულად და შენიღბულად. ისინი ჰგვანან ადამიანის სხეულში გაჩენილ უმტკივნეულო კერებს, რომლებიც იმ დროს, როცა მათგან ტკივილს იგრძნობ და ამ ტკივილით - მათ არსებობას, შესაძლოა შენთვის უკვე საბედისწერონი აღმოჩნდნენ სასიცოცხლოდ.

ქართულმა ფართე საზოგადოებრიობამ არაფერი არ იცის ამ პროცესების შესახებ. არაფერი არ იცის არც იმის შესახებ, რომ ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომას შტატის კაპიტოლიუმის ეზოში იდგმება გრანდიოზული ქანდაკება ბაჰომეტისა მოსეს ათი მცნების მემორიალის გასწვრივ. ქართულმა ფართე საზოგადოებრიობამ, ქართველმა ხალხმა თითქმის არაფერი იცის ქართველი მასონებისა და ქართველი ტამპლიერების შესახებ. მათთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობენ ოფიციალურად და ღიად, მაგრამ მაინც ფარულად და შენიღბულად. ისინი ჰგვანან ადამიანის სხეულში გაჩენილ უმტკივნეულო კერებს, რომლებიც იმ დროს, როცა მათგან ტკივილს იგრძნობ და ამ ტკივილით - მათ არსებობას, შესაძლოა შენთვის უკვე საბედისწერონი აღმოჩნდნენ სასიცოცხლოდ.

## კასტობრიობის „თავზარდამცემი საიდუმლო“

1990 წელს, საქართველოში, ეროვნული მოძრაობის გულანთებულ საყოველთაო ვითარებაში, ჟურნალ ,,განთიადში'' , იბეჭდება საკმაოდ ვრცელი წერილი საქართველოს სამფეროვანი ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიკაზე, ბიბლიური რეალიების წარმოუდგენელ კონტექსტში, რომელზედაც აქ საუბრის ადგილი არ არის, და იკვეთება სრულიად მოულოდნელი და ნაძალადევი ტენდენცია ავტორისა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, რაოდენ არამეცნიერული და რაოდენ ალოგიკურიც არ უნდა იყოს, საქართველოს ისტორიულ დროშებში აღმოაჩინოს ებრაელთა მეფის , დავით წინასწარმეტყველის დროშა. ეს სურვილი საერთოდ ქართულ ცნობიერებაში, შეუძლებელია იყოს ან საქართველოს ეროვნული მოძრაობის სულისკვეთებიდან მომდინარე, ან საქართველოს სახლმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიზნისათვის რაიმე საჭიროებით ამოსაწევი, ან საერთოდ რაიმე თვალსაზრისით ბუნებრივი და მიმდინარე პროცესების კონტექსტში თავისთავადი და ლოგიკური. საოცარია და ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული წერილის ავტორს დავით წინასწარმეტყველის დროშასთან ერთად აინტერესებს ქართველ ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხი ბაგრატიონთა ებრაელობის ნიშნით. აინტერესებს არა რაიმე მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ დაინტერესებით, რომ ეს ასე იყოს. აი, რას წერს იგი, ზემოთ ხსენებული წერილის ავტორი ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ: ,,ისტორიული ტრადიცია არ ღებულობს მატიანეში წერილობით დაფიქსირებულ ცნობას ბაგრატიონების ნათესაობისას ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, ქალდეველებთან და მიაწერს მას ლეგენდის სფეროს, რადგან მისთვის ეს ნიშნავს ქართველი ბაგრატიონების ებრაელებისაგან წარმომავლობას ... რომელი ვირწმუნოთ? საქართველოს მეფეთა და კათოლიკოს პატრიარქთა სიგელ-გუჯრები, საბრძოლო დროშები და ჰერალდიკა, თუ ისტორიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება, რომ საქართველოს მეფეებმა განდიდების მიზნით დაიჩემეს ბიბლიური დავითის, მეფისა და წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობა...?'' როგორც ვხედავთ, მოხმობილ ციტატაში საქმე გვაქვს საქართველოს საპატრიარქოს კონსულტანტის, ბ-ნ გაიოზ მამალაძის წინამორბედთან მონარქიის საკითხებში.

ჩვენ საგანგებო გამოკვლევა მივუძღვენით ამ ,,მატიანეში დაფიქსირებულ ცნობას ბაგრატიონების ნათესაობისას ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან''. ეს გამოკვლევა გახლავთ: ,,გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ''. შევეცადეთ, გვეჩვენებინა და დაგვესაბუთებინა, რომ ,,მატიანეში'', ანუ საქართველოს ისტორიის ყველაზე ადრინდელ ჟამთააღმწერლობაში, ,,ქართლის ცხოვრებაში'', მოცემულია ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობისაც და დავით წინასწარმეტყველისაგან არწარმომავლობისაც. თვითეულ ვერსიას თავთავისი ახსნა აქვს, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით. აქ ჩვენ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ მოხმობილი მკვლევარის გამძაფრებულ მოწადინებასა და ტენდენციას, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველები გამოაცხადოს ქალდეველებად და ქალდეველები გენეტიკურად გაუიგივოს ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, რაც თანამედროვე, საქმეში ჩაუხედავი ცნობიერებისათვის საფუძველი იქნება ებრაელების გამოცხადებისა ქართველებად, ხოლო ქართველებისა - ებრაელებად. ცხადია, ეს გახლავთ მიზანმიმართუ-

14 gv.

13 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

ლი საინფორმაციო ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, მისი საკუთრივი თვითმყოფადი ფენომენის არსებობის წინააღმდეგ.

თითქმის საკვირველია, რომ 1990 წელს, ქართული ეროვნული დროშების ამ საზეიმო ფრიალში, როცა მართლაც ზენიტშია ეროვნული მოძრაობა საქართველოში, და პროცესები ისე მიიმართება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია მოდის, საზოგადოებისთვის უცნობი თეოლოგი და ბიბლეისტი, ამასთან ქართველი ავტორი იწყებს აბსურდულ მტკიცებას იმისას, რომ მთელი ებრაელი წინასწარმეტყველები ბიბლიისა არიან ქალდეველები, ანუ ქართველები, ხოლო მთელი საქართველოს მეფენი მე-6 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე, ანუ: ქართველ ბაგრატიონთა მთელი ამ ხანგრძლივი დინასტიის წარმომადგენლები არიან ებრაელთა დიდი მეფის დავით წინასწარმეტყველის გენტიკური შთამომავლები, და ე.ი. ებრაელები. როგორ ხდება შემოჭრა ქართულ ცნობიერებაში ამ ეროვნული დროშებით ებრაელთა დიდი მეფის - დავით წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის ფენომენისა და ამოტივტივება საქართველოს მეფეთა სრულიად მივიწყებული ტიტულისა: ,,დავითიანის''? ჩვენ ხომ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისაკენ მივისწრაფვით ამ დროს? როგორ ხდება, რომ მსოფლიოს ახალი წესრიგი, რომელიც ეროვნული მოძრაობით იწყებს საქართველოში შემოსვლას, და ამავდროულად , თურმე ერების ფენომენს ებრძვის და მსოფლიო ერების მოსპობისაკენ მიჰყავს, საქართველოს ეროვნულ დროშებთან ერთად შემოაფრიალებს ებრაელთა მეფის , დავით წინასწარმეტყველის სახელსაც? როგორ ხდება რომ ქართველი მკვლევარი ზედმეტი მონდომებით ცდილობს დავით წინასწარმეტყველი ამოიკითხოს იქ, სადაც ის არ არის, და მზად არის ისტორიული ქართული დროშის გაგებაში დავით აღმაშენებელი ამოაგდოს, ოღონდაც დავით წინასწარმეტყველი ჩასვას?

,,ქართული ისტორიული ლიტერატურა ქართული დროშების სახელს —- ,,დავითიანი'' მიაწერს დავით აღმაშენებელს - წერს მკვლევარი- მაგრამ დავაკვირდეთ: ''აბდულ-მესიანის'' ავტორი წერდა ასე: ,,გორგასლიანი, დავითიანი, დროშა იხილეს მსრველი მტერთათვის'', მემატიანე, ჟამთააღმწერელი კი პირიქით წერს: ,,დავითიანი და გორგასლიანიო''; ვახტანგ გორგასალი ხომ დავით აღმაშენებელზე ბევრად ადრე მეფობდა? ხომ არ ნიშნავს ქართული დროშების სახელი ,,დავითიანი'' დავით წინასწარმეტყველისაგან ნამემკვიდრევ დროშას? ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ კულტურის მატერიალურ ძეგლებში შავი ფერი ქართულ დროშებში დადასტურებულია ხელნაწერი ფსალმუნნის მინიატურებში(საქ. სსრ მუზეუმის ხელნაწერი 1665; იგივე, ს. ბარნაველი, ,,ქართული დროშები'', გვ.17)'', ხოლო ,,ვეფხისტყაოსანში'' - ნესტან დარეჯანს შავი მოსასხამი, ანუ შავი რიდე აქვს მოსხმული.'' ამაზე იტყოდნენ ჩვენი წინაპრები: ,,დიდება შენდა, ღმერთო!''-ო. ეგეთი ძალადობა როგორ შეიძლება ქართველი ხალხის გონებაზე?! საქართველოს დროშებს რომ ,,გორგასლიან-დავითიან- თამარიანი'' ერქვათ, ამაში ხომ მთელი ისტორია დევს ქართველი ერისა?! ,,გორგასლიან - დავითიან- თამარიან''-ში ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიიდან თავისი დიდი მეფე-დავით აღმაშენებელი გამოტოვა და ებრაელთა დიდი მეფე იგულისხმა? ან მათე მახარობელმა რომ დაიწყო თავისი სახარება სიტყვებით: ,,წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაამისა'' — დავითი რა, აბრაამზე წინ დაიბადა?! მეტს აღარაფერს ვიტყვი ამ ავტორზე( იხ.ც. ინწკირველი-,,ქრისტიანული მოტივები ,,ვეფხისტყაოსანში''. საქართველოს ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიზმისათვის'', ჟურნ.: ,,განთიადი'' „№6, 1990 წ. გვ.125, გვ. 130). იოლი არ არის პოლიტიკური დავალების შესრულება! თურმე რისთვის დაუტრიალებია ამ ქალბატონ მკვლევარს მთელი ეს ,,მეცნიერული'' ალიაქოთი. თურმე რისთვის აფეთქებულა ქართული ეროვნული სული! თურმე რისთვის მოგვიწადინებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით?! თურმე იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიულ ეროვნულ დროშად, დამოუკიდებელ საქართველოში, ებრაელთა დიდი მეფის, დავითის დროშა ამოგვეჩიჩქნა დავით აღმაშენებლის დროშაში და დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ ებრაელთა მეფის დროშა აგვეფრიალებინა! ხედავთ? როგორი ინფორმაციული ომით შემოდის მსოფლიო საქართველოში და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით გაოგნებულ ქართველობას საით მიაქანებს?! საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირიდან ეროვნული მოძრაობის გზით და ხალხის მიერ გაუცნობიერებელი ინფორმაციული ომის გზით დავით წინასწარმეტყველის დროშის ჩაჩრა ქართველი ხალხის ხელში ერთდროულად ხდება! მსოფლიოს საიდუმლო მთავრობას, რომელიც მართავს ე.წ. ,,სიონისტურ პერესტროიკას'', ანუ საბჭოთა კავშირის დაშლას და შემდეგ უკვე პოსტსაბჭოთა პროცესებს, ეს უკვე გათვლილი აქვს. ეს ჩვენ, ქართველმა ხალხმა არ ვიცით , რა ხდება ჩვენს თავს. წარმოდგენა არა გვაქვს იმაზედ, რომ საბჭოთა კავშირის ,, სიონისტურ-მასონური პერესტროიკა'', რომელიც ჩვენ ეროვნული მოძრაობის უფლებას მოგვანიჭებს, მსოფლიოს ახალი წესრიგის ის საფეხურია, რომლითაც კაცობრიობა, ანუ საბჭოთა კავშირის ხალხებიცა, ამერიკის შეერთებული შტატებიცა და ევროკავშირის ხალხებიც სიონისტურ, ანუ ებრაულ მსოფლიო იმპერიაში უნდა იქნან შესახლებულნი...

მაგრამ მთავარი კიდევ არ გვითქვამს. დავით აღმაშენებლის დროშის გადაკეთება დავით წინასწარმეტყველის დროშად, 90-იან წლებში, სავარაუდოდ, დაკვეთილი ,,მეცნიერული'' გამოკვლევა უნდა იყოს, ჩვენთვის უცნობი სამსახურების მიერ, და აქ, მთავარი მაინც თარიღია: 90-იანი წლებისათვის, როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფო მანქანა უკვე ამუშავებულია ამ მიმართულებით; მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა უკვე დაძრულია საქართველოს დროშისა და სამეფო ტახტისაკენ, და, რაღათქმაუნდა, საქართველოს მეფეთა ,,დავითიანობის'' საქმე დროშით არ მთავრდება.

აგერ უკვე 21-ე საუკუნეში, იმდენად ძლიერდება ქართული ცნობიერების ინტერესი ქალდეველთა ფენომენის მიმართ, რომ ცნობილი პოეტის, ვაჟა ეგრისელის თაოსნობით იქმნება ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საზოგადოებრივი აკადემია: ''ქალდეა'', და არსდება ამავე სახელწოდების გაზეთიც: ,,ქალდეა'', რომელშიც , სიამოვნებით ვთანხმდები, გამოქვეყნდეს ჩემი მოხსენება:'' ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა'', წაკითხული ინგლისურ ენაზე, 2001 წელს, პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. აქვე, გაზეთ ,,ქალდეაში'', ჩემი მოხსენების გვერდით, უფრო ზუსტად, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ქვეყნდება ვრცელი ნაწილი ე.წ. პოლიტიკური პატიმრის, ცნობილი იურისტის, ბ-ნ ალექსანდრე ვახანიას წიგნისა:'' კოლხეთ - საქართველოს ეპოსი'', ,,ქრისტეს სიტყვები'', ,,ლაზარეს აღდგენა''. შეუძლებელია, ამ უჩვეულო მოვლენას არ მიაქციო ყურადღება! კაცი, რომელიც ციხეში ზის პოლიტიკური პატიმრის სტატუსით და ციხიდან გარეთ, საზოგადოებაში თავისი წიგნის საპრეზენტაციოდ ნადიმებს მართავს, კაცი, რომელიც, ციხეში დამწყვდეული, ზუსტად იმ საკითხებზე ალაპარაკდება, რომლებზედაც ჩვენ სამი ათეული წელია ვმუშაობთ და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს, მითუმეტეს ყურადღებას არ გვაქცევს საქართველოს ეკლესია, უცებ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მეცნიერული ინტერესების ცენტრში ექცევა და საქართველოს ეკლესია სინოდის შემწეობით იღებს დადგენილებას საქართველოს ისტორიის ტაბუდადებულ პრობლემებზე მუშაობის აუცილებლობისათვის. სახეზე გვაქვს წლების განმავლობაში მიმდინარე უწყვეტი სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც ინფორმაციული ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელშიც გაუცნობიერებლად არის ჩართული საქართველოს ეკლესია. მოვლენებს გადავასწრებ, და შევნიშნავ, რომ უკვე გვიან, 2010 წელში, როდესაც ამ ანტიქართული პოლიტიკის საფუძვლებჩამყრელ საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს დასჭირდება საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ქ—ნ ნინო ბურჯანაძის გასაუფასურებელი დახასიათება, პირდაპირ იტყვის თავისი პირით:''ნინო კარგად მოიქცა, რომ სააკაშვილის გუნდიდან წამოვიდა, მაგრამ ის ხომ მონაწილეობდა პარლამენტში ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებში, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდაო'' (იხ. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი'', №10(806), ჟურნალისტ თეა ასათიანის მიერ აღებული ინტერვიუ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძესთან, 2010 წლის 8-14 მარტი ). ეს ხალხი, ბ-ნი შევარდნაძეც, ქ-ნი ბურჯანაძეც და ბ-ნი სააკაშვილიც უწყვეტად იდგნენ კელაპტრებით ხელში საქართველოს პატრიარქის გვერდით ბრწყინვალე წირვებზე, და უწყვეტად იყვნენ უზრუნველყოფილნი ლოცვა-კურთხევით იმ ,,ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებისა'' და ერთიანი პოლიტიკისათვის, რომელსაც საქართველო მიჰყავდა ბიბლიური დავითის დროშით ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებისაკენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა თავიდან მოშორების შემდეგ, სხვა იდეალი საქართველოს პოლიტიკას უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, არ ჰქონია.

-,,გორგასლიან - დავითიან - თამარიანში'' ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის აღმოჩენას ქ-ნ ცირა ინწკირველის მიერ, აგვირგვინებს ჩვენს მიერ უკვე ხსენებულის, ბ-ნ ალექსანდერე ვახანიასეული მთელი რიგი ,,აღმოჩენებისა'' , საგანგებოდ გამოგონილი ბ-ნი ვახანიას ზემოთხსენებული წიგნისათვის დღევანდელი ქართული საზოგადოების გასაბაიბურებლად.

1) ბ-ნ ვახანიას განმარტებით, პავლე მოციქული,

რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში, გვაუწყებს, რომ ,,ქალდეველებმა საკუთარი ,,ნაწერნი'' (ბიბლია) და ენა (ქალდეური ენა), ღმერთის სიტყვების შესანახად მიანდესებრაელებს (რომ. 3,2). საკუთარ ,,ნაწერნში'' (მოძღვრებაში, ბიბლიაში), უპირატესობა ებრაელებს დაუთმეს''. (მითითებულია პავლე მოციქულის ეპიტოლე რომაელთადმი, თავი მესამე, მუხლი მეორე!-დ.ს.)

2)ბ-ნ ვახანიას მიხედვით , ქალდეველებმა ვარსკვლავთმრიცხველური წინასწარმეტყველებით იცოდნენ, რომ მომავალი კაცობრიობისა განპირობებულია და ეკუთვნის ებრაელ ერს. თურმე ამის გამო, თავის დროზე, ფანატიკოსმა ქალდეველმა მოგვებმა მოაწყვეს ,,ბაბილონის ტყვეობა'', რათა დაეთმოთ თავიანთი უპირატესობა ებრაელთადმი და გადაეცათ თავიანთი საიდუმლო ცოდნა და ,,ნაწერნი'', ანუ ბიბლია ებრაელთათვის. თურმე ქალდეველთა მოდგმა თვითონ დაემონა ებრაელებს და თვითონ გახდა ტყვე ისრაელისა:

-,,ბიბლიური პირველისტორია ღია ტექსტით მოგვითხრობს, - წერს ქ-ნ ინწკირველის გზაკვალზე დაყენებული ბ-ნი ალექსანდრე ვახანია - რომ ქალდეველები იყვნენ ვარსკვლავთმეტყველები, მისნები, და ვარსკვლავთმეცნიერებით იცოდნენ, რომ მომავალი განპირობებულია. განპირობებული მომავალი ებრაელ ხალხს ეკუთვნოდა. ამიტომ ქალდეველი ხელმწიფის, ნაბუქოდონოსორის ზეობაში, როცა ხელმწიფეს ეუწყა ეს ღვთისაგან, ბაბილონელ მოგვთა ფანატიკურმა მოდგმამ მოაწყო ე.წ. ,,ბაბილონის ტყვეობა''. ებრაელთა გამორჩეული შვილები ძალმომრეობით წაიყვანა ბაბილონში. ასაჭურისებს მათ(ეს.39,7) და ასწავლის ქალდეველთა ,,ნაწერნსა'' და ენას(სწავლად მათდა ნაწერნი და ენაი ქალდეველთაი, - დან.1,4)........ ქალდეველებმა საკუთარი ,,ნაწერნი''(ბიბლია) და ენა(ქალდური ენა) ღმრთის სიტყვების შესანახად მიანდეს ებრაელებს(რომ.3,2)''...

..........თეოლოგის და ისტორიკოსის არქიმანდრიტ პეტრე სოლიარსკის ცნობით, ქალდეველთა კასტური ოლიგარქია მოიცავდა ბაბილონის(შუმერის) და ეგვიპტის ქურუმებს. კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე (,,გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი'' ფსალ. 84,2). ''(ციტატები ბ-ნ ალ. ვახანიას წიგნიდან მოგვყავს გაზეთ ,,ქალდეა''-ში გამოქვეყნებული ტექსტიდან, №4, 2011 წ.).

მკითხველისთვის ნამდვილად ძნელი დასაჯერებლი იქნება ალბათ, მოვახსენოთ, რომ ბ-ნ ვახანიას მიერ გადმოცემული მთელი ამ დეტექტივის დასტურად, ვახანიას მიერვე, ბიბლიიდან, პავლე მოციქულის ეპისტოლედან და დავითის ფსალმუნიდან მოხმობილ ციტატებში, არაფერი მსგავსი არ წერია. და ყველაფერი უკუღმაა განმარტებული. სწორია მხოლოდ არქიმანდრიტ პეტრე სოლიარსკის აზრი, რომ ქალდეველთა ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ამასაც ესაჭიროება ერთგვარი დაზუსტება, რადგან ამერიკაში კომპაქტურად დასხლე-

ბული მილიონნახევრიანი ემიგრაცია არსებობს ქალდეველებისა ერაყიდან, მაგრამ მათ არაფერი იციან ქართველი ხალხის შესახებ, ისევე როგორც ქართველებმა არ იციან არაფერი მათ შესახებ. ჩემი სამეცნიერო მივლინების დროს აშშ-ებში, საშუალება მომეცა რამდენიმე დღე გამეტარებინა მათთან სტუმრობაში. ეს ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში:" თბილისის უნივერსიტეტში" და გაზეთ-ალმანახ ,,ერის ღირსებაში"-ა გამოქვეყნებული 2006 წლის №7-ში.

შევეცდები განვმარტო ინწკირველ-ვახანიას გამოგონილი ქალდეურ-ებრაული დეტექტივი არგუმენტირებული პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან მოტანილი ციტატებითა და ბიბლიური ეპიზოდების საკუთარი ვერსიებით. როგორც მოგახსენეთ, ქ-ნ ინწკირველის მეცნიერული მიმართულების მიმდევარი და გამრღმავებელი, ბ-ნი ალექსანდრე ვახანია, რომელიც ციხეში ბიბლეისტი და ქალდეოლოგი გახდა, განგვიმარტავს, რომ ,,ქალდეველებმა თავიანთი საკუთარი ნაწერნი(ბიბლია) და ენა ღმერთის სიტყვების შესანახად მიანდეს ებრაელებს, და თავიანთი უპირატესობა ებრაელბს დაუთმეს". ბ-ნი ვახანია ამ დებულების დასამტკიცებლად, რომელიც მას ეკუთვნის, მიგვითითებს ფრაგმენტებზე პავლე მოციქულის ეპისტოლედან, რომელიც შეუძლებელია გადაუმოწმებლად დავიჯეროთ.

რას წერს სინამდვილეში პავლე მოციქული ბ-ნ ვახანიას მიერ ხმობილ ციტატებში, რომლითაც ბ-ნ ვახანიას აზრით რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში, პავლე მოციქული გვაუწყებს, რომ ქალდეველებმა უპირატესობა დაუთმეს ებრაელებს, რამდენადაც მათ ,,საკუთარი ნაწერნი (ბიბლია) და ენა მიანდეს ებრაელებს ღმერთის სიტყვების შესანახად". წარმოუდგენელია , საკუთარ თავს ნება მისცე, ამ დიდი მოციქულის მსჯელობის ასეთი დასახიჩრებისა და თანაც იმ მიზნით რომ დაამახინჯო შენი საკუთარი ქვეყნის ისტორია, იმისათვის რომ ღირსება და პატივი ახადო შენს საკუთარ წინაპრებს და იმისათვის რომ ვიღაცას წაემლიქვნელო.

ეპისტოლეში,საიდანაც ბ-ნი ვახანია თავისი აზრის დასადასტურებელ ციტატას იხმობს, პავლე მოციქული, სინამდვილეში, განმარტავს ებრაელი ერის, როგორც რჯულის მფლობელი ერისა და ყველა სხვა ხალხების, როგორც რჯულის არმქონე ხალხების ურთიერთმიმართებას, ანუ ღვთის რჩეული ხალხისა და წარმართი ხალხების ურთიერთმიმართებას და ამბობს, რომ რჯული ადამიანებს მოსასმენად კი არ ეძლევათ, არამედ განსახორციელებლად. რჯულისმქონე ხალხის რჯულისმქონეობის მადასტურებელი ნიშანია მათი წინადაცვეთილობა, მაგრამ ეს წინადაცვეთაც, თუ იგი თავისი სულიერი შინაარსის მომცველი არ არის და ფორმალურია, მაშინ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ის ხალხები, რომლებიც რჯულისმფლობელნი არ არიან და არც წინადაცვეთილნი, მაგრამ რჯულისა და წინადაცვეთის გარეშე იმ წესების დამცველნი არიან და იმ სულიერი შინაარსის განმახორციელებელნი, რაც რჯულში და წინადაცვეთის საიდუმლოშია ჩადებული, უფრო მეტად არიან იუდეველნი, ვინემ ის ხორციელად ებრაელნი, რომელნიც შინაგანად, სულიერად არ არიან აღმასრულებელნი რჯულისა და წინადაცვეთის:

-მაშ, რა მნიშვნელობა და რა უპირატესობა აქვს იუდეველობას და რჯულის მფლობელ ხალხს?! - კითხულობს პავლე მოციქული და თვითონვე პასუხობს: - იუდევლობას, ანუ რჩეული ერის წარმომადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არის ხალხი, რომელსაც ღვთის გამოცხადებრივი სიტყვა მიეცა. ღვთის სიტყვა მიეცათ რჯულის სახით, მაგრამ ეს უდიდესი უპირატესობა მათ დაკარგეს, რადგან რჯულის არმქონე ხალხები, ანუ წარმართები, თავიანთი სულიერებით და რწმენით მისწვდნენ ქრისტეს, ხოლო ისრაელი - ვერ მისწვდა, მაშინ როდესაც ქრისტე გვირგვინია რჯულისა და ისრაელი ვერ მისწვდა თავად გვირგვინს თავისივე რჯულისას.

ეს გახლავთ მოკლე შინაარსი პავლე მოციქულის მიერ რომაელთადმი მიწერილი , ეპისტოლესი. მიუხდავად იმისა, რომ პავლე მოციქული, როგორც სისხლი და ხორცი თავისი მშობლიური ხალხისა, თავგანწირვით ცდილობს თავის მსჯელობაში, შეუნარჩუნოს თავის ხალხს ძველი აღთქმისეული ერთგულება მამაპაპეული ღმერთისაგან, და ებრაელი ხალხის მიერ ჩადენილ ცოდვაში ღვთის წინაშე, დაინახოს რაღაც დადებითი, კერძოდ, ახსნას, ეს ცოდვა, როგორც საჭირო მოვლენა , როგორც საფუძველი და გზა ღმრთის სიწმინდისა და ჭეშმარიტების განდიდებისა, ანუ ქვეტექსტით, გახსნას ჯვარცმა, როგორც გზა ღმერთის გაცხადებისა და განდიდების, გვერდს ვერ უვლის ვერც იმ ჭეშმარიტებას, რომ რჩეულობის სტატუსი, ანუ იუდევლობის უპირატესობა ხალხთა შორის, ისრაელმა დაკარგა და ეს უპირატესობა გადასახლდა იმ ადამიანთა გულებში, რომელთაც რწმენით აღიარეს ქრისტე - გვირგვინი თავად იუდეველთა რჯულის! ხაზგასმით არის აღსანიშნავი ისიც, რომ იქვე, სადაც პავლე, ვერ შელეული იუდეველთა უპირატესობისა ყველა სხვა ხალხებს შორის, გააცხადებს, რომ ყოველმხრივ დიდი უპირატესობა აქვს იუდევლობას, რადგან იუდევლთ მიანდო უფალმა-ღმერთმა თავისი გამოცხადებრივი სიტყვა, იქვე, სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, მართალია დიდ განზოგადებაში, მაგრამ მაინც იტყვის:"გვაქვს კი რაიმე უპირატესობა? არავითარი!...". მოვიყვანთ პავლე მოციქულისეული წერილის ჩვენს მიერ გადმოცემული ამ მოკლე შინაარსის, ანუ წერილის ლოგიკური სიუჟეტის მადასტურებელ ციტატებს:

,,წინადაცვეთილობა სარგოა, თუ რჯულს ასრულებ; ხოლო თუ რჯულს გადადიხარ, შენი წინადაცვეთილობა წინადაუცვეთლობად იქცევა. და თუ წინადაუცვეთელი რჯულის მართლწესებს იცავს, განა მისი წინადაუცვეთლობა წინადაცვეთილობად არ შეერაცხება?(რომ. 2,26).

,,ვინაიდან იუდეველი ის კი არაა, ვინც გარეგნულადაა იუდეველი; არც ისაა წინადაცვეთა, რომელიც გარეგნულია და ხორციელი. არამედ იუდეველი ისაა, ვინც შინაგანადაა იუდეველი და წინადაცვეთაც ისაა, რომელიც გულისა და სულისმიერია და არა ასოსმიერი. და კაცთაგან კი არ იქების, არამედ ღმრთისაგან.(რომ.2,28-29).

,,მაშ, რა უპირატესობა ახლავს იუდეველობას, და რა სარგებელი წინადაცვეთას?" (რომ.3,1)

,,დიდი უპირატესობა ყოველმხრივ; უწინარეს ყოვლისა კი იმდენად, რამდენადაც მათ

მინდობილი ჰქონდათ ღმრთის სიტყვა."(რომ.3,2)(შდრ.: ჩემეულ თარგმანს ბერძნულიდან:

,,მაშ რაღაა უპირატესობა იუდეველისა და რა სარგებელია წინადაცვეთის."

,,მრავალი და უპირველესად ის, რომ მათ მინდობილი ჰქონდათ ღვთის სიტყვა". აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ,,მინდობილობის" მოცემულობას წარსულ დროში, რაც კარგად არის გამოკვეთილი ებრაულიდან შესრულებულ ინგლისურ თარგმანში).



ებრაულიდან თარგმნილ ინგლისურ ტექსტს: **What advantage than has the Jew, or what is the profit of circumcision?(3,1) Much in every way! Chiefly because to them werecommitted the oracles of God.(3,2)**. არავითარი ხსნება და ჭაჭანება აქ ქალდეველებისა არ არის, ლაპარაკია ,,სიტყვისა" და ,,მოძღვრების" მინდობაზე ღვთისაგან და არა ქალდეველთაგან. არავითარი ,,დათმობა თავიანთი უპირატესობისა ქალდეველთაგან ებრაელთათვის აქ არ არსებობს. მთელ ამ ეპისტოლეში, თავიდან ბოლომდე, როდესაც პავლეს წარმართების სიმბოლოდ კონკრეტული რომელიმე ხალხის დასახელება სურს, ის მოიხსენიებს ,,ელინებს".

,,მერედა რა? გვაქვს კი რაიმე უპირატესობა? არავითარი: ვინაიდან, უკვე დავამტკიცეთ, რომ ყველანი, იუდეველებიცა და ბერძნებიც, ცოდვის ქვეშა ვართ."(რომ. 3,9).

,,წარმართნი, რომელნიც არ ეძებდნენ სიმართლეს, ეწიენ სიმართლეს, სიმართლეს რწმენის მიერ, ხოლო ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მისწვდა. რატომ? იმიტომ რომ ეძებდნენ არა რწმენის მიერ, არამედ რჯულის საქმეთა მიერ. (რომ. 9,30-32) ....."იმიტომ, რომ რჯულის დასასრული ქრისტეა ყველა მორწმუნის სიმართლისათვის". (რომ.10,4)..." რასაც ეძებდა ისრაელი, მას ვერ ეწია; ხოლო რჩეულნი ეწიენ"(რომ.11,7).

ყურადღება მივაქციოთ პავლე მოციქულის ამ ბოლო ტერმინსაც! ,,რჩეულთ" მოციქული უწოდებს უკვე იმ ხალხებს, რომელნიც ეზიარნენ ქრისტეს!

ასე რომ ბ-ნი ვახანია სრულიად შეგნებულად ამახინჯებს პავლე მოციქულის ტექსტს იმისათვის, რომ შექმნას რაღაც წარმოუდგენელი დეტექტივი ებრაელთა უპირატესობისა ქალდეველებთან მიმართებაში.

ბ-ნი ვახანიას განმარტებით, თურმე ,, ბაბილონის ტყვეობა" ისტორიულად იმიტომ შედგა, იმიტომ დალაშქრეს ბაბილონელებმა ისრაელიანები, და იმისთვის დაანგრიეს სოლომონის ტაძარი, იმისთვის წაიყვანეს ებრაელები ბაბილონში, წაასხეს ტყვედ მთელი ერი, რომ ამოერჩიათ მათგან ნიჭიერნი და თავიანთი დაწერილი სიბრძნე გადაეცათ მათი გზით ებრაელი ხალხისთვის, როგორც მსოფლიოს მომავალი მპყრობელებისათვის.

არის ასეთი ქართული ანდაზა: ,,ურია წყალს მიჰქონდა და ჩემი გზაც აქეთ არისო". ,,ბაბილონის ტყვეობა", ეს განუმეორებელი ტრაგედია ებრაელი ხალხის ღირსების აყრისა, საგანი ყველა წინასწარმეტყველის გოდებისა, მხოლოდ ებრაულ გონებას შეუძლია შეატრიალოს მისთვის სასარგებლო მოვლენად, ამასთან მხოლოდ უმეცართა მოსატყუებლად და შეცდომაში შესაყვანად. ბიბლია გამჭვირვალედ განმარტავს მიზეზს ებრაელი ხალხის ტყვეობაში ჩავარდნისას. როდესაც დაასრულა სოლომონმა უფლის სახლის შენება, გამოეცხადა მას უფალი და უთხრა:" თუ განმიდგებით თქვენ და თქვენი შვილები, არ დაიცავთ ჩემს ბრძანებებს და წესებს, მე რომ მოგეცით, შეუდგებით უცხო ღმერთებს და თაყვანს სცემთ მათ, გავწყვეტ ისრაელს იმ მიწის პირისაგან, რომელიც მას მივეცი, მოვიშორებ სახლს, რომელიც ჩემს სახელზე ვაკურთხე, და საიგავოდ და დასაცინად შეიქმნება ისრაელი ხალხთა შორის".. . (3მეფ.9,6-7).

შემთხვევითი არ არის რომ დავით აღმაშენებელი თავის "გალობანში სინანულისა" ისრაელის მეფეთ მოიხსენიებს ცოდვილებად თავიანთი ხალხის წინაშე. ბიბლიის ,,მეფეთა წიგნებით" ეს უდიდესი მეფენი ებრაელი ხალხისა, დავითი და სოლომონი, განსაკუთრებით სოლომონი, იმდენად ცოდვილნი არიან უფლის წინაშე, რომ მთელი ერი ისჯება მათი ცოდვებისათვის.

,,სიბერის ხანს მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისაკენ..."(3მეფ. 11,4).

,,უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში იეჰოიაკიმი, როგორც მისი მამა-პაპა იქცეოდა..." (4მეფ 23,37)... მიუსევდა ხოლმე მას უფალი ქალდეველთა, არამელთა, მოაბელთა, და ყამონიანთა ბრბოებს, შეუსევდა ხოლმე რათა დაეღუპა იგი უფლის სიტყვისამებრ... უფლის ნებით ხდებოდა ეს იუდეაში..." (4მეფ.24,2).

ახლა უკვე კონკრეტულად, როგორ არის აღწერილი ბიბლიაში, თავად ებრაელთა მიერ, ანუ ებრაული ცნობიერებითა და შეგნებით, ებრაელი ერის დატყვევება ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთზე გადაბმულია მეფეთა ცოდვები და უფლისმიერ მოვლენილი სასჯელნი მტერთა შემოსევების სახით:

,,უკუღმართად იქცეოდა იეჰოიაკინი უფლისთვალში, ისევე როგორც მამამისი იქცეოდა. ამ დროს დაიძრნენ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მოლაშქრენი იერუსალიმისაკენ და შემოადგნენ ქალაქს. მოადგა ბაბილონის მეფეც, ნაბუქოდონოსორი ქალაქს, როცა მის მოლაშქრეებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული ქალაქი... გაზიდა

იქიდან უფლის სახლის მთელი საგანძური და მეფის სახლის საგანძური... აჰყარა მთელი იერუსალიმი, ყველა დიდებული, ყველა მამაცი მებრძოლი - ათი ათასი კაცი იყო აყრილი, ყველა ხელოსანი, და მშენებელი, არავინ დარჩენილა ქვეყნის ერის გარდა.....წაასხა ბაბილონის მეფემ ბაბილონში დასასახლებლად (4მეფ.24,14-16).

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

# მოვიაროთ საქართველო!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

## 6000 გარეჯელი მოწამე წმინდანი — სიკვდილისა სიკვდილით დათრგუნვა

მტრის მიერ მრავალგზის დარბეულ მაგრამ მაინც ყოველთვის მკვდრეთით აღმდგარ დავით გარეჯის ლავრას იქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა სიმრავლის გამო „ბერთა ქალაქად“ მოიხსენიებდნენ. მრავალი გარეჯელი წმინდა მამა აღესრულა მოწამეობრივად, მაგრამ განსაკუთრებულად აღსანიშნია 1616 წლის აღდგომის ღამე „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა.“

1615 წლის საქართველოს აოხრებისა და დაპყრობის მომდევნო წელს შაჰ აბასი სანადიროდ გაემართა კახეთის ველებზე და გარეჯის მთებში შემოაღამდა. შუაღამისას შაჰის ყურადღება შორს, მთაზე მოძრავმა მანათობელმა მწკრივმა მიიპყრო, რომელიც თავდაპირველად მოჩვენება ჰგონებია, მაგრამ როდესაც აუხსნეს, რომ ქრისტეს აღდგომას აღნიშნავდნენ ქრისტიანები — ანთებული სანთლებით ხელში გარს უვლიდნენ მონასტერს, სასწრაფოდ გასცა ბრძანება რომ ამოეხოცათ ბერები.

ამ ღამეს გამოეცხადა დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარ არსენს ღვთის ანგელოზი და აუწყა, რომ უფალი ზეციურ სავანეში მოუწოდებდათ და ეს ღამე იყო მათი დიდი გამოცდის ღამე — ვისაც სურს დაზოგოს საკუთარი დროებითი სიცოცხლე, გაიქცეს, დაიმალოს, ხოლო ვისაც სულის მარადისობა სწყურია, მახვილით მოისრებაო. წინამძღვარმა ყველა ბერს აუწყა გა-


6000 გარეჯელი მოწამე

მოცხადების შესახებ და დაიწყეს ბერებმა მზადება მოწამეობრივი ღვაწლისთვის, მხოლოდ ორი მორჩილი შეშინდა და მონასტრის მახლობელ მთაზე დაიმალა.

მართლაც, წირვის ბოლოს, „მამაო ჩვენოს“ გალობისას სპარსელები გარს შემოერტყნენ მონასტერს. წინამძღვარმა მორჩილად ითხოვა წირვის დასრულება და ზიარების მიღება. სპარსელებმა მოითათბირეს და მცირე დრო მართლაც მისცეს. ცოტა ხანში, უპირველესად წინამძღვარს მოჰკვეთეს თავი, შემდეგ კი დანარჩენებიც აკუწეს და იქვე ეყარნენ ნადირ-ფრინველთა შესაჭმელად. როგორც ამბობენ, ამ ადგილზე ვარდის ბუჩქი ამოვიდა, რომელიც XIX საუკუნეშიც კი ყვაოდა, უწყლო, მშრალ და ქვიან ადგილზე...

მოგვიანებით, მეფე არჩილმა შეაგროვა მოწამეთა ძვლები და ქვის დიდ საწნეხელში მოათავსა ტრაპეზის მარცხენა მხარეს, საიდანაც კეთილსურნელოვანმა მირონმა იწყო დენა. წმინდა დავითისა და იოანე ნათლისმცემლის მონსტერთა ძმობამ თხოვნით მიმართა კათალიკოს ანტონ I-ს შეედგინა მათთვის ღვთისმსახურება და მათ პატივსაცემად დაედგინა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათი.

### 7 გარეჯელი მოწამე

**ღირსი მამები:** გერონტი, სერაპიონი, გერმანე, ბესარიონი, მექაელი, სვიმონი და ოთარი დავით გარეჯის უდაბნოში XVIII-XIX საუკუნეებში, ანუ იმ დროს მოღვაწეობ-


6000 გარეჯელი მოწამე

დნენ, როდესაც ეს ტერიტორია ლეკების მუდმივი სათარეში ადგილი იყო. მომხვდურები ანადგურებდნენ ბერების სენაკებს, იტაცებდნენ როგორც მღვდელმსახურებს, ისე, ღვთისმსახურებისთვის ძვირფას ნივთებს, აწამებდნენ და ხოცავდნენ იქ მოღვაწე მამებს.

1851 წლის ზაფხულში გარეჯის უდაბნოს თავს დაატყდა ლეკების დიდი რაზმი, დაარბიერს დავით გარეჯის ლავრა და აწამეს იქ შეპყრობილი შვიდი მამა. მათი აღსრულება და დიდი ნათელი დასდგომია წამებულებს... ამ ამბის შემსწრე ბერმონაზონი ისააკი კი ტყვედ წაიყვანეს დაღესტანში. მას აქვს აღწერილი თითოეული მათგანის მოკვლა. ცნობისათვის, ეს ის ისააკია, რომელიც შემდგომში რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ გამოიხსნა...

### დოდოს რქა

გარეჯელ მამებს შეუერთდა შემდგომში უკვე სათნოებით ცნობილი ბერი, დოდო, კახელი თავადი, ანდრონიკაშვილი, რომელიც ბერად შემდგარი განმარტოებით მოღვაწეობდა ნინოწმინდაში. მამა დავითმა შესთავაზა გარეჯის მოპირდაპირე კლდის წვერზე სენაკების გაშენება და მეუდაბნოეთა ნაწილის წაყვანა. მართლაც, ღირსმა დოდომ კლდის წვერზე 200-ზე მეტი სენაკი ააგო, მოგვიანებით კი ღვთისმშობლის ტაძარიც. ასე ჩამოყალიბდა გარეჯის კომპლექსის ერთ-ერთი განშტოება — დოდოს რქა.


დოდოს რქა

VI საუკუნის I ნახევარში დაარსებული მონასტერი შედგება სხვადასხვა დროის (VI-XVIII სს ჩათვლით) გამოქვაბული კომპლექსებისგან. განსაკუთრებით საკურადღებოა კლდეში გამოკვეთილი წმ. დოდოს მცირე ეკლესია, რომელშიც შემორჩენილია მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი (VIII-IX სს) და მნიშვნელოვანი ნიმუში საქართველოში. მოხატულობის მთავარი ფიგურაა ტახტზე მჯდომი ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით, რომელსაც მარცხენა ხელში უკავია გადაშლილი წიგნი, სადაც შემორჩენილია ქართული წარწერა.

დოდოს რქასთან მისვლა მხოლოდ ორი გზითაა შესაძლებელი, მანქანით ზემოდან, მთის ძირამდე და ძნელი გადასასვლელებით უშუალოდ დოდოს ხევის სენაკებში, სადაც უნიკალური ფრესკებია; მეორე — ქვემოდან და იქაც მთა არის გადასავლელი და პირდაპირ უყურებს ჩიჩხიტურს.

რა მოხდა, ფაქტობრივად, დღემდე დაუდგენელია, მაგრამ სიტყვა „ფაქტობრივად“, ვერ ასახავს იმას, რაც აქ მოხდა — დოდოს რქას, როგორც ოფიციალურმა უწყებამ განაცხადა და „აღშფოთდა“, თვითნებურად შეესივნენ დავით გარეჯელი სასულიერო პირები და იქაურობის „დალაგების“ ნაცვლად, განადგურება დაიწყეს. ცხადია, ამ ფაქტზე „გადაირივნენ“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მცველები ბატონი სააკაშვილის მეთაურობით და გადაწვიტეს დოდოს რქის მონასტერში ჩატარებული „ვანდალიზმის“ გამოსწორება. გეგმაც შედგა: არქეოლოგიური სამუშაოები; კედლის მხატვრობის შესაწავლა; პალეონტოლოგიური კვლევა; არტეფაქტების კვლევა; ფინალში — ძეგლის კონსერვაცია და მეცნიერებისთვის საშუალების მიცემა, რომ დაადგინონ დოდოს რქის მონასტრის განვითარება და სხვადასხვა ეტაპები — როგორც მოგზაურებს, რაღაც, ისე არ გვეჩვენა...


დოდოს რქა

იმ დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი, ბატონი ნიკა ვაჩეიშვილი პირობას დებდა, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში მოღვაწე სასულიერო პირებს პროკურატურაში უჩივლებდა უნებართვო განწმედითი სამუშაოების ჩატარების გამო, რის გამოც კედლებზე მოხატული საუკუნოვანი ფრესკები ისე დაზიანდა, რომ აღდგენა ველარ მოხერხდება. მას შემდეგ აღარაფერი თქმულა, არადა, სასულიერო პირებს მართლაცდა, არავინ უნდა ჰკითხოს, რატომ აზიანებდით კი არა, რატომ შლიდით მე-6 საუკუნის საქართველოს კვალსო? ზედ საზღვრისპირსააა ეს ყველაფერი, აზერბაიჯანშია უკვე ლამის ნახევრად მოქცეული საქართველოს თითქმის „დაბადებისწინანდელი მოწმობა“ და ახლა, ორიოდე კილომეტრში არსებულ „დოკუმენტს“ როგორ და რატომ შლიდითო?


უჯარმა

მოგზაურებს ორი განსაკუთრებული სტუმარი გვყავდა, ძალიან მოკრძალებული ფერეიდანელი და ასევე, ძალიან მოკრძალებული კანადელი მამაკაცი. დადიოდნენ შთამბეჭდავი სახეებით და გაოცებას იყვნენ — თქვენ ვინა ყოფილხართო...

გაოცება რაღაც უცნაურ გამოხტვაში გადაიზარდა როდესაც უკან მოვბრუნდით სოფელ უდაბნოში, აბსოლუტურად უცნობ სვან მასპინძელ ქალბატონთან. გასჭრა სვანურმა (უდაბნოურმა) ჭაჭამ და როგორც „აღმოვაჩინეთ“, ყველას ყველა ენა გვესმოდა... ორი კინკილა სტუმარი იყო, ორივე ჩვენგან განსხვავებული სარწმუნოების, მაგრამ განცდილისა და ამდენი პირჯვრისწერის ნახვის შემდეგ, თითქოს უცბად გაქართველდნენ...

### უჯარმა

ვისაც ერთხელ მაინც უქნია პირი კახეთისკენ, აუცილებლად შეამჩნევდა რაღაც ნანგრევს გზის მარჯვება მხარეს, რომელიც ნანგრევი კი არ არის, ეს ისტორიული ციხე-ქალაქია — „ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“... ეს ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო...

უჯარმა 914 წელს აიღეს არაბებმა, დაარბიეს და დასცეს, მხოლოდ XII საუკუნეში აღდგა გიორგი III-ის მეფობისას და საკუთარ განძთსაცავად აქცია.

ერთი შეხედვოთ ნანგრევები სრულებით არ არის ნანგრევები...

ციხე-ქალაქი აგებულია მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროზე, მაღალ გორაკზე და წარმოდგენს (წარმოადგენდა) ვიწრო გასასვლელს, ჩამკეტ კარიბჭეს. ციხე-ქალაქს რამდენიმე კარი ჰქონდა. ციხე-ქალაქი სრული სახით აღარ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ რაც არ დანგრეულა და გზიდან არ ჩანს?

ციხეში ჩაშენებულია ჯვარპატიოსანის სახელობის ორსართულიანი ეკლესია და საგულისხმო ის არის, რომ პირველი სართული შედარებით ძველია, ხოლო მეორე სართული ვახტანგ გორგასალს დაუშენებია V საუკუნეში...

გათხრების შედეგად ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოსა და მინის საკაულები, ღილები, ქვევრები, თონე, საფლავები...

სხვათაშორის, აქვე, მდინარე ივრის პირას შემორჩენილია კვირაცხოვლობის სახელეობს ეკლესიის ნაშთი, რომლის ქვეშაც მოწყობილია საძვალე. როგორც ვარაუდობენ, აქ უნდა ყოფილიყო მეფე ასფარუგის მიერ აშენებული ციხის ნაშთები...

ის კი დადასტურებულად ცნობილია, რომ აქ გარდაიცვალა ვახტანგ გორგასალი...

(დასასრული)


უჯარმის ციხე

მოგზაურობის მსურველებს შუძლიათ დაუკავშირდენენ ტელეფონზე 598 73 12 22

**გვესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ თავმჯდომარე მერაბ შათირიშვილი.**

— სანამ კითხვას დამისვამდეთ, მოდით, თქვენი გაზეთის საშუალებით ვიტყვი გარკვევით იმ ადამიანების გასაგონად, რომლებიც ე.წ. „პრო“ ორიენტაციას გვაბრალებენ მე და ჩემნაირებს — პრორუსებიც თქვენ ხართ, პროევროპელებიც და პროამერიკელებიც. მე ვარ პროქართველი და უანგაროდ მტკივა გული ჩემს ქვეყანაზე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორი სანახავია, საქართველოს პრეზიდენტის გვერდით ლოჟაში სისხლის სამართლის დამნაშავეს რომ უსვამენ?! მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავეა, არამედ ის სახელმწიფო დამნაშავეც გახლავთ. 2008 წელს მან ომი წააგო რუსეთთან და ის ხელისუფლება, რომელიც ომს აგებს, მსოფლიო ისტორიის სინამდვილის მიხედვით, პასუხს აგებს... ჰიტლერმა თავი მოიკლა, სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხების შემდეგ გამარჯვება იზეიმა.

ევროპა ერთმნიშვნელოვნად განიხილავს საქართველოში ორპოლუსიან მმართველობას.

ჩვენთან, ფაქტობრივად, უკვე არის ორხელისუფლებიანობა. კონკრეტული დიპლომატიური ურთიერთობების დროს ის ამყარებს კონტაქტებს არსებულ ხელისუფლებასთან. პარალელურ რეჟიმში ევროპა ანგარიშს უწევს ყოფილ ხელისუფლებას — „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერებს, რომლებიც, ფაქტობრივად, დიდ საშიშროებას უქმნიან სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას.

„ამის მაგალითად მოვიტან უკრაინაში „ნაცმოძრაობის“ ყოფილი წარმომადგენლების, ყოფილი სახელმწიფო მოხელეების დანიშვნას მაღალ თანამდებობებზე. ყოველივე ეს, პირდაპირ ვიტყვი, უდიდესი საფრთხის შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის.

**— რა საფრთხეებს გულისხმობთ?**

— მოგახსენებთ.

ევროპა ცდილობს უკრაინის კონფლიქტის ჭრილში განიხილოს საქართველო. უკრაინა და საქართველო, მათი აზრით, როგორც ჩანს, უნდა იყოს ორი ფეთქებადსაშიში რეგიონი რუსეთის საწინააღმდეგოდ და თვით აღმოსავლეთის ქვეყნების საპირისპიროდაც.



# მერაბ შათირიშვილი: პრორუსებიც თქვენ ხართ, პროევროპელებიც და პროამერიკელებიც. მე ვარ პროქართველი და უანგაროდ მტკივა გული ჩემს ქვეყანაზე

დასავლეთ უკრაინას ევროპული ქვეყნები ემიჯნება. საქართველოს კი არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მუსულმანური სამყაროს დიდი სახელმწიფოები — თურქეთი, ირანი, ასევე სომხეთი და აზერბაიჯანი ესაზღვრება, რომლებსაც სასიცოცხლო ინტერესები გააჩნიათ საქართველოს მიმართ.

როცა სააკაშვილმა განაცხადა — „აჭარა დავიბრუნეო“, დასაბრუნებელიც რა იყო, მაგრამ, მე ვფიქრობ, რუსეთს ინიციატივა რომ გამოეჩინა, როგორც აფხაზეთი დაიცვა და მერე საერთოდ ჩამოგვაცილა, ასლან აბაშიძეს არათუ გაიყვანდა აჭარიდან, არამედ იქ დატოვებდა და სრულ დამოუკიდებლობასაც მოაპოვებინებდა, მაგრამ აჭარა „მიუგდო“ თურქეთს და ჩვენ ვხედავთ, როგორ გალაღდნენ იქ თურქი ბიზნესმენები და საერთოდ, თურქეთის მოქალაქეები.



დღეს ჩვენ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის წინა მდგომარეობაში ვიმყოფებით — მუსულმანური სამყარო გვიტევს და აბსოლუტურად დაუცველნი ვართ. ამ დროს კი ევროატლანტიკური კურსის გადახვევის საშიშროება იგრძნობა. რაც უფრო აქტიურდება სწრაფვა ევროსტრუქტურებისკენ, ჩვენი ქვეყანაც შაგრენის ტყავივით პატარავდება.

ვინც მიცნობს, იცის, რომ პირფერობაში ვერ ჩამომართმევენ, ამიტომ ვიტყვი, ორ ადამიანს — ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს დაბალანსებული პოლიტიკური სიტუაცია აინტერესებთ. ამის თქმა თავისუფლად შემიძლია, რადგან წლების განმავლობაში „ოცნების“ გვერდით ვიბრძოლე და ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე. ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს საქმის გაკეთების საშუალება არ ეძლევათ!

**— რაში უშლიან ხელს და ვინ?**

— ევროპა ყველა მხრით უწყობს ხელს ლიბერალურ პარტიებს, რომ არ დალაგდეს დიპლომატიური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და ძირითადად, რუსეთთან.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ დატოვეს კოალიცია ფორმულირებით, ხელისუფლებამ ევრო-ატლანტიკურ გზას გადაუხვიაო.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ამ განცხადებაში იმ დროს სახელმწიფო გადატრიალების ნიშნები იდო. ამიტომ გახდა იძულებული ირაკლი ღარიბაშვილი, წინა დღით თამარ ბერუჩაშვილმა განცხადება რომ გააკეთა — იმიტომ გადავდექი, ევროპულ გზას გადაუხვია ხელისუფლებამო, მომდევნო დღეს ის დაენიშნა მინისტრად იმის დასადასტურებლად, რომ არ გადაუხვევია ხელისუფლებას არავითარი ევროპული გზიდან.

ეს იძულებითი პოლიტიკური სვლა იყო ღარიბაშვილის მხრიდან.

ევროპა დღეს ჩვენ იმ ყოფაში გვაგდებს, რა დღეშიც არის დასავლეთ უკრაინა.

ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები იმიტომ კი არ ინიშნებიან უკრაინაში, რომ რაიმე ნოვატორულს შეიტანენ იქაურ მმართველობაში, არამედ ხდება ალტერნატიული ხელისუფლების ჩანერგვა უკრაინის მთავრობაში და იმ ელექტორატის შენარჩუნება, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ჰყავს საქართველოში. იქმნება იმის მოსალოდნელობა, რომ შიდა სამოქალაქო დაპირისპირება მოხდეს. უფრო ზუსტად: „ნაცმოძრაობას“ ჰყავს ამომრჩეველი, რომელიც ნელ-ნელა ეცლებოდა პარტიას, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ პარტიის წევრები, რომელსაც მხარს უჭერდა, ახლა უკრაინაში მინისტრებად ინიშნებიან, უკვე აღარ მერყეობენ და კვლავ იმედის თვალით შეჰყურებენ ნაციონალებს.

ამავე დროს, ხაზგასმულად არის მინიშნებული, რომ დასავლეთი „ნაცმოძრაობას“ თანაუგრძნობს და მისი მოკავშირეა. ეს დიდი ძალაა, ეს არის აშშ-ი, მთელი ევროპა, მათი დომინანტი პოლიტიკური ძალები.

ორიოდე კვირის წინ პოლონეთში ხმალი აჩუქეს მიხეილ სააკაშვილს „რაინდობისთვის“. ჯილდო პოლონური წარმოშობის სომეხმა გადასცა. თან დასძინეს, ჩვენთვის თქვენ კვლავ პრეზიდენტი ხართო.

ეს აქეზებს „ნაცმოძრაობის“ მომხრეებს და სხვა ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებსაც. მოსახლეობის იმ ნაწილსაც, რომლებიც უკმაყოფილონი არიან არსებული ხელისუფლების მმართველობით.

**— თქვენ ევრო-ატლანტიკური ორიენტაციის მოწინააღმდეგე ხართ?**

— არა, ჩემო კარგო. მე ვწუხვარ, რომ, შეიძლება, საქართველოში ევრო-ატლანტიკური იდეალების მსხვრევა დაიწყოს.

მეზობელ ქვეყნებთან მუდმივად მტრულ პოზიციაში ყოფნა ჩვენი სახელმწიფოს დაპატარავებას და განადგურებას იწვევს. ამიტომაც უნდა მოგვცენ საშუალება დიპლომატიური გზით მოვაგვაროთ პრობლემები მეზობელ ქვეყნებთან.

როგორც ზემოთაც გითხარით, შეიქმნა ახალი ოპოზიციური გაერთიანება **ალასანიას** ირგვლივ. ახლა ეს გახდა დასავლეთის მხარდაჭერის ობიექტი. დასავლეთი ქართულ პოლიტიკაში ისე ურევს ხელს, როგორც მოესურვება და გაფლანგულ მილიონებს „უპრავებს“, ამჯერად, ირაკლი ალასანიას.

ემზარ კვიციანი მომაგონდა ახლა და დამისახელეთ თუნდაც ერთი დასავლური ორიენტაციის ორგანიზაცია, რომელიც მას იცავს?! არც ერთი, ხომ? ის რომ დასავლეთში გაქცეული იყო და ლიბერალებისთვის მიემართა, ფეხზე დადგებოდა ევროსტრუქტურები მისი პატიმრობის გამო. დღეს ხელისუფლების მოწინააღმდეგეებიც კი არ აღიარებენ მას პოლიტპატიმრად მისი ახ-

19 gv.

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# პუტინის არაჩვეულებრივი პრესკონფერენცია



პუტინის ეს პრესკონფერენცია ადრინდელებისგან ძირეულად განსხვავდება. თუნდაც იმით, რომ მისი ხანგრძლივობის რეკორდზე არ უფიქრიათ. ვლადიმირ პუტინის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, მას პირიქით ანტირეკორდი უფრო დააკმაყოფილებდა. რამდენიმე შეკითხვას უპასუხა, განაცხადა, ყველაფერი კარგად იქნებაო და უკან, კრემლში დაბრუნდა. ეს მართლაც იმ ადამიანის პრესკონფერენცია იყო, რომელმაც არ იცის, როგორ მოიქცეს. ეს ყველაზე მთავარი და სავალალო შედეგია. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავს თვითონ უნდა უშველოს და ამ მძიმე სიტუაციიდან თავდასაღწევი გზა ეძებოს. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ხედავს ქვეყნის განვითარების გზას, რომლის მეშვეობითაც, თითქოსდა ეკონომიკას ეშველება... თავისით. ეს იყო პრეზიდენტის პრესკონფერენციის მთავარი ოპტიმისტური თეზა.

ვერაფერს იტყვი, ასეთი კრიზისული ვითარებისთვის „მძლავრი სასტარტო“ მოედანია. ხანდახან გამოცოცხლება ეტყობოდა, როცა უკრაინაში მოქმედ სადამსჯელო ჯგუფებზე ან რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული დასავლეთის ვერაგობაზე ლაპარაკობდა. ან მილსადენზე, ჩინეთის საზღვრებამდე რომ უნდა აიგოს და რომლის მეშვეობითაც რუსეთი ჩინეთს გაზს მუქთად მიაწვდის.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და ქვეყნის გარეთ რუსეთის მიმართ არსებული დამოკიდებულება პრეზიდენტს ავალდებულებდა, ელაპარაკა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, უფრო სწორად – უმძიმეს მდგომარეობაზე. რასაც ეკითხებოდნენ, იმაზე პასუხობდა. ესეც ნიშანდობლივია – ქვეყნის ხელმძღვანელისთვის დასმული რამდენიმე ათეული შეკითხვიდან მხოლოდ რამდენიმე იყო მწვავე, დანარჩენები კი მადლობასა და კერპთაყვანისმცემლობას გამოხატავდა.. ნორმალურ ქვეყანაში პრესის ვალი ისიც არის, რომ ქვეყნის მეთაურს სახის შენარჩუნებაში დაეხმაროს, რუსეთის მასმედია კი ისე იქცევა, თითქოს სახელმწიფოში განსაკუთრებული არაფერი ხდება. პუტინს რომ ნდომებოდა, შეეძლო თვითონ ელაპარაკა, მაგრამ ის მხოლოდ იმაზე საუბრობდა, რაც უხერხულობას არ უქმნიდა და ისეთ თემებზე, რაც სიამოვნებდა და ხალხის გასაბრუებლად „ექსპლოატაციაში გაშვებას“ გულისხმობდა.

ამ პრესკონფერენციის შემდეგ, შეუძლია ვინმეს თქვას, რა გეგმები აქვს ქვეყნის ხელმძღვანელობას? არა. მას არც პუნქტები გააჩნია და არც გეგმები. გარშემო ყველგან მტრები არიან, იმედები კი ნავთობს, ჩინეთთან მეგობრობას უკავშირდება, და კიდევ იმას, რომ ეკონომიკა თვითონ „აეწყობა“. პუტინმა უპასუხა ქსენია სობჩაკის დასმულ შეკითხვას კადიროვზე. ვინც ნახა, რა უპასუხა პუტინმა, ეჭვიც აღარ დარჩება, ვინ არის რუსეთში მთავარი. ქვეყნის პრეზიდენტი თუ მისი პატარა ნაწილის პრეზიდენტი.

რუსეთში მცხოვრებთ მოთმინება მართებთ – პუტინი ხომ ციურ მანანას არავის ჰპირდება სულ ცოტა 2 წელი მაინც. იქნებ ასეთი დროის მოლოდინი გულუბრყვილობაა?!

# ევროპა პუტინის იმიჯისთვის ზრუნავს

## უკრაინის საკითხში უკან დახევისას სახე რომ შეუნარჩუნოს

„ევროკავშირის ლიდერები ეძებენ დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც პრეზიდენტ პუტინს უკრაინაში სიტუაციის განმუხტვის პროცესს გაუადვილებს, თანაც ისე, რომ სახე შეუნარჩუნონ. მით უმეტეს, რომ რუსეთში შექმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ევროპის ეკონომიკაზე და ამ გავლენის საფრთხე დღითიდღე იზრდება“, – წერს T.

ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირის ხელმძღვანელობა შეთანხმდა, რომ უნდა შეინარჩუნონ მტკიცე პოზიცია მოსკოვის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ერთიანობა, ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება და რუსეთის საწინააღმდეგო შემდგომი სანქციები აუცილებლობად აღარ მიაჩნიათ. ითქვა, რომ უნდა გამოიყენონ დიპლომატია, პუტინს მიეცეს შესაძლებლობა, შეასრულოს დასავლეთისგან რუსეთისთვის წაყენებული პირობები.



პუტინს უნდა მიეცეს სახის შენარჩუნების შესაძლებლობა და იმავდროულად, შეუმსუბუქდეს დაწესებული სანქციები, თუკი უკრაინაში არსებული კრიზისის დასრულებას შეეცდება, – აცხადებს ევროკავშირის მაღალჩინოსანი.

ბრიუსელის სამიტის დამთავრების შემდეგ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხდა, რომ „საერთაშორისო ჯგუფმა“ (მის შემადგენლობაში რუსეთი და უკრაინა შედიან) უნდა მიიღოს ზომები კონფლიქტის დასასრულებლად და სეპარატისტებსა და კიევს შორის დიალოგის დასაწყებად. მისივე განცხადებით, ევროკავშირმა აღიარა ის ფაქტი, რომ რუსეთის ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად აისახება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებზე და „სანქციები არ უნდა იყოს თვითმიზანი“.

„მერკელმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მისი ინიციატივით დაიწყო დიპლომატიური სატელეფონო მოლაპარაკებების რაუნდი – პუტინთან, უკრაინის პრეზიდენტთან. გერმანული წყაროები ამას შეთანხმების მისაღწევ სერიოზულ მცდელობებად აფასებენ“, – წერს გამოცემა.

ევროკავშირის სანქციების ვადის ამოწურვის შემდეგ მათ გაგრძელებას ევროკავშირის 28 წევრი-სახელმწიფოს თანხმობა დასჭირდება, ამერიკული სანქციები კი გაგრძელდება, თუკი ობამამაც უარს არ იტყვის მათზე.

„ობამას გაუჭირდება სანქციების მოხსნა, რადგან ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება და კონგრესში რესპუბლიკელების უმრავლესობის მძაფრი კრიტიკის მიზეზი“, – აცხადებს ამერიკული სანავთობო მრეწველობის წარმომადგენელი.

თუკი ამერიკის შეერთებული შტატები სანქციებს ძალაში დატოვებს, ევროკავშირისგან სანქციების მოხსნა სიტუაციას ვერ შეცვლის იმ სახელმწიფო ბანკებისთვის, რომლებსაც დასავლეთში კრედიტების მიღება სურთ.

ამერიკის დაზვერვის ყოფილი თანამშრომლის განცხადებით, პუტინის სტრატეგიის ნაწილი იყო, განხეთქილება ჩამოეგდო ევროკავშირსა და ამერიკას შორის. მას ეს გამოუვიდა, მაგრამ რუსული ეკონომიკის დაქცევის ფასად.

# ილჰამ ალიევის სენსაციური გარიგება ევროკავშირთან

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა თანერ იილდიზმა და ენერგეტიკების საკითხებში ახალმა ევროკომისარმა მაროშ შეფროვიჩმა სენსაციური შეთანხმება დადეს.

დაპირველად, განზრახული იყო ამ მარშრუტით ყოველწლიურად 16 მილიარდი კუბმეტრი გაზის ტრანსპორტირება მოეხდინათ, რომლის 6 მილიარდი თურქეთში უნდა დარჩენილიყო, დანარჩენი ევროპისთვის მიეწოდებინათ.



მხარეები შეთანხმდნენ, გაზსადენ „თანარის“ გამტარუნარიანობა წელიწადში 20 მილიონ კუბმეტრამდე გაზარდონ. Der Spiegel-ში გამოქვეყნებული ინფომაციით, გაზსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა ილჰამ ალიევს ევროკავშირის ქვეყნებმა სთხოვეს. ეს თხოვნა მაშინვე გაჩნდა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა გაზსადენ „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობა შეაჩერა და იმავდროულად, გადაწყვიტა, თურქეთის გავლით ახალი გზა ააგოს.

გაზსადენი „თანარი“ „შაჰდენიზის“ საბადოდან თურქეთის გავლით ევროპაში გაზის ტრანსპორტირებისთვის არის განკუთვნილი. თავდაპირველად, ...

ევროკომისარი მაროშ შეფროვიჩი გამოცემითვის მიცემულ ინტერვიუში ადასტურებს ილჰამ ალიევთან ახალი შეთანხმების დადებას და იმასაც აღნიშნავს, რომ „თანარს“ გამტარუნარიანობის გაზრდის ტექნიკური საშუალებებიც აქვს. მისი თქმით, შეთანხმების ყველა მხარე დარწმუნებულია, რომ გაზსადენი 2019 წელს ექსპლოატაციაში შევა.

ამგვარად, „თანარი“ დაგეგმილი 16 მილიარდი კუბმეტრის ნაცვლად ევროპას 20 მილიარდ კუბმეტრ გაზს მიაწვდის, რაც თავისთავად გაზრდის ამ პროექტისთვის აუცილებელი ინვესტიციების ოდენობას გაზრდის.

# რისთვის სჭირდება საქართველო ევროკავშირს

რისთვის სჭირდება საქართველო ევროკავშირს, ან იგივე „ნატოს“, ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს ებადება ეს კითხვა, „ნატოს“ პოზიცია გასაგებია, მას მხოლოდ ტერიტორია სჭირდება, რათა განათავსოს თავისი შეიარაღება. ამ მოტივით გააწევრიანეს „ნატოში“ თითქმის 50 წლის წინათ იმ დროს ჯერ კიდევ ღარიბი თურქეთი. თუმცა ჩვენს სამხრეთელ მეზობელს დღემდე უარს ეუბნებიან ევროკავშირში გაწევრიანებაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ათი წელია ევროკავშირში არიან. აქვე სათქმელია, რომ ბულგარეთმა ევროკავშირში გაწევრიანებით ეკონომიურად საკმაოდ იზარალა. ერთ დროს ქათმის და კვერცხის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი ქვეყანა გაღარიბებულია, რადგან სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების დაჟინებული მოთხოვნით, ევროკავშირში შესვლის სანაცვლოდ მოშალეს ქათმის და კვერცხის წარმოება. ახლახან ამავე ქვეყანას უარი ათქმევინეს „სამხრეთ ნაკადად“ წოდებული გაზსადენის პროექტში მონაწილეობაზე. ბულგარეთმა დაკარგა როგორც „მუქთა“ მილიარდები, ასევე იაფი გაზი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ღარიბი ქვეყნებისთვის.

ახლა ბევრს საუბრობენ რუსეთსა და აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერეის შესახებ. თავისთავად, ფაქტი შემაშფოთებელია, მაგრამ, მოდით, გულახდილად ვთქვათ, ჩვენ, ქართულმა მხარემ თუ ვილონეთ რამე აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენაზე, დარეგულირებისთვის. სამწუხაროდ, არა. უნდა ვაღიაროთ, შეცდომები ჯერ კიდევ 1988 წლიდან დავუშვით. დიალოგის ნაცვლად, თუ ერთობლივად როგორ მოგვეწყო ქვეყანა, როგორ გვეცხოვრა ერთ ქვეყანაში, ულტიმატუმის ენით ვესაუბრებოდით, რაც შემდეგ ძმათა ომში გადაიზარდა. „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას ხომ საერთოდ წახდა საქმე. შეურაცხადი პრეზიდენტი ომით ემუქრებოდა არა მარტო აფხაზებს და ცხინვალის მოსახლეობას, არამედ რუსეთსაც კი, რაც განხორციელდა და შედეგად დავკარგეთ კოდორის და ქსნის ხეობებიც.

არავინ უარყოფს, რომ ყველა ქვეყანას მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მაგრამ საკუთარი ეროვნული ინტერესები არ უნდა დაივიწყოს და მათი გათვალისწინებით უნდა იმოქმედოს კიდეც. სამწუხაროდ, ჩვენთან არათუ რომელიმე კანონის მიღების დროს, საშუალო დონის ჩინოვნიკის დანიშვნის დროსაც კი აქეთ-იქით ვიყურებით, ემანდ, რომელიმე ორგანიზაცია არ გავანაწყენოთო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ დღემდე არ გვაქვს ქვეყნის განვითარების ეროვნული კონცეფცია, სამოქმედო გეგმა. უკვე დროა, თუ დაგვიანებული არა, ვიმოქმედოთ და ვიცხოვროთ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

უცხოელ გადამთიელებზე რა უნდა ვთქვათ, როდესაც ქვეყნის შიგნითაც გვყავს ხალხი, რომლებიც ცდილობენ ჩვენი ყურადღების მეორეხარისხოვან საკითხებზე გადატანას. „ნაცმოძრაობის“ წევრები პარლამენტში თუ მის გარეთ ისე გათავხედდნენ, თავიანთ დანაშაულებს „ქართულ ოცნებას“ მიაწერენ. „ქართული ოცნება“ კი ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკური შეფასება მისცეს და გასამართლდეს „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი, თავს იმართლებს. „ნაცმოძრაობას“, სამწუხაროდ, ზურგს მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები უმაგრებენ, რომლებიც კვლავ „ნაცების“ ხაზინიდან ფინანსდებიან. მათ არც ზოგიერთი ჩვენი ტელე თუ ბეჭდვითი „კოლეგა-ჟურნალისტები“ ჩამორჩებიან, მათაც კარგი მადა აქვთ.



გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა გამართა უკვე ტრადიციად ქცეული ყოველწლიური პრესკონფერენცია, სადაც ღიად გამოთქვა მზადყოფნა შეხვდეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. საქართველოში კი მიდის ბჭობა, უნდა დაველაპარაკოთ თუ არა რუსეთს, აზრი ორად არის გაყოფილი. მათ შორის, პარლამენტშიც, რომ აღარაფერი ვთქვათ არასაპარლამენტო ოპოზიციაზე, ერთადერთი იარაღი, რომელიც საქართველოს დიპლომატიაა, მისთვის მაღალი დონის პროფესიონალებია საჭირო. სამწუხაროდ, დღევანდელ საგარეო საქმეთა სამინისტროში ვერ ვხედავთ (ან არ ჩანან) დიპლომატებს, რომლებიც შეასრულებენ ამ მძიმე მისიას. რაც შეეხება მთავრობის მეთაურს და პრეზიდენტს, ისინი კაბინეტში შესვლისთანავე მზად უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის ხელმძღვანელებთან შესახვედრად. თუ ასე არ არის, დავიღუპებით. დიალოგი, თუნდაც მოსისხლე მტერთან, აუცილებელი რომ არის, ჩვენი, საქართველოს ისტორიაც მოწმობს.

რუსეთ-თურქეთის კავშირმა კიდევ უფრო დაამძიმა საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა. თუნდაც ყბადაღებული გიგანტური ჰესები, რომელთაა ნაწილი თურქეთის მხარეს უნდა აეშენებინა. შეიძლება მათ აღარც დასჭირდეთ, ფუნქციას კარგავენ. თუ მაინცდამაინც ააშენებენ, მხოლოდ თავად ისარგებლებენ ჩვენი ბუნების ხარჯზე. პოლიტიკური თვალსაზრისით კი, თუ საქართველოს ხელისუფლებამ არ გამოიჩინა უმაღლესი დონის დიპლომატია, შეიძლება ქვეყანა თვალსა და ხელს შუა შემოგვადნეს. ბოლოს და ბოლოს, მგელი შეგვჭამს თუ მისი მსგავსი ძაღლი, რა მნიშვნელობა ექნება, როდესაც ჩვენგან მხოლოდ ძვლები დარჩება?!

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

# პრორუსების თქვენ ხართ, პროევროპელების და პროამერიკელების. მე ვარ პროქართველი და უანგაროდ მტკივა გული ჩემს ქვეყანაზე

17 gv.

ლობლების მცდელობების მიუხედავად და მინდა მივმართო ე. წ. ევროპულ – ლიბერალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს: მე და ჩემნაირები კი არ ვართ ევრო-ატლანტიკური კურსის მოწინააღმდეგეები, სინამდვილეში თქვენ აკეთებთ რუსულ საქმეს, რუსეთის წისქვილზე ასხამთ წყალს და თქვენ ხართ პრორუსები საქართველოში!

**– რამდენიმე ხნის წინ ჩვენთან დაიბეჭდა რუსეთის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის ალექსანდრ დუგინის მოსაზრება. ის ამბობს, რომ „იმპერიალისტი“ ქართველებისგან სამეგრელო, აჭარა, სამცხე-ჯავახეთია კიდევ გასათავისუფლებელი და აფხაზეთით და ცხინვალის რეგიონით ყველაფერი არ დამთავრებულა. ის დასძენდა: მხოლოდ რუსეთს არ სურს ეს, სხვა ქვეყნებსაც აქვთ პრეტენზიებიო.**

– დიახ. მახსოვს ეს მოსაზრება. რუსეთს დიდი გავლენა და ბერკეტები აქვს და ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერც ევროპა გვიშველის და ვერც აშშ-ი.

ცხადია, რუსეთი იმპერიაა და მე მწარედ მეღიმება, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი რომ ღაღადებს: დაიშლება რუსეთი და გვეშველებაო. ეს მაშინ, როცა რუსეთი თანდათან იფართოებს საზღვრებს.

თუ რუსეთს სომხეთისკენ რკინიგზის მშენებლობის საშუალებას არ მისცემ, არც აზერბაიჯანისკენ მისცემ სარკინიგზო მიმოსვლის საშუალებას, ამით გაანაწყენებ მეზობლებს და მაინც ვერ შეაჩერებ რუსეთის სვლას – თრიალეთიდან გაჭრის გზას და პირდაპირ გაიყვანს რკინიგზას სომხეთისკენ, კვანძი შეიქმნება და აზერბაიჯანთანაც დაკავშირდება, ევროპა კი შეჭამს ბლომანჟეს პარიზში.

ვინც რაც უნდა, ის მიწოდოს, პირდაპირ ვიტყვი, რუსეთი ამ ეტაპზე თუ კავკასიიდან გავა, კავკასიაში სისხლისმღვრელი ომები დაიწყება დაღესტანს, ოსებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ყაბარდოელებს შორის.

ევროპა გვმართავს, როგორც მარიონეტს, ხოლო საქართველოში ხორციელდება რუსული ინტერესები – რუსული ბიზნესებით სავსეა საქართველო, ბანკები რუსეთის ხელშია, სტრატეგიულ ობიექტებს ფლობს, დასავლეთიდან შემოდის თურქეთი, ჩვენსკენ იწევს ირანი, აზერბაიჯანს თავისი ინტერესები აქვს და შესაძლებლობის შემთხვევაში, განახორციელებს, „ჩასაფრებულია“ სომხეთიც, ჩემს ულამაზეს სამეგრელოს დიდი საშიშროება ემუქრება და ხელისუფლება გადართულია თავდაცვის რეჟიმში.



**– არ გვინდა რუსეთთან დიპლომატიური კავშირებიო, პოლიტიკოსები აცხადებენ.**

– დიპლომატიური ურთიერთობები არ გვინდა და ჩვენი ბორჯომი, ნაბეღლავი და ღვინო გვინდა რომ შევიტანოთ? რა ბავშვობაა, ახლა, ეს?!

კი, ის მტერია, მოახდინა ტერიტორიების ანექსირება, მაგრამ ერთხელ თუ დაგვისვამს ის საკითხი, რომ ხელისუფლება, რომელმაც ავანტიურისტული ომი წამოიწყო მძლავრ მეზობელ სახელმწიფოსთან, უნდა დაისაჯოს?! ამას არ იწონებს ევროპა. რატომ? იმიტომ, რომ მსოფლიომ დაინახოს: საქართველო რუსეთთან შეუდრეკელად მებრძოლი ქვეყანაა.

ამ რეჟიმში ჩვენ ვერ მოვაგვარებთ კონფლიქტებს ვერც აფხაზებთან და ვერც ოსებთან.

რაღაცებში მეც ვაკრიტიკებ „ოცნებას“. შეუმცდარი არავინ არაა, მაგრამ, ვიცი, ესენი არ გაიმეორებენ იმას, რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა, მაგრამ პრინციპული მმართველები რომ არ არიან, ეს ცხადია. ხელისუფლებამ საკადრო პოლიტიკას უნდა გადახედოს.

**ირანდა კალანდაძე**
**593 561 118**

# საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი



## კარდიოლოგიის ლეგენდა

„გულის მიმართ საოცარი დამოკიდებულება მაქვს...
ამაზე უფრო ლამაზი რამ არ წარმომიდგენია.
გული საოცრად ლამაზია,
ჰარმონიული და სინქრონიზებული...
ბუნებას მისი მსგავსი არაფერი შეუქმნია“.

ლეო ბოკერია

22 დეკემბერს ჩვენს თანამემამულეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ ქირურგს, რუსეთის მთავარ კარდიოქირურგ ლეო ბოკერიას 75 წელი შეუსრულდა. უკვე 20 წელია, ბატონი ლეო ხელმძღვანელობს საყოველთაოდ ცნობილ ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრს, სადაც 1968 წელს, ასპირანტურის დამთავრებისთანავე მივიდა. ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როცა კარდიოქირურგიაში ახალი მიმართულების კვლევა დაიწყო, რომელსაც სამედიცინო ტერმინოლოგიით „ჰიპერბარიული ოქსიგენაცია“ ჰქვია, მარტივად კი გულის მანკით დაავადებულთათვის ოპერაციის დროს შეღავათიანი პირობების შექმნას გულისხმობს. ექსპერიმენტების ჩატარება ასპირანტურაში სწავლის პერიოდში გააგრძელა. 27 წლისამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომლის ოპონენტი ვლადიმერ ბურაკოვსკი იყო. ბატონი ლეო ამბობს, რომ აღმერთებს ბურაკოვსკის და რაც უფრო მეტი დრო გადის მისი გარდაცვალებიდან, მით უფრო ხშირად იხსენებს თავის მასწავლებელსა და პროფესიულ გზაზე ხელის შემშველებელს.

ლეო ბოკერია მოსკოვში ცხოვრობს, რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ ამბობს, რომ იმავდროულად არის ქართველი. რუსეთი, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მისი სამშობლოა. საქართველო?

**„საქართველო ჩემთვის სიწმინდეა, რადგან აქ ჩავისუნთქე პირველად ჰაერი, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, აქ ვსწავლობდი სკოლაში, ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა. აქ ვგრძნობ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას. ჩემთვის საქართველო აბსოლუტურად წმინდა ადგილია“.**

ერთხელ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში ლეო ბოკერიას გამოსვლის შემდეგ, ცნობილმა მეცნიერმა, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვალერი ტიშკოვმა აღნიშნა: „ლეო ბოკერია 100-პროცენტიანი რუსეთის მოქალაქეა და, იმავდროულად, 100-პროცენტიანი ქართველიც“.

* * *

ლეო ბოკერიას წინაპრები ფოთელები არიან, მშობლებიც ამ ქალაქში ცხოვრობდნენ. როცა მის უფროს დას მალარია დაემართა, ექიმების რჩევით აფხაზეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. ლეო ბოკერია აქ დაიბადა 1939 წლის 22 დეკემბერს. სამი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. მარტოდ დარჩენილმა დედამ შვილებთან ერთად ფოთში დაბრუნება და იქ ცხოვრება არჩია. ლეო ბოკერიამ ამ ქალაქში გაატარა ბავშვობა-ჭაბუკობა. ზედმიწევნით ახსოვს მისი ყველა კუთხე-კუნჭული და დღესაც ყველაზე მეტად აქაურ ძმაკაცებთან ყოფნა და ბავშვობის ქუჩებში სიარული ენატრება. მისი საპატიო წოდებების ნუსხა გრძელზე გრძელია, ბატონი ლეო კი ამბობს, მათგან ყველაზე ძვირფასი ფოთის საპატიო მოქალაქეობააო.

მამა ოჩამჩირეში დაკრძალეს. დედა ფოთში გარდაიცვალა და ბატონმა ლეომ მამის გვერდით დაასაფლავა. უკვე მოსკოვში მუშაობდა, როცა აფხაზეთში, ზღვის პირას სახლი აიშენა. ხშირად ვერა, მაგრამ მაინც ახერხებდა, სამუშაო კვირის ბოლოს საქართველოში, აფხაზეთში ჩამოფრენას, ორი დღის აქ გატარებას და ორშაბათს მოსკოვში დაბრუნებას. აფხაზეთსა და საქართველოს შორის ბოლო ათწლეულებში მომხდარი მოვლენების გამო, ოჩამჩირეში ჩასვლას, მშობლების საფლავზე მისვლას ველარ ახერხებდა, ამიტომაც იძულებული გახდა და მათი ნეშტი მოსკოვში გადაასვენა. ასე გამოეთხოვა აფხაზეთს და ამჯერად სახლი უკვე ფოთში აიშენა...

* * *

ბაკულევის ცენტრში თავისი იდეებითა და ექსპერიმენტების წინასწარი შედეგებით მივიდა, სამეცნიერო კვლევა განაგრძო. არსებობს უნიკალური კადრები – 1972 წელს ოპერაციას თავისივე ესკიზებითა და მეგობრების დახმარებით შექმნილ ბაროკამერაში აკეთებს.

**„ეს არ იყო მხოლოდ ოპერაციები, დიდ თეორიულ მუშაობას ვეწეოდით, რადგან მანამდე ბევრი რამ უცნობი იყო. მსოფლიოში პირველებმა დავიწყეთ სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გამოყენება ბაროსაოპერაციოში“, – ამბობს ლეო ბოკერია.**

სხვისი ცხოვრების გადასარჩენად საკუთარს უქმნიდა საფრთხეს: ბაროკამერაში ოპერაციების გაკეთება სახიფათოა ჯანმრთელობისთვის, რადგან მასში მაღალი ატმოსფერული წნევაა, ისეთი, როგორიც წყალში 25-მეტრზე ჩაყვინთვისას. ყოველი ოპერაციის შემდეგ სპეციალური რეკომპენსაცია სჭირდებოდათ, რომ გადაერჩინათ თავი კესონის ვერაგი დაავადებისგან (სისხლში მოხვედრილი აირი აზიანებს სისხლძარღვების კედლებს, აფერხებს სისხლის მოძრაობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხეულის პარალიზება და სიკვდილიც კი). მიუხედავად ასეთი რისკისა, ლეო ბოკერიამ



250 ასეთი ოპერაცია გააკეთა და საბედნიეროდ მისი საოპერაციო ბრიგადის არც ერთი წევრი არ დაშავებულა. ამ სამეცნიერო და კლინიკური კვლევებისთვის ლეო ბოკერიამ ვლადიმირ ბურაკოვსკისთან ერთად იმ დროს არსებული ყველაზე დიდი ჯილდო – ლენინური პრემია მიიღო.

**„ახლა ნობელის პრემიასაც კი არ აღნიშნავენ ისე, როგორც ლენინურს. ალბათ, თავბრუ დამეხვა. ბურაკოვსკი კი მეუბნება, დაივიწყეო, მე კი აღშფოთებული ვარ – ეს ხომ ლენინური პრემიაა...“**

ვლადიმირ ბურაკოვსკიმ ლენინური პრემიით მოგვრილი სიამაყე თუ აღტკინება თავის მოწაფეს „გაუნეიტრალა“, ახალი ექსპერიმენტებისა და კვლევებისთვის მედიკოსისა და მეცნიერის სარბიელზე დააბრუნა, თუმცა რამდენიმე წელიწადში საიუბილეო – 40 წლის აღნიშვნა „დაავალა“:

**„1979 წელს 40 წლისა ვხდები. ჩემმა მასწავლებელმა, სახელგანთქმულმა ქირურგმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ მითხრა, შენი დაბადების დღე უნდა აღვნიშნოთო. ასეთი თარიღის აღნიშვნა არ შეიძლება-მეთქი, უკან დავიხიე. ჩემს ცრუმორწმუნეობაზე გაეცინა: შენთვის შეიძლება, მე გაძლევ ამის უფლებასო. დავურეკე ჩემს ნათესავს, ქარხნის სასადილოს დირექტორს. ოცდაათამდე კაცი შევიკრიბეთ, კარგად მოვილხინეთ. ბურაკოვსკი მეუბნება, ახალი წლის წინა დღეებია, მოდი, გაისადაც აღვნიშნოთო... იმ დროიდან მოყოლებული, ყოველ წელიწადს ასეა: კვირის რომელი დღეც არ უნდა იყოს 22 დეკემბერი, შაბათისა და კვირის ჩათვლით, დაბადების დღეს მეგობრებთან, თანამშრომლებთან ერთად აღვნიშნავ. ასე იქნება ამჯერადაც – დილით ორ ოპერაციას გავაკეთებ, 3 საათზე სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოხსენებით გამოვალ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მილოცვები, საღამოს კი – მეგობრები და ნათესავები ვახშამზე შევიკრიბებით. სამშაბათს ისევ მუშაობას შევუდგები“.**



* * *

ლეო ბოკერიამ „ვარსკვლავური დაავადების“ რეცეპტიც იპოვა: კარდიოქირურგიაში ყველაზე რთულ პრობლემებს შეეჭიდა და მათი მოგვარების ბრწყინვალე გადაწყვეტილებებს მიაგნო. მისი მეცნიერული მიგნებებისა და კლინიკური მიღწევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მთავარი ის არის, რომ ათასობით ადამიანი გადაარჩინა (კარგა ხანია აღარც ითვლის), ასობით უნიკალური ოპერაცია გააკეთა, რომელთა გამეორება ჯერჯერობით ვერავინ შეძლო. დღესაც, ყველაზე რთულ ოპერაციებს თვითონ აკეთებს და ყოველდღიურად საოპერაციოში რამდენიმე საათს ატარებს. იმ პაციენტთა რაოდენობა, რომლებსაც თავისი ცხოვრების

განმავლობაში ოპერაცია გაუკეთა, პატარა ქალაქის მოსახლეობის ტოლია. სიყვარულით ასეც უწოდებს – **„პატარა ქალაქი, რომელშიც დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობენ“.**

მიუხედავად შთამბეჭდავი ციფრებისა, ბატონი ლეო წუხს, რომ კიდევ უფრო მეტის გადარჩენა შეიძლებოდა, ოპერაციები რომ გაეკეთებინათ. ახლა გულის ყველა დაავადების განკურნებაა შესაძლებელი, თუკი მათი დროულად გამოვლენა მოხერხდება, განკურნება კი შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში. მისი ყველაზე პატარა პაციენტი იყო 2 საათის დაბადებული ჩვილი, ყველაზე უფროსი კი – 93 წლის.

* * *

ლეო ბოკერია უნიკალური ექიმია, რომელმაც იცის და შეუძლია იმდენი, რომ გლობალური სამეცნიერო დასკვნები გამოაქვს და ფილოსოფიურადაც კი ანზოგადებს:

**„გული ხომ ნამდვილი მუდმივი ძრავაა. სწორედ ასე უწოდებენ იმის იმედით, რომ ადამიანები ას წლამდე იცოცხლებენ. ბუნებაში არ არსებობს სხვა მუდმივი ძრავა, გარდა გულისა. ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ცნება „მუდმივ ძრავასა“ და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ბალანსი არსებობდეს. თუმცა კაცობრიობა სწორედ ამ გზით მიემართება და ამ მიზანსაც მიაღწევს. ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში არ ხდება, მაგრამ... ჯერჯერობით არ ხდება.**

**მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში 80 წელი ჯერ კიდევ არ არის სიბერე და სიცოცხლის დასასრული. მახსოვს, დაახლოებით 30 წლის წინ პირველად ჩავედი შვედეთში. ქირურგი გულის ოპერაციას უკეთებდა 90 წლის პაციენტს. მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ვეკითხები: „რა საჭიროა ამ ასაკში ოპერაცია?“ ექიმი გაკვირვებული მპასუხობს: „სულ ცოტა, 5 წელი მაინც ხომ იცოცხლებს?“ მაშინ მეგონა, რომ ასე მხოლოდ შვედეთში ფიქრობდნენ. აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებშიც ასეა. რისთვის ვითარდება მედიცინა? იმისთვის, რომ ხალხმა დიდხანს და ხარისხიანად იცხოვროს“.**

გული პირველი „ეგებება“ ცხოვრებისეულ სიხარულსაც და მწუხარებასაც. ამიტომაც ყველაზე ხშირად გული გვტკივა და მსოფლიოში სიკვდილიანობის მთავარი მიზეზიც გულია. ეს არის არტერიული ჰიპერტონია, იშემიური დაავადება, მათ შორის, მიოკარდის ინფარქტი და ინსულტი. თუკი გავაკონტროლებთ რისკის ძირითად ფაქტორებს (თამბაქოს წევა, არასწორი კვება და ცხოვრების ინერტული წესი), ნაადრევი სიკვდილიანობის 80 პროცენტს თავიდან ავიცილებთ.

* * *

**ლეო ბოკერიას რჩევები:**

**„არ შეიძლება საკვებით „გატაცება“. არ შეიძლება ყველაფრის ჭამა, რაც ხელთ მოგვხვდება. გემრიელად მიირთვით ხანდახან, დანარჩენ დღეებში კი მხოლოდ ის, რაც დიდად არ გსიამოვნებთ, ანუ გემრიელი არ არის. სასურველია, ყოველდღე ჩვეული მენიუთი იკვებოთ, განსაკუთრებით დილით. ჩემი საუზმე შინ მომზადებული ხაჭო და ჰერკულესის ფაფაა. შუადღისას იოგურტს გეახლებით, საღამოს – სრულფასოვან ვახშამს. უკვე წლებია, ამერიკელ ასტრონავტთა დიეტას ვიცავ – შაქარზე, მარილსა და პურზე უარი ვთქვი.**

**დილაადრიან, ახალგაღვიძებულზე სირბილი გაუმართლებელი მგონია. ორგანიზმი ბოლომდე გამოფხიზლებული არ არის და ასეთი დატვირთვა სტრესის ტოლფასია. დილით ვარჯიშები ნაკლებინტენსიური უნდა იყოს. სპორტული თამაშები – კი ბატონო. ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი – ასაკობრივი შესაძლებლობების შესაბამისად.**

**ძალიან მომწონს სტატიკური ტანვარჯიში – შეეცადეთ და რამდენიმე წუთის განმავლობაში დადექით ერთ ფეხზე ან ხელი ასწიეთ. დატვირთვაც დიდია და შედეგი – როგორიც სირბილის შემდეგ. ოპერაციები რამდენიმე საათს გრძელდება და ხანდახან ასეთ ილეთებს ვიყენებ ხოლმე.**

**ერთსა და იმავე დროს ვდგები – 6 საათსა და 40 წუთზე და ერთსა და იმავე დროს ვიძინებ – დაახლოებით 12 საათზე. 25-30 წლის შემდეგ 7 საათი ძილი საკმარისია. ეს მინიმუმია. არავითარ შემთხვევაში – ამაზე ნაკლები და არავითარ შემთხვევაში – დასაძინებელი აბები.**

**ჩემი რეცეპტი ყველას არ გამოადგება – თითოეულმა ადამიანმა თვითონ უნდა მოძებნოს სათავისო ქცევის წესები, მაგრამ ყველა უნდა ეცადოს, ისე იცხოვროს, რომ მადლობას სწირავდეს ღმერთს, მადლიერებას გამოხატავდეს მშობლების, ახლობლების მიმართ, რომ ჩავლილმა დღემ სიმშვიდე დაგვიტოვოს და ხვალინდელი დღის იმედი გაგვიჩინოს“.**



* * *

ლეო ბოკერია გამუდმებით აქტიურია: დილის 8-ის ნახევარზე უკვე სამსახურშია. მისაღებში უკვე ელოდებიან კონსულტაციისთვის – საამისოდ 15 წუთით ყოვნდება, ცენტრის ეკონომისტის მოხსენებასაც ისმენს, საჭრო საბუთებს ხელს აწერს და საოპერაციოსკენ მიეჩქარება. ერთი საოპერაციოდან გამოსული მეორეში ინაცვლებს და ა. შ. დღეში 3-4 ოპერაცია ჩვეულებრივი რამ არის, ყოფილა გამონაკლისი დღეები, როცა 6-7 ოპერაცია გაუკეთებია. კვირის ხუთი დღე საოპერაციოა.





ლეო ბოკერია გენიალური ექიმია. ერთადერთია, რომელსაც გულზე ყველანაირი ოპერაცია ჩაუტარებია. მათგან ისეთებიც არის, რომელთა გაკეთებაც მხოლოდ მას შეუძლია. ხშირად ისეთ პაციენტებს მკურნალობს, რომლებზეც სხვა ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს. ...სიცოცხლის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებს. ბევრი მიმართულების გზის გამკვალავი და ნოვატორია, უპირობო ავტორიტეტია თავისი მოწაფეებისთვის.

**„გულის ქირურგიაში ლაზერის გამოყენება, უჯრედოვანი ტექნოლოგიები, ხელოვნური გულის ტრანსპლანტაცია... ყველა ასპექტს თვითონ უღრმავდება, პრობლემებს ეცნობა – გამუდმებით კითხულობს, დღე და ღამე მუშაობს, რომ რასაც აკეთებს, მსოფლიო დონეზე იყოს“,** – ამბობს ლეო ბოკერიას მოწაფე, რუსეთის მეცნიერებათააკადემიის აკადემიკოსი ამირან რევიშვილი.

* * *

ბაკულევის ცენტრში ბევრი ქართველი მუშაობს. არაკეთილმოსურნეები ამბობენ, რომ ლეო ბოკერია მათს დამკვიდრებას უწყობს ხელს და განსაკუთრებულადაც ექცევა.

**„ქართველები ჩვენთან იმ დროიდან მუშაობენ, როცა ცენტრს ვლადიმერ ბურაკოვსკი ხელმძღვანელობდა. ერთხელ აქ საოპერაციოდ ჩამოვიდა ჩემი კლასელი და თავის მშობლიურ კუთხეში ველარ დაბრუნდა, რადგან ამასობაში აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს ჩემი თანაკლასელი ლტოლვილად იქცა. ჩვენთან ცენტრში საწყობის გამგედ დაიწყო მუშაობა. სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი და ამის გამო ვინმემ როგორ უნდა მისაყვედუროს?**

**ჩვენთან ასპირანტურაში სამასი კაცი სწავლობს. მათი ხუთი პროცენტი საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდა მედიკოსები არიან. თუ ადამიანი ნიჭიერია და დახმარება შეგიძლია, მხარში უნდა ამოუდგე, რომ მისთვის უცხო გარემოში გზის გაკვალვა შეძლოს. ვისაც უნდა, ყველას ვიწვევ ჩვენს ცენტრში – თუ ივარგებს, თანამშრომლადაც ავიყვან. გარდა ქართველებისა, არიან უკრაინელი, ყაზახი, ყირგიზი და სხვა რესპუბლიკების ახალგაზრდები. ამიტომაც ვამბობ ხოლმე ხშირად, რომ ჩვენთან პატარა საბჭოთა კავშირია. დაიცავენ დისერტაციებს და დაუბრუნდებიან მშობლიურ კუთხეებს“.**

* * *

ვლადიმერ ბურაკოვსკი მასწავლებელი იყო კარდიოქირურგიაში და ცხოვრებაშიც. ხშირად ეუბნებოდა, რომ მთავარია, სახლში გქონდეს აწყობილი საქმეებიო და ლეო ბოკერია ამ პრინციპით ცხოვრობს. ასეთი თავბრუდამხვევი წარატებული კარიერის მიუხედავად, შეკითხვაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია, კარიერა თუ ოჯახი, უყოყმანოდ პასუხობს:

**„მთავარია ოჯახი. ორი ქალიშვილი მყავს და შვიდი შვილიშვილი. ქალიშვილები ექიმები, მეცნიერებათაადოქტორები არიან. მე სადოქტორო დისერტაცია რომ დავიცავი, 33 წლის ვიყავი, ჩემი ქალიშვილი კი 29-ისა იყო.**

**ჩემი მეუღლეც ექიმია. რუსია და შინ რუსულად ვლაპარაკობთ. ამიტომაც ჩემმა ქალიშვილებმა ქართული არ იციან“.**

ბატონ ლეოს სახლში ოსტატობაც ეხერხება, მაგრამ არაფერს აკეთებინებენ, რადგან ქირურგის ხელებს უფრთხილდებიან...

* * *

ამ ხელებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა...

მისი ახლანდელი პაციენტი 15 წლის ალექსანდრაა. მას საშინელი დიაგნოზი დაუსვესი – ებშტაინის ანომალია, იშვიათი თანდაყოლილი გულის მანკი. დაზიანეულ გულში ლეო ბოკერიამ უნიკალური პარკუჭი ჩასვა, რომელიც თვითონ გამოიგონა. პაციენტი მალე საავადმყოფოდან გაეწერება და ნორმალურ ცხოვრებას დაიწყება – თავისუფლად ისუნთქებს, შიში გარეშე. ათი წლის შემდეგ ეს დეტალი გამოსაცვლელი იქნება. მეცხრეკლასელმა გოგონამ არ იცის, როგორ გადაუხადოს მადლობა ქირურგს.

„იმედი მაქვს, რომ 10 წლის შემდეგ ოპერაციას ისევ თქვენ გამიკეთებთ!“ – ეუბნება ექიმს.

ამის იმედი აქვს ბატონ ლეო ბოკერიასაც. ამბობს, ასაკს ვერ ვგრძნობო:

**„ქირურგების დღეგრძელობის ბევრი მაგალითი არსებობს. ბორის კოროლიოვმა 100 წელი იცოცხლა. ფიოდორ უგლოვმა – 104 და ორივე ბოლო დღეებამდე საოპერაციოში მუშაობდა. მსოფლიოში სახელგანთქმული მაიკლ დებეიკი 100 წლის შესრულებამდე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა და სიცოცხლის ბოლომდე თავის „პორშეთი“ დადიოდა. როცა იცი, რომ ყოველდღიურად მართლაც სჭირდები საქმეს და ხალხს, ეს განცდა სიცოცხლეს გიხანგრძლივებს“.**

ერთადერთხელ თვითონაც შეიმოწმა გული და ისიც შემთხვევით – **„გამიხარდა და ამით ვტრაბახობ კიდეც – ჩემი გული ჩემი მუშტივითაა, ანუ გადიდებული არ არის“,** – ამბობს ლეო ბოკერია.

მუდმივი ძრავა ჯანმრთელია, გადიდებული არ არის... მიუხედავად ამისა, ლეო ბოკერიას წარმოუდგენლად დიდი გული აქვს.

# „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან ამოიღეს, სააკაშვილს კი „იუნესკოს“ მშვიდობის ელჩად უპირებენ დანიშვნას!

## საქართველოს რიგითი მოქალაქეების თავისუფალი რეაქცია Facebook-ზე

ევროპარლამენტში ასოცირების რატიფიცირება ძალიან, ძალიან უხაროდათ ე.წ პოლიტიკოსებს, მაგრამ რას ფიქრობს ხალხი ზოგადად ამ დღეზე?

უპირველესი რეაქცია რატიფიცირებაზე მიხეილ სააკაშვილის დასწრებას მოჰყვა, ხოლო შემდგომ მიჰყვა და მიჰყვა:

„სააკაშვილი დღესდღეისობით არის ადამიანი, რომელსაც წარდგენილი აქვს არცთუ მსუბუქი ბრალდებები და საქართველოს პროკურატურა დაკითხვაზე იბარებს. „ოცნება“! თქვენ ალაოდ ხომ არ ხართ, იქ რომ წამოიჭიმა კაი ტიპივით, რას ჩაგიგდიათ ენა მუცელში?“

„რას ჩაუგდიათ და საკუთარ სკამებზე და მუცლებზე ფიქრობენ, ეშინიათ, გაღმა-გამოღმიდან თითი არ დაუქნიონ. ეშმაკი უსუფაშვილი ვითომ ისე შეუძლოდაა, სამი საათით ვერ გადაფრინდ-გადმოფრინდებოდა;

„როგორც ჩანს, საქართველოს არ ეღირსება ერთი „საშინაო“ პრეზიდენტი, ისეთი, რომელიც საკუთარი სამშობლოს ინტერესების დამცველი პრეზიდენტი იქნება, „საგარეოები“ – იცოცხლე! რა გვეშველება?“

„დედიჩვენისა! ბატონო ჩემო...“

„უთავმოყვარეოა მარგველაშვილი, თორემ იმ ლოჟაში თუ ბალკონზე არ დაჯდებოდა, საერთოდ, იმ დახურულ სივრცეში არ გაჩერდებოდა, სადაც სააკაშვილი მის წინ იჯდებოდა და სამარცხვინო სააკაშვილის იქ ყოფნას დემონსტრატიულად აღნიშნავდნენ...“



„ვერაფრით ვერ ვხვდები, რა უნდა ვიზეიმო, სააკაშვილის ძმაკაცები ევროპარლამენტიდან როგორც უნდათ ისე რომ გვაყენებენ შეურაცხყოფას? რატიფიცირებულო ქვეყანავ, ნუ ვიქნებით „ყოვლად მთმენი ვით ჯორ-ცხენი!“ თუმცა, ჩვენ ხომ ვერ ვერკვევით ევროპულ ღირებულებებში, ამიტომ უნდა დავიჯეროთ რომ რაღაც კარგი გვემართება და ვიზეიმოთ...“

„ამბობენ, სააკაშვილი იუნესკოს მშვიდობის ელჩების სიაში შეყავთო...“

„როგორ ყველგან ეტენება ეს ფსკერზე წამოგორებული, ესა!... რატომ არ და ვერ შეიყვანენ, საქართველოს ხელისუფლებას და მის ყველა რგოლს საღათას ძილი სჭირს... უთამოყვარეოები... „ოცნება“! თქვენ რომ არ გაქვთ თავმოყვარეობა, ვხედავთ, მაგრამ ჩვენ, ხალხს გვაქვს და მართლა ნუ ამოგვიყვანეთ ყელში!“



„მართალი თქვა პუტინმა, ჩვენი ბრალი არ არის, საქართველოს მთავრობა სააკაშვილს რომ ისე დაარბენინებს, როგორც ტილიანს აბანოშიო... „ოცნება“, გესმის? „ბანშიცა!“ ამ სატანას რომ მხარს უჭერენ, ის ევროკავშირი გინდათ, ზედა ეშელონები, ხოო? დაელაპარაკეთ პუტინს, სანამ დროა! ხომ არ გეუბნებით რუსეთის შემადგენლობაში შევიდეთო? დალაპარაკებაც არ გინდათ, გეშინიათ, მაკ-კეინმა არ გისაყვედუროთ...“

„მსოფლიო პოლიტიკური პროსტიტუცია მძვინვარებს... ყველაფერში პირველები როგორ უნდა ვიყოთ? პრეცედენტი არ არსებობს მსოფლიოში, რომ ყოფილი პრეზიდენტები, თანაც ძებნილები, ასე დასეირნობდნენ და ასეთი ტრიბუნებიდან გველაპარაკებოდნენ, თან საპატიო სტუმრის სტატუსით!“

„რუსეთუმეობას ნუ დამაბრალებთ ოღონდაცა რაა... გავარტყი იმ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რაოდენ მაღალი დონის სტრუქტურასაც არ უნდა წარმოადგენდეს, შენი ქვეყნის ძებნილს რომ მიიწვევს და ფეხზე დაიკიდებს შენი ქვეყნის კანონმდებლობას და ოდნავადაც არ „აღშფოთდება“... მაგრად მინდა შევიდეთ ევროკავშირში, მაგრამ სრულუფლებიან წევრად და არა მონად, რომელსაც, ვისაც მოუნდება ის იხმარს როცა მოუნდება, სადაც, როგორც და იმ ადგილას...“

„კაი, ისინი უნამუსოები არიან, იმდენი აქვთ ნაჭამი ასევე უნამუსო მიშას ხელიდან, სხვანაირად არ გამოდიოდა, მაგრამ ესენი? ისე უხაროდათ იქ ყოფნა ამ უნახავებს, დემარშის მომწყობები კი არა, რომ ეთქვათ, ახლა მიშას აკოცეთ ჩოილარზეო, აკოცებდნენ...“

„უმარტივესი კითხვა გამიჩნდა: რამდენად მიზანშეწონილი იყო ჩვენთვის იმ ორგანიზაციაში ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელი ორგანიზაციაც პატივისცემით ეპატიჟება ჩვენი ქვეყნის მიერ ძებნილად გამოცხადებულ პოტენციურ დამნაშავეს?“

„ის ორგანიზაციები, რომლებიც ასე აშკარად აფარებენ ხელს ისეთ დამნაშავეებს, რომელთა დანაშაული მძიმეა და მათზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, ნაცვლად სამართლიანობისა, ნათლავენ პოლიტიკურ დევნად, მიმაჩნია, რომ არანაირ სიკეთეს არ მოუტანენ ჩვენს ქვეყანას. და ასე იქცევიან მაშინ, როდესაც ხმას არ იღებენ იმ შემთხვევებში, როდესაც ილახება ჩვენი, მართლმადიდებლების უფლებები, ჩვენი ეროვნული ფასეულობები. ეს აშკარა მინიშნებაა იმისა, რომ ისინი მხოლოდ ჩვენს გადაგვარებას ცდილობენ. არავითარი კავშირები – ზღაპრის დონეზეა აყვანილი „დემოკრატია“, რაც ცარიელი ბლეფია...“

„საინტერესოა, მთავრობამ რა ძალისხმევა მოიხმარა რათა ეს, მისთვის შეურაცხმყოფელი დაპატიჟება თავიდან აეცილებინა? სხვა რომელ ქვეყანას გაუბედავდნენ ბრალდებული პოლიტიკური ფიგურის მიწვევას ასეთ საზეიმო სესიაზე თვით ქვეყნის თანხმობის გარეშე? თან პოლიტიკური ოპონენტი და თან მიწვეული საპატიო სტატუსით და გამოსვლით? ამ შემთხვევაში, მთავრობის მაგივრად, დემონსტრაციულად პრეზიდენტს სწორედ არ გავუშვებდი... რა უკუღმა იქცევიან და სადაც არ უნდა იქ უშვებენ?“

„დავაკვირდი – „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სიუჟეტს და მისი შინაარსი არაფრით გამოირჩევა „რუსთავი-2-ის“ სიუჟეტის შინაარსისგან („რუსთავი“ უფრო ნაკლებად აპიარებს სააკაშვილს და ნაკლებად აკრიტიკებს ხელისუფლებას), მაგრამ ყველაზე „გასაკვირი“ ისაა, რომ მოქმედ პრესიდენტს სიუჟეტში დაუთმეს 25 წმ, ხოლო ძებნილ სააკაშვილს 3-ჯერ მეტი დრო (შეგიძლიათ, თავად შეამოწმოთ) და ათასი სისულელე ალპარაკეს მთელი საქართველოს გასაგონად. სიმართლე გითხრათ, უკვე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს შემთხვევით ხდება და არ არის მიზანმიმართული ქმედება. არ არსებობს მსოფლიოში ტელეარხი, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანი ცერემონიის დროს მოქმედ ხელისუფლებას უთმობდეს 3-ჯერ ნაკლებ დროს ვიდრე ძებნილ ყოფილ პრესიდენტს. ნუთუ არ დადგა დრო რომ სააკაშვილის მასობრივი გაპიარება შეწყდეს თუნდაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში?“



„ისედაც ხომ არ უქნიხართ ღმერთს, მაგრამ როცა ევროკავშირი „აჩირიდნოი“ ბოლს მოგაფრქვევთ, მაშინ ხომ საერთოდ ამაზრზენები ხდებით... გულისამრევია თქვენი და „ნაცების“ ერთობლივი ჟრიამული! ფუუუ...“

„26 წელია აშშ-ის მონობაში ვართ და არაფერი კარგი მიგვიღია მათგან და ახლა ევროკავშირის მონობაშიც ვიქნებით და არც ამათგან მივიღებთ რამეს კარგს!“

„აი, როცა ჩამოვლენ ევროპაში და თავის თვალით ნახავენ რა ხდება სინამდვილეში, მერე დაიჯერებენ რას ნიშნავს მონობა... რუსები სანატრელი გაუხდებათ, მთელი ცხოვრება რომ აჩმორებდა ქართველი – აქ პირიქით იქნება. წყალს რომ არ მიაწვდიან შეწუხებულს, მერე მიხვდებიან ვისთან ექნებათ საქმე... ახლა კი – გიხაროდენ! რამდენიმე მილიონი მონა მიემატება „ცოცხალ მონათა ბაზარს“...

„რატიფიცირება კი არა, ქვეშაფსია ადამიანების ნაკრებია პარლამენტში, თორემ როგორც კი ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზში სააკაშვილი შევიდა, ჩვენ დელეგაციას სხდომათა დარბაზი უნდა დაეტოვებინა პროტესტის ნიშნად – ასე ძნელია კაცობა და ქალობა? მაგარი გამწარებული ვარ და აქ ვინმე ლიბერალებმა ჭკუის სწავლება არ დამიწყოთ!“




„ა, ბატონო! „კრიზის გამო საბერძნეთი კუნძულებს ყიდის!“ წაიკითხეთ, მე ხომ არ ვიგონებ? – ჩვენც აქეთკენ მივდივართ. რატომ ვერ უშველა ევროკავშირმა? თუ პირიქით, აქამდე მიიყვანა?“

ვ.თ: – აქეთ, პორტუგალიის ამბები იკითხეთ... მინამ ჩვენც მაგ დღეში არ ჩავვარდებით, აზრზე ვერ მოვალთ?

„გააკოტრეს და ახლა ძლიერი სუსტს ყლაპავს... ყველა ეს კავშირები თუ „საიუზები“ მაგისთვისაა მოგონილი...“

„მტრებშიც ყოფილა სხვაობა... ჭირს წაუღია რუსეთი, მაგრამ თუ მაინცდამაინც ვიღაცამ უნდა გვათრიოს, მირჩევნია იმან მათრიოს, ვინც ისტორიულად პატივს სცემს ჩემი სამშობლოს ღირებულებებს... ნუ დამიწყებთ ახლა „რუსეთუმეო“ – აზრი მაქვს და ვამბობ! ვისაც არ მოგეწონებით, წამშალეთ მეგობრებიდან!“

**გიორგი ჩხეიძე**



# გენო კალანდია

„საგალობლები უფლისთვის“, ჩემი აზრით, გენო კალანდიას სხვა შესანიშნავ წიგნებს შორის, ყველაზე წარმატებული და ყველაზე საუკეთესო წიგნია.

ამ წიგნში შესული ლექსები ვერც ახალგაზრდობის და ვერც შუახნის ასაკში ვერ დაიწერებოდა. ეს ლოცვასავით ჩუმი, ნათელი სევდით გაჟღენთილი ლექსები მხოლოდ იმ ასაკში უნდა დაწერილიყო, როცა ისინი დაიწერა — მიმწუხრის ჟამს...

დიდხანს სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ პოეტს.

**ვახტანგ ხარჩილავა**

* * *

უფალო, ოდეს ლოცულობს მრევლი,
ცა ხდება უფრო წყნარი და მშვიდი,
ტყისპირ, ღელეში ირწევა ლელი,
ქედიდან ქედზე გადადის ბინდი.

საყდრის ვარდივით შრიალებს გულთან, —
დილის, შუადღის, საღამოს ლოცვა,
დარია თბილი, მჭვირი და სუფთა
და მთვარე მიაქვს ჭალაში ორწყალს.

* * *

უფალო, მთელი წელია ვცდილობ,
როგორ გაგითბო ლოცვებით გული,
თვით ნათელქმნილო, ძეო და ძირო,
თავად ცხოვრება ყოფილა რთული.

წარსული, აწმყო — მომავლის თასი, —
სავსეა შენი ციური სხივით,
დიადი ფიქრით, ნათელით მავსებს
საკურთხეველი და წმინდა წიგნი.

* * *

უფალო, შაშვის გალობა მიყვარს,
მიყვარს პატარა ბუდე და ბანი,
შავი ვარდივით ბზინავს და ბრწყინავს
დილიდან მისი მცხუნვარე ტანი.

მარწყვით, ალუბლით აივსებს ჩიჩახვს,
ფრთებს გაშლის უცხო მარაოს დარად,
გახედავს შქერის და მაყვლის ბუჩქებს
და გაფრინდება ბჟოლების მხარეს.

* * *

უფალო, ისე ლამაზად ბარდნის,
ისე ქათქათებს ალუბლის ბაღი,
თითქო ვიღაცა კარიკარ დადის
თოვლის კალათით და თოვლის ჭალით.

ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს,
ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს,
თითქო დილიდან ვარდებში წვანან
დანიის პრინცი და ოფელია.

* * *

უფალო, წვიმა მოვიდა მთაში,
გააცისფერა ლებარდეს ქედი,
მეხის განაჩენს გაექცა არჩვი
და დაეკიდა ნეკერჩხალს რქებით.

ორბის ფრთებივით შრიალებს მინდვრად
ღვარად მოსული ზაფხულის წყალი...
და მე საყდარში ვდგავარ და ვწირავ
შენი დიადი სახელით მთვრალი.

* * *

უფალო, ქალი მესტუმრა ერთი
და ერთი ქილა მომართვა თაფლი,
ფარშევანგივით დამიდგა გვერდით
საყდარში, სადაც საკმევლის კვამლი
ცის უსასრულო სივრცეებს ერთვის
კიტსის, გრანელის ლექსების დარად...
ვზივარ და ვფიქრობ, რა გითხრა მეტი,
როგორც შემოქმედს და როგორც მამას.

* * *

უფალო, ჩემი ეკვდერის სარკმელს
ერთი ლამაზი ფრინველი ეტრფის,
ფეტვივით კენკავს ალუბლის კანკელს
ჰიმნის, გალობის პირველი მეტრი.

პორტალზე დგება, ვით ესმერალდა,
ვით ბალერინა გედების ტბაში,
ის არის ჩემი სენაკის სევდა
და ჩემი ბოლო კამარა ცაში.




* * *

უფალო, მცხეთას, ზედაზენს გავცდი,
ვარდით, იებით აგივსე უბე,
ვენახში იდგა ჭარმაგი კაცი
და გაჰყურებდა სამხრეთის ღრუბელს.

ზაფხულის წვიმას ნატრობდა, ალბათ,
ვით ყველა გლეხი — ამინდის მეკვლე,
გამოიხედა ეზოდან ქალმა,
ბატონიშვილი მეგონა თეკლე.

* * *

უფალო, მთვარე მოადგა საყდარს,
შემოანათა მთავარი კარით,
ასეთი შვება, ასეთი განცდა
ჯერ არ მქონია არც ერთი წამით.

გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა,
თითქო მაცხოვრის ღუღუნებს მტრედი,
ავდგები, გავშლი ადიშის ოთხთავს
და აღსარებას თავიდან გეტყვი.

* * *

უფალო, თოვლის ვარდისფერ პერანგს
მეც ჩავიცვამდი ბაღის ხის დარად,
მოწყენილი ვარ და როგორც დეგა,
თვალცრემლიანი დავყურებ ქალაქს.

თავიდან მერგო ასეთი ბედი,
მზე იდგა მინდვრად თუ ცაცხვის ჩერო...
შენგან, ო, შენგან ჭრილობის მეტი,
რა მიმიღია, მამულო ჩემო?!

* * *

უფალო, წუხელ, თიბათვის თორმეტს
გამომეცხადა უეცრად იგი,
ზეთისხილის და ალუბლის ტოტით,
ნათლისმფრქვეველი დიადი წიგნით.

შემხედა, მშვიდად შემახო ხელი
მხარზე და ასეც ველოდი თითქო,
და გადმოვიდა უეცრად ჩემში
მისი ღვთიური სხეულის სითბო.

* * *

უფალო, ვარდი მოუსხამს ჭინჭარს,
დილიდან ურცხვად უცვლია ფერი,
როგორც ნიშანზე გაწოლილ ისარს,
ღრუბელზე უდევს კიპარისს წვერი.

ბაღში კალია გადადის ყირას,
ცრემლში იხრჩობა მაისის ია,
სოფელში მამლის ფრთხიალს და ყივილს,
ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია.

* * *

უფალო, წმინდა გიორგის სახელს
კრავი შესწირეს წუხელის დებმა,
მზე იდგა გარეთ და ვაშლის ბაღებს
ფირუზისფერი დაჰკრავდა სევდა.

ცა იყო, როგორც ზაფხულის საგა,
ირგვლივ ვარდი და შროშანი ენთო,
ასე ბედქმნილი და ასე კარგი,
ჯერ არ ვყოფილვარ არასდროს, ღმერთო!

* * *

უფალო, გმადლობ, თმენისთვის გმადლობ,
დღემდე რომ ხვდები ნამდვილს და მართალს,
აქ გრანელია ძმასავით ახლოს,
იქ იაშვილი დამხვდება, ალბათ.

ბევრი გაექცა დროსა და სახელს,
ბევრი პარნასის ვარდისფერ ხანძარს,
დაიმახსოვრე ეგ ჩემი სახე
მალე მტრედივით მოგივალ ტაძრად.

* * *

უფალო, მშვიდად ვაპირებ სიკვდილს,
ყოველდღე ველი პირუთვნელ მსაჯულს,
აი, ეს ლექსი, აი, ეს წიგნიც,
მოდი, უფალო, პირდაპირ საჯე!

ჩემი გზა, ჩემი ფიქრი და ყოფა, —
არის მაშველის ნავი და აფრა,
მიიღე ჩემი ლექსების კონა,
ვით საკალანდო სურო და დაფნა.



„საერთო გაზეთის" ჟურნალისტს ქეთი ხომერიკს ვულოცავთ ქალიშვილის — ლიზა მამაგულაშვილის დაბადების დღეს. ვუსურვებთ პატარა ლიზას გაზრდილიყოს ჯანმრთელი და ბედნიერი.

„საერთო გაზეთის"
რედაქცია


# ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001




„საერთო გაზეთის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჟურნალისტ მანანა სუხიშვილს დედის

ჟუჟუნა სუხიშვილის

გარდაცვალების გამო.


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვალიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63


# `saer To gazeTis~ iuridiul i konsul tacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-როგორია სამოქალაქო სამართალში კანონთა უკუქცევის საკითხი?**

თქვენს შეკითხვას პირდაპირ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლი. კონკრეტულად:

მუხლი 6. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა

კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

* * *

**-შეიძლება თუ არა ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკის გამოყენების გამო?**

-დიახ, შეიძლება. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის 1- ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

* * *

**-დასაშვებია თუ არა სახელისა და გვარის შეცვლა კანონის მიხედვით?**

- დიახ, დასაშვებია.

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის შინაარსს:

მუხლი 17. სახელის უფლება

1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.

2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.

3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.

* * *

**-გარდაიცვალა პაპაჩემი. სამწუხაროდ, მამაჩემი მასზე ადრე გარდაიცვალა. მეკუთვნის თუ არა მე, როგორც შვილიშვილს, წილი სამკვიდროდან?**

-გეკუთვნით.

შვილიშვილმა შეიძლება მიიღოს მშობლის ნაცვლად სამკვიდრო, როცა მშობელი გარდაცვლილია. ასეთ დროს შვილიშვილი წარმომადგენლობის უფლებით / ის ამ შემთხვევაში მამის წარმომადგენელია/ კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მიიღებს გარდაცვლილი პაპის ან ბებიის სამკვიდროს, ანუ მამკვიდრებლის მიერ დატოვებულ ქონებას.

* * *

**-შეიძლება თუ არა, საპროცესო შეთანხმება დაიდოს ადვოკატის გარეშე?**

—არა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის „ვ" პუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

* * *

**— ჩაითვლება თუ არა მამიდასშვილიშვილი მემკვიდრედ?**

-ჩაითვლება.

ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან ცოცხლები, მაშინ მათი შვილები - ითვლებიან მეხუთე რიგის მემკვიდრეებად.

მეხუთე რიგის მემკვიდრეები / თქვენს შემთხვევაში, მამიდასშვილიშვილი / კანონისმიერად მიიღებენ სამკვიდროს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს წინა რიგის მემკვიდრეები.


ავეჯის
ბადაზიდვა



593 20 46 87